964
1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს ეროვნულ . დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ორგანო

L'Organe de la democratie nationale géorgienne „LA PATRIE"

მარიამობისთვე Août

№ 21-22

შინაარსი:

1. ძვირფას საფლავთა ხსოვნას — ***
2. საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია (1917 — 1937 წ.) — ალ. ასათიანი
3. 1923 წ. სისხლიანი დღეები — საგანგებო კომის. განაჩენი — ***
4. ეროვ. - დემ. პარტიისათვის — ვლ. ემუხვარი
5. თ-დ იოსებ დადიანი — ალ. ასათიანი
6. პოლონეთის მარშალი რიდ ' - სმიგლი — ვასო ინჯია
7. ნაციონალური რევოლუციები იწყება — ნი
8. ფაშიზმ - ბოლშევიზმის დატაკება — რ. ინგილო
9. პეტრე დიდის ანდერძი და ისტორიის განაჩენი — ელ. პატარიძე
10. ეროვნული გაერთიანებისათვის — ვ. ცოცეშვილი
11. ვასო მგალობლიშვილი — დ. უგრეხელიძე
13. „კონფედერატიული კავკაზი" — ***
14. ალ. ასათიანის მოხსენება — მ — ლი

პარიზი — Paris

1937.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭო

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ორგანო

მარიამობისთვე № 21-22 Août 1937

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის
დაარსებიდან ოცი წლის თავზედ სიამაყით ვიგონებთ:

პარტიის იდეურსა და სულიერ მამამთავარს **ილია ჭავჭავაძეს**, პარტიის საპატიო თავმჯდომარეს **ნიკო ნიკოლაძეს**, სისხლიან ბრძოლათა ხანაში პარტიის სასახელო თავმჯდომარეს **კონსტანტინე აფხაზს**, საქართველოსათვის ნაწამებთ **კათალიკოზ ამბროსის** და **მიტროპოლიტ ნაზარის**, **შეფიცულთა ბელადს და ეროვნულ ვმირს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს**; საქ. ბრძოლებში დაღუპულ პარტიის მთავარ კომიტეტის და ერ.-დემ. მოსწავლე ახალგაზდობის ხელმძღვანელ ცენტრის წევრებს : **გიორგი წინამძღვრიშვილს**, ვიქ. **ყარანგოზიშვილს**, **მიხ. გვალიას**, **ლეო დგებუაძეს**, **გრიშა მაკარაძეს**, **მიშა ხოფერიას**, **დათიკო გაბუნიას**, **კაკო დგებუაძე**, **ვ. სინჯიკაშვილს**; **გ. გოგნიაშვილს**; თელ. სამ. კომიტ. თავჯდომარე **გ. ციციშვილს**; **გორის**

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანრი ქაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომ. თავჯდომ. ა. ქარუმიძეს; სვანეთის კომ. თავმჯდომარე გიორგი გუჯეჯიანს, ბათუმის კომიტეტის წევრს ნიკოლოზ მიქელაძეს. ჭუ-თაისის კომიტეტის წევრს ექიმიონა მებურიშვილს; სმხედრო ორ-განიზაციის მეთაურთ: გენერალ ალექსნდრე ანდრონიკაშვილს, გენ. ვარდენ წულუკიძეს, გენ. ნესტორ გრდაფხაძეს გენ. ძმათა ფურ-ცელაძეებს, გენ. ყარალაშვილს, პოლკ. როსტომ მუსხელიშვილს, პოლკ. ელისბარ გულისაშვილს, პოლკ. ილიკო მახარაძეს, პოლკ. ალ. მაჭავარიანს, პოლკ. დიმ. ჩრდილელს, უფროს ოფიცრებთ: დავ. მიქელაძეს, სიმ. ბაგრატიონ - მუხრანელს, შალვა ფავლენიშვილს, დ. ნხეიძეს, ი. ყარანგოზიშვილს, ს. ჩოლოყაშვილს, ი. ლოსაბერიძეს, ბონდო მიქელაძეს, ბაქია თუთბერიძეს, ფარნაოზ ყარალაშვილს, ივ. ქუთათელაძეს, ლევან კლიმიაშვილს; საქართველოში და უცხოეთ-ში გარდაცვლილ პარტიის მთავარ კომიტეტისა და სხვა ხელმძღვა-ნელ ორგანოთა წევრებს : იოსებ ოცხელს, ალექსანდრე თორაძეს, მიხეილ მაჩაბელს, , ვლადიმერ მიქელაძეს, გრიგოლ ელიავას, პეტრე სურგულაძეს, იოსებ დადიანს, პავლე თუმანიშვილს, მელქისედეკ ფალავას, ვახო მგალობლიშვილს, პართენ გოთუას, რაუდენ დათუნი-ძეს, ჯოტო შერვაშიძეს, ასტამურ ინალიშვილს, ვასილ ყიფიანს, ნი-კო გაგუას, ალ. საყვარელიძეს, ივ. პურადაშვილს, იონა მეუნარგი-ას, კოტე მაყაშვილს, გული-ალა კაიკაციშვილს, ზაქარია ქიტია-ქ შვილს, კონსტანტინე ელიოზიშვილს, დიმიტრი ნაზაროვს, ბარნაბა პაპავას, ალ. გამრეკელს, გრიგოლ ბარათაშვილს, ივანე ელიაშვილს, ზაქარია ედილაშვილს.

ახალაგზდობის ორგანიზაციების მეთაურთ: ამბროსი პირველს, კოწია დევდარიანს, გრიშა ჩიქოვანს, ირაკლი დიდიძეს, გიორგი კლიმიაშვილს, გრიშა მეგრელიძეს, იასონ კერესელიძეს, ბატონიკა ბარათაშვილს, შალიკო აბაშიძეს; და პარტიის სამოქალაქო და სა-მხედრო ორგანიზაციების მრავალ ასეულ წევრებს, რომელთაც თავი დასდეს მათთან ერთად საქართველოს განმთავისუფლებელ ბრძო-ლებში.

მუხლს ვიდრეკთ მათი საამაყო ხსოვნის წინაშე.
სამარადისო იყოს ხსოვნა მათი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია

(1917 — 1937 წ.)

ამ ზაფხულის დამდეგს მრავალი ქართველი მოიგონებს 1917 წლის თიბათვეს, როდესაც ჩვენს დედაქალაქში შეიკრიბა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა...

მოიგონებენ ციხის საკანეებში დამწყვდეულნი, მოიგონებენ მის გარეედ მყოფნი, მრავალჯერ შეპყრობილნი, განთავისუფლებულნი და მუდამ ახალ დაპატიმრების მოლოდინენი...

ოცი წლის წინეთ განვლილ ამ დღეებს მოიგონებენ ციეს ციმბირსა და სოლოვკაში გადაკარგული ქართველი მამულიშვილნი და მრავალნი მშობელ მიწა-წყალს მოწყვეტილნი და უცხო ქვეყნებში გაფანტულნი ემიგრანტები...

მათ არ შეუძლიათ წარგზავნონ თბილისს თავის წარმომადგენელნი პარტიის დაარსების ოცი წლის თავზედ, რათა იქ მოუყარონ თავი განვლილ წელთა მანძილზე ნაკეთებსა და განაცდს, დაიფასონ წარსულის მიღწევანი და დაისახონ ახალი გეგმები და ამოცანები. მათი სამშობლო მტერს უპყრია და დედა-ქალაქი მტრის ბანაკადაა გადაქცეული...

მაგრამ ადამიანს განგებით აქვს მინიჭებული ისეთი ძალა, რომლის წინაშე უძლურია დრო და სივრცე და თვით საპყრობილის კლიტენი. ეს უხილავი სულიერი ძალა გადალახავს მთებსა, ზღვებს და ყინულოვან ველებს და ამ მკათათვის დღეებში შეიჭრება თვით ურდულებ დადგმულ საპატიმროთა კედლებში, ერთი აზრით, ერთი ფიქრით და განცდით გააერთიანებს მთელი მსოფლიოს სივრცეზე გაფანტულს თანამებრძოლებს და მათი ეროვნული დარაზმულობის ოცი წლის თავზედ გაუმართავს დიდსა და უხილავს შეყრილობას.

ამ სულიერი ძალის წინაშე უძლურია ყოველივე ქვეყნიური და თვით სიკვდილიც. ის თავს მოუყრის ამ დარაზმულობის სულის ჩამდგმელთ, იდეისა და აზრის მიმცემთ, ეროვნული ცხოვრების ყოველს დარგში ამ იდეის ხორცის შემსხმელთ, დიდი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციის იარაღით აღმჭურველთ, აღდგენილ საქართველოსათვის მტკიცე სახელმწიფოებრივი გზის თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშის აღმმართველთ, ამ დროშის მაჩვენებელთ, რუსეთის მიერ კვლავ დაპყრობილ საქართველოს განქვეშ მებრძოლთ და ამ ბრძოლებში დაღუპულთა უამრავ გუნდებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის ყრილობებს ივერიის ეკლესიის მეთაურები უხდიდენ პარაკლისს. პირველი ყრილობა დალოცა ივერიის ეკლესიის აღდგენის მეთაურმა, ყოველად სამღვდელო ლეონიდემ. დღეს საქართველოს თავისუფლებისათვის ნაწამებთა, ნეტარხსენებულის კათალიკოს ამბროსისა და მიტროპოლიტ ნაზარის ჯერია. ისინი დალოცავენ ამ იდუმალ შეყრილობას, ღვთის მშობელს შეავედრებენ მის წილხდომილ ქვეყანას, მშობელი ერისათვის შრომაში აღსრულებულთა და მისი თავის - უფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულთათვის საუკუნო სასუფეველს გამოითხოვენ და ცოცხალთათვის — სიმტკიცესა და გამარჯვებას.

**
*

წამების შერვანდედით შემოსილ მღვდელმთავართა ხილვა ჩვენს ფიქრსა და აზრს მიაქცევს საქართველოს მწარე ბედს, მის მიერ საუკუნეთა მანძილზე განვლილ გოლგოთის გზებს. თვალწინ წარმოგვიდგება ჩვენი ქვეყნის უამრავი დარბევანი და შემოსევანი აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით, სისხლიანი ომები და დაპყრობანი, საქართველოს კვლავ აღდგენანი და კვლავ დაუსრულებელი შემოსევანი. გორგასლანისა, დავითის და თამარის საქართველოს ბრწყინვალებას თან მისდევდა შავბნელი დრონი, დაცემისა და დაუძლურებისა. მრისხანე დამპყრობელთა მახვილი ხშირად სჭრიდა და ანაწილებდა საქართველოს, შლიდა მის სახელმწიფოებრივ ერთობას, და მხოლოდ ივერიის ეკლესია იყო, რომელმაც გაუძლო ყველა ამ უამრავ და უმაგალითო განსაცდელებს, და ხუთმეტი საუკუნის მანძილზე შეუნარჩუნა ქართველს ერს მისი ეროვნული ერთობისა და მთლიანობის მტკიცე დასაყრდენობი.

მაგრამ ქრისტიანულ რუსეთის იმპერიის ბატონობამ დაუმსხვრია ქართველ ერს ყოველივე ის, რაც გადაურჩა მრავალ საუკუნის მანძილზე განაცად რბევას, თემურლენგებისა და ჩინგის ხანების მრისხანებას. მან განადგურა საქართველოს სხელმწიფოებრივი არსებობის ყველა საფუძვლები და დაამსხვრია უძველესი ქრისტიანული ეკლესიის ტახტი...

საუკუნეთა მანძილზე ნაწამებმა, დაუძლურებულმა და სისხლიდან დაცლილმა ერმა ვერ გაუძლო ამ უხილავ განსაცდელს. სასოწარკვეთილმა მისმა შებრძოლებებმა მიზანს ვერ მიაღწია და ისიც დანებდა თავის ულმობელ ბედს. „ქართლის ცხოვრების“ საქართველო წაიქცა, ქართველი ერი უძლურებამ და უიმედობამ შეიპყრო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ კვლავ მოხდა სასწაული, ქართველი ერი კვლავ აღსდგა სულიერად, კვლავ დაიბრუნა თვისი ეროვნული სახე, კვლავ დაირაზმა თავისი ეროვნული ცხოვრების აღდგენისათვის ბრძოლისა

ილია ჭავჭავაძე

საქართველოს აღორძინების მეთაური და ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის სულიერი მამამთავარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მოქმედების ასპარეზზე. ვით ფენიქსი ფერფლიდან და ნანგრევებიდან ცოცხლდება და შენდება, ქართული ეკლესია, ქართული სკოლა, მწერლობა, მეცნიერება და ხელოვნება, სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა და აღებ - მიცემობა. რუსეთის ბატონობის ამ უმძიმეს უღლის ქვეშ უკვე აღსდგა ერი, როგორც მუდამ წარსულში, ამაყი და თავისუფლების მოყვარული, სრულყოფილი ეროვნული მეობის **დაბრუნების რწმენითა** და იმედით აღგზნებული.

ეროვნულ - **დემოკრატიული** დარაზმულობის ოცი წლის თავი ამ ზაფხულის თვეებში შეუერთდა ასი წლის შესრულებას იმ ქართველის დაბადების დღიდან, რომელიც იყო ქართველი ერის ამ საკვირველი **აღორძინებისა** და აღდგენის მეთაური, „ქართლის ცხოვრების“ გაწყვეტილ ჯაჭვის გამთელებელი. ჩვენი ერის მრავალ - საუკუნოვანი წარსულის ძის აწმყოსა და მომავალთან შემადღეგებელი.

დიდი ილია იყო ეს უხილავი სასწაულ მომქმედი. 22 წლის ჭაბუკი იყო, როდესაც მოვევლინა მას „კაცი დიდი მყინვარზედ მდგომი მოხუცებული“ და აუცოცხლა სურათები საქართველოს წამების გზათა. „სისხლი, სულ სისხლი ჰფარავს და ჰფარავს შენს წარსულსა ჟამსა, შენს ბედის ვარსკვლავს“. მაგრამ განვლილი და დაძლეული ქართველი ცხოვრების ეს სიმწარენი უძლეველ ძალით ჰმოსავს ქართველ ერს და ჭაბუკი ილია მასში ჰპოვებს ახალ განსაცდელთა კვლავ დაძლევის ურყეველ იმედს. „სხვა რომელია, რომ ათას წელთ ბრძოლა მედგარი გამოვევლოს და სრულად მ.ჯავრად არ აღგვილიყოს? შენ ხარ, მარტო შენ!.. მაგალითი სხვა არსად არი, რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეს შესძლებიყოს“... და ჭაბუკი მგოსანი უსახავს თავის ერს მთელს გეგმას აღდგენისა, გაძლიერებისა აწმყო და მომავლის ყველა განსაცდელთა კვლავ დასაძლევად. დასამარცხებლად.

ნახევარი საუკუნის მანძილზე იღწვოდა დიდი ილია თავის თანამებრძოლებით ოცდაორი წლის ჰასაკში დასახული გეგმით და ამ **დიდი მოღვაწეობის სასწაულებრივმა** შედეგებმა გახადეს იგი მთელი ერის მისწრაფებად და მოქმედების გეგმად. დღეს მის წინაშე ქედს იხრიან თვით ისინიც, ვინც გაფთრებით ებრძოდენ მის აზრებსა და მოღვაწეობას.

ბიდი ილიას სიცოცხლის ამ უმაგალითო სასწაულმოქმედებას დაემატა მისი მოწამებრივი სიკვდილის სასწაულებრივი ძალა. ვით ქვებით ჩაქოლილი მოსე წინასწარმეტყველი და ჯვარცმული ქრისტე, დიდი ილია გარდაიქცა მშობელი ერის მარადიულ წმიდანად და მესაიდუმლეთ. „წმიდა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება“, ჰქადაგებდა ჭაბუკი ილია და დღეს მისი ერი, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს კიდით კიდემდე უხილავის ერთობით შედეულებული, სარწმუნოებრივი მოკრძალებით მუხლს იყრის უდიდესი მამულისშვილის განუზომელი ღვაწლისა და სამშობლოს დიდებისათვის სამსხვერპლოზე მიტანილ წმიდა ზვარაკის წინაშე. და წამების შერვანდიდი სიხარულის სხივებს მოჰფენს დღეს წინეთ მუდამ მჭმუნვარე მის სახეს და მარადისობის სიმაღლიდან გაუნათებს ქართველ ერს საქართველოს დიდებისაკენ მიმავალ გზებს.

დიდი ილია კვლავ წინამძღვრობს ქართველ ერს და ის მას არ დასტოვებს არასოდეს. ასეთი იყო მისი „აჩრდილის" პირით გადმოცემული აღთქმა:

„მარად და ყველგან საქართველო მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევნი უკვდავი სული"...

**
*

ილიას მცირე რიცხოვანი დასი დიდ ეროვნულ დარაზმულობად გადაიქცა ორმოცი წლის მანძილზე. მაგრამ ეს ძალებიც არ არის საკმარისი ამ დიდ ეროვნულ აღმშენებლობისათვის, ვინაიდან საქართველოს ცხოვრების ყოველი დარგია აღსადგენი და ასაშენებელი, და ყოველი ეს შენება ნანგრევებიდან არის დაწყებული. სწორედ ამ ხანად აიშლება რევოლუციონური მოძრაობის ტალღები რუსეთის იმპერიის მთელს სივრცეზე. ეს მოძრაობა დამსხვრევით ემუქრება იმპერიას, რომელმაც სახელმწიფოებრივი არსებობა მოუსპო ქართველ ერს და მით სახავს საქართველოს კვლავ აღდგენის იმედებს; მაგრამ რუსეთიდან შემოჭრილი რევოლუციონური ტალღები, შესაძლოა, უმალ წალეკავენ ქართველი ერის ახლად ფეხ - ადგმულ ეროვნულ აღმშენებლობას... საჭიროა მესამოციანთა დიდი ეროვნული მოძრაობის პოლიტიკურ ორგანიზაციის იარაღით აღჭურვა, რათა დარაზმულ და შემტკიცებულ ძალით დაცულ იქმნას ეროვნული ცხოვრების ღირებულებანი და, ამასთანავე, ეროვნულ კალაპოტში იქმნეს ჩამწყვდეული რევოლუციონურ მოძრაობის ტალღები.

დიდი ილა იმუაშებს ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის პროგრამას და თავის ლაშქარს დიდ ეროვნულ პარტიის შექმნისათვის მოუწედებს.

მაგრამ ეს ის ხანაა, როდესაც მესამოციანთა დასის დიდი მოღვაწეობა და სიცოცხლეც აღსასრულს უახლოვდება. ნახევარ საუკუნის მანძილზე უხილავ მათ მოღვაწეობაში აღზრდილი და გაწრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვნილი შემდეგი თაობის მთელი ძალაც სავსებით ეწირება მესამოციანთა მიერ დაფუძნებულ ეროვნულ მშენებლობას. ახალი თაობის დიდი ნაწილი კიდევ უკიდურეს რევოლუციონერ პარტიებს ჰყავთ თავის რიგებში მოქცეული; ამის გამო დიდი ილიას ეს უკანასკნელი გამოწყება ვერ ჰპოულობს ღირსეულ განაღდებას მის სიცოცხლეში და მომავალ თაობებს რჩება, როგორც ამ უდიდესი ქართველის უკანასკნელი სურვილი და წმინდა ანდერძი. მისი განაღდება ხდება შესაძლებელი მხოლოდ ათი წლის შემდეგ, როდესაც ჩნდებიან ახალგაზრდობის ახალი ფენები და ყოველდღიურ გაზეთების „საქართველო“-სა და „სამშობლო“-ს, გარშემო თავმოყრილი წრე იწყებს პოლიტიკურ ორგანიზაციების დაფუძნებას საქართველოს ყველა კუთხეში, და ამ შემამზადებელ მუშაობას ამთავრებს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობის მოწვევით, 1917 წლის იენისის დამდეგს.

ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, და ამ ოცი წლის ჩვენი ნაღვაწი და ნამოქმედარი დღეს უნდა წარუდგინოთ იმას, ვინც ეს საქმე ჩვენ გვაინდერძა. ოცი წლის ანგარიში უნდა ჩავაბაროთ დიდს ილიას და მის სახელოვან დასს. ჩვენი დარაზმულობის სულის ჩამდგმელთა და აზრის მიმცემთ. უნდა გადაუშალოთ მათ ამ დარაზმულობის მოქმედების პირობები, დაბრკოლებანი და სიძნელენი, რათა ნათელ ვყოთ, რომ ჩვენ პირნათლად ვემსახურებოდით მათ იდეას, მათს გეგმას, ერთგულად მივყვებოდით მათ მიერ გაკაფულ ეროვნულ პოლიტიკის გზებს, და მათ მიერ ნაანდერძებ მაღალ იდეალების განაღდებისათვის არ დაგვიზოგავს ჩვენი ყოველი ძალა და შესაძლებლობანი.

**
*

ახალგაზრდობას ხშირად სჩვევია ერთი სენი. იგი ყოველივეს სახავს მისგან დაწყებულად და მაშინაც კი, როდესაც უფროს თაობათა დაფუძნებულს საქმეში ჩაერევა, და გაიძახის — მე ვარ და ჩემი ნაბადიო. „საქართველო“-სა და „სამშობლო“-ს გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდობას მეტი საფუძვლები ჰქონდა ამისათვის, ვინაიდან ეს პოლიტიკურ დარაზმულობის შექმნის საქმე მისი გამოწყება იყო. მაგრამ ამ წრემ არ მისცა განაღდება ასეთს სულისკვეთებას, და დაწყებულს მუშაობაში მოიწვია მესამოციანთა ეროვნულ მოღვაწეობაში აღზრდილი უფროსი თაობა. თვით მესამოციანთა მეთაურობიდან მხოლოდ მუდამ ახალგაზრდა, მუდამ მომქმედი და შემომქმედი ნიკო ნიკოლაძე იყო შერჩენილი ცოცხალ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა რიგებს. ეს დიდი მოღვაწეც მოექცა ახალი პოლიტიკური დარაზმულობის მეთაურთა რიგებში, და მით ამ ასპარეზზე სამმა თაობამ მოიყარა თავი.

ნ. ნიკოლაძე

ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის საპატიო თავმჯდომარე.

ეროვნულ - დემოკრატიული დარაზმულობა დაემყარა იმ საფუძვლებს, რომელნიც მტკიცედ იყო ჩამოქნილი და ჩამოყალიბებული მესამოციანთა იდეურსა და პრაქტიკულს მოღვაწეობაში. „ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდნესო." — წარმოადგენდა ამ მიმდინარეობის სულს. ძველს პირობებში მესამოციანებს შეეძლოთ მისი მხოლოდ ფრთხილად გამოთქმა და გამეღვენება, და ეროვნულ აღმშენებლობის საქმეში კიდევ მისი მცირე ნამცეცებით შეზელა და შედუღება. ახალს ვითარებაში მეტი იყო შესაძლებლობა უფრო ახდილ და გაბედულ სიტყვისა და მოქმედებისათვის. ეროვნულ - დემოკრატიული პრესსა უფრო ახდილად და მკაფიოდ უპირდაპირებს ქართველი ერის ინტერესებს რუსეთის საიმპერიო ზრახვებს. იმავე დროს ის სისტემატიურსა და ორგანიზაციულ ნასიათს ამლევს რუსულ **კოლონიზატორულ პოლიტიკასთან** ბრძოლას. საქართველოს მიწა - წყლის უცხოელებისათვის დარიგებას ის ებრძვის არა მარტო სიტყვით და წერით, არამედ პრაქტიკული მოქმედებითაც. თავადაზნაურობის ბანკებს ის აარსებინებს საგანგებო ფონდებსა და მუდმივ ორგანოს, რომელიც ავგარებს ქართველ მემამულეთა მიწების ქართველ გლეხების ხელში გადასვლის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ქართული ეკლესიის დაცვისათვის იგი იყენებს ქართულ საზოგადოებრივ ძალებს — საეკლესიოს, წოდებრივსა, კულტურულსა და ეკონომიურს. ასევე ორგანიზაციული მოქმედების ხასიათს აძლევს იგი ქართული **ენის, ქართული სკოლის, ერის ყველა კულტურულ და ეკონომიურ ინტერესების დაცვას.**

ეროვნულ - დემოკრატიული მიმართულება მკვეთრად უპირდაპირდება რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობათა გავლენით საქართველოში შემოჭრილს, და ახალს თაობებში ფართედ ფეხ-მოდგმით, ინტერნაციონალურ - სოციალისტურ იდეებს. ის ამხილებს და ამეკლავნებს ასეთი მიმართულების ბუნებას, როგორც ეროვნულ ძალთა დამქსაქსავს, დამშლელსა და დამასუსტებელს. ერის ცხოვრების კლასთა ბრძოლისა და განყენებული რევოლუციონური დოგმებით გარდაქმნის გეზს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია უპირდაპირებს **პოლიტიკას ეროვნულს, ზე - კლასობრივს,** ერის ყველა შემადგენელ ნაწილების ინტერესების შეთანხმებისა და შეერიგების, პოლიტიკას სახელმწიფოებრივს, მთელი ერის ინტერესებზე დამყარებულს.

მსოფლიო ომმა რუსეთის ბატონობის გადაგდების იმედი ჩაუსახა რუსეთის იმპერიაში მომწყვდეულ ერებს. ომის შედეგად საქართველოს აღდგენისათვის ხელსაყრელ პირობების წარმოშობაა მოსალოდნელი; ეროვნულ - დემოკრატიული დარაზმულობა სათანადო თავდარიგით მოქმედობს საქართველოში, კავკასიელ მეზობლებთან და საზღვარ გარედ. ამ მუშაობის ნაყოფი ფრიად თვალსაჩინო აღმოჩნდა, როდესაც მოახლოვდა საქართველოს განთავისუფლების ჟამი.

**
*

უზარმაზარი, მაგრამ სულიერ და ხორციელ სიმკვიდრეს მოკლებული რუსეთი ვერ უძლებს მსოფლიო ომის სიმძიმეს და სათავიდან ირღვევა. მმართველობის სადავეებს ხელში იღებს რევოლუციონური მთავრობა. იგი უძლურია ცენტრიდან ჰმართოს რევოლუციონური ტალღებით მოფენილი იმპერია და განსაპირა ქვეყნებში ძალაუფლებას ადგილობრივ ძალებს უნაწილებს. ეს ძალა - უფლება ჩვენში ჰპარდება არა ეროვნულ, სახელმწიფოებრივ ძალებს, რუსულ იმპერიალიზმთან დაპირდაპირებულს, არამედ რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობის ანარეკლს, მასთან სულიერად და ხორციელად შეზრდილ სოციალისტურ ძალებს.

ამ ძალა - უფლების ხელშია ადმინისტრაცია, ხაზინა და ჯარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ნიადაგს უმაგრებს რევოლუციონური ატმოსფერა, რევოლუციონური ფსიხოზი, რომლითაც შეპყრობილი არიან ხალხის ფართე წრეები, მათ სამოთხისებური ცხოვრება აქვთ დაპირებული და აღთქმული სოციალისტური პარტიების მიერ და ამის განაღდებას მოელიან. მაგრამ ხალხში ასევე დამკვიდრდა მეორე ძლიერი სულისკვეთება. ესაა ეროვნული სწრაფვის გაღვივება, საქართველოს საჴელმწიფოებრიობის აღდგენის წყურვილი.

პირველი ამაგრებს სოციალისტურ ხელისუფლებას და პარტიებს, ხოლო მეორე — მის მოპირდაპირე, ეროვნულ - დემოკრატიულ დარაზმულობას. რომელი ძალა გადასწონავს ხალხის დაკითხვის სასწორზე, ეს გამოურკვეველად მიაჩნიათ თვით სოციალისტურ წრეებს და პირველს საერობო და საქალაქო არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ ყველა სოციალისტური პარტიები გაერთიანებული ფრონტით გამოდიან. ამ შებრძოლების სასწორმა მათ სასარგებლოდ გადიხარა. ადმინისტრატიულ და ფინანსსიურ აპარატის მნიშვნელობა საკმაოდ თვალსჩინოა იქაც, სადაც ხალხის დაკითხვა და არჩევნები საუკუნოების მანძილზე სწარმოებს. ამას დაერთო კიდევ რევოლუციონური ატმოსფერა და რევოლუციონური მეთოდები და ზედგაელენა. მმართველ პარტიამ მანდატების დიდი უმრავლესობა მიიღო საკანონმდებლო და თვითმმართველობის ორგანოებში. ეროვნულ დემოკრატიამ უპირატესი და თანასწორი ადგილი დაიკავა მრავალ საერობო და საქალაქო ერთეულებში, რომელთა ბუნება და დანიშნულება უფრო უშუალოდ იყო დაკავშირებული ხალხთან, და სათავის ზედგავლენასაც წედარებით ნაკლებად განიცდიდა.

სოციალისტური ხელისუფლება იწყებს საქართველოს შენებას, მაგრამ არა მის წარსულისა და აწმყოს სინამდვილის ნიადაგზე. არამედ განყენებულ თეორიებისა და დოგმების მიხედვით. ეს საჴელმწიფო, სოციალისტურ მეთაურობის მიერ მიღებულ პროექტის მიხედვით, უნდა ყოფილიყო დემოკრატიული რეპუბლიკა. მაგრამ ისეთი, რომელიც მთელი მსოფლიოს ისტორიის მანძილზე არსად და არასოდეს ყოფილა დამყარებული. ასეთი გეგმებით შეპყრობილმა ძალაუფლებამ ვერ გამოიყენა ქართველიერის კონსტრუქტიული ძალები, ვერ შეჰქმნა მტკიცე ადმინისტრაცია, ჯარი, ნორმალური წყობა საქალაქო და საერობო მმართველობათა. ვერ დაამყარა ნორმალური დამოკიდებულება თავის მეზობლებთან და უცხო სახელმწიფოებთან. მან, რასაკვირველია, ვერ გაუმართლა მშრომელ მასსებს განუზომელი დაპირებები, ვინაიდან ფრაზად მცირე აღმოჩნდა გლეხობისათვის დასარიგებელი მიწის ფონდი, და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად არაფერი კაპიტალის ხარჯზე მუშებისათვის მისაცემი. ხოლო რაც გაკეთდა ამ სფეროში, ამის ნაყოფიერებაც ფრიად შეამცირა რეფორმების რევოლუციონური მეთოდებით გატარებამ.

ეროვნულ - დემოკრატიული პარტია ფიცხელსა და ახდილს ოპოზიციას აწარმოებს ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ოპოზიცია იყო საქმიანი და კონსტრუქტიული. ის არ გაურბოდა მმართველ სოციალისტურ ძალებთან თანამშრომლობას, სადაც კი ეძლეოდა ამის საშუალება, რათა ამით შეენელებინა და შესწორებები შეეტანა რეალურ სინამდვილეს დაცილებულს პოლიტიკაში... სახელმწიფოებრივი მიმართულება ვერ აიღებდა სხვა გეზს, ვინაიდან მისი პოლიტიკა, პოზიციაშია იგი თუ ოპოზიციაში, ემყარება მუდამ ცხოვრების სინამდვილეს და ცივს ანგარიშს, და არა გალიზიანებულს გრძნობებსა და ერის ამა თუ იმ ნაწილის კერძო ინტერესებსა და სურვილებს, ხოლო ეს ქართული სინამდვილე იყო მეტად ნათელი და უდავო.

რუსეთის რევოლუციის მიერ საქართველოში შექმნილს ვითარებასთან უანგარიშო და გაფთრებული შებრძოლება მხოლოდ სამოქალაქო ომს წარმოშობდა. ისპანიის მაგალითი დღეს ყველასათვის თვალსაჩინოა, მაგრამ ხალხთა ისტორიას წინეთაც მრავალი ასეთი მაგალითები ჰქონდა მოცემული. საქართველო მუდმივ გარეშე საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. საქართველო არ იყო ისპანიასავით მრავალ ათას კილომეტრით დაშორებული საბჭოთა რუსეთს; რუსეთი მის საზღვრებზე იდგა. საქართველოც მრავალჯერ მცირეა ისპანიაზე, და თან ახლად ფეხ - ადგმული სახელმწიფო. ამასთანავე თვით საქართველოშიდაც არ იყო დამცხრალი რუსეთის რევოლუციის მიერ შექმნილი რევოლუციონური ფსიხოზი.

ვინც ქრთველ ხალს იცნობს, მისთვის ეერ გახდებოდა საეჭვოდ, რომ ეს რევოლუციონური ფსიხოზი მასში მალე განელდებოდა. ქართველი გლეხობა და მუშები მეტად ზომიერი სულისკვეთების არიან და მშვიდობიანობისა და წესრიგის მოყვარული. და ეს სავსებით გამართლდა; მათთვის მალე გახდა ნათელი დიდ სოციალისტურ დაპირებების განუხორციელობა. სოციალისტურ მეთაურობამაც მალე დაინახა მის რევოლუციურ გზაზე განუვალი ჩიხი. ძველი აღთქმები ვერ განაღდდა, ახალს გასაველი არ ექნებოდა. ასეთი ვითარება უკარგავდა მას თავის იდეებისადმი წინანდელ რწმენას და ფართე წრეებზე წინანდელს ავტორიტეტსა და გავლენის ძალას.

**
*

ეროვნულ - დემოკრატიული პარტია ენერგიულად უწყობს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ხელს ქართველი ერის რევოლუციონური ფსიხოზისაგან განთავისუფლების პროცესს, პრესსაში, საკანონმდებლო და თვითმმართველობის ორგანოებში და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა ასპარეზებზე პარტია ენერგიულად და მოურიდებლად ამხილებს სოციალისტური პოლიტიკის მრუდე გეზს და მას უპირდაპირებს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სავალდებულო წესებს.

მისი მუდმივი ღაღადის საგანია საქართველოს თავდაცვის მკვიდრ საფუძვლებზე დამყარება, მტკიცე ადმინისტრაციისა და დამოუკიდებელი სასამართლოს დაფუძნების მიუცილებელი საჭიროება. მტკიცე ეროვნულ და ხალხოსნურ ხელისუფლების პროგლემები მას საფუძვლიანად აქვს დამუშავებული და ერის წინაშე ახდილად დაყენებული. აგრარული და შრომის საკითხები მხოლოდ ამ მიმართულებას აქვს შესწავლილი და მათი მოგვარების რეალური შესაძლებლობანიც ნათლად გამორკვეული.

მაგრამ რეალური პოლიტიკის მიმდევარი პარტია მოვალეა ამასთან ერთად საკუთარი ძალითა და საშვალებებით დაადუძნოს სახელმწიფოებრივს ცხოვრებაში ყოველივე ის, რაც მას საჭიროდ მიაჩნია, და რაზედაც მას ხელი მიუწვდება.

რევოლუციის დასაწყისშივე, როდესაც საქართველოს ჰმართავდა რუსეთის მიერ დანიშნული კომისარიატი დაჯარისკაცთა და მუშათა სოვდეპი, ეროვნულ - დემოკრატიული პარტია ნამდვილ შეთქმულობას აწყობს საქართველოს ეკლესიის მეთაურებთან ერთად. 1917 წ. 12 მარტს იწვევს მცხეთაში სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას და აღადგენს **ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობას.** პარტიის შეიარაღებული რაზმები აძევებენ ქართულ ეკლესიურ შენობებიდან რუსს ეგზარხოსს და იქ მცხეთაში არჩეულ საქართველოს კათალიკოსს ამკვიდრებენ.

ეს პირველი და დიდი ნაბიჯი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე და მალე მას მოჰყვა მეორე, რომელმაც წარმოშვა 26 მაისი.

საქართველოში მობინადრე უმცირესობებს — სომხებს, რუსებს და აისორებსაც კი, უკვე შექმნილი აქვთ თავისი ეროვნული საბჭოები — ავტონომიური მმართველობის ორგანოები. თვით ქართველ ერს არა გააჩნია რა ამის მსგავსი, და რუსეთის მიერ დანიშნულ ორგანოების ამარაა დარჩენილი. ეროვნულ - დემოკრატიულ პარტია ასეთსავე შეთქმულობას აწყობს ამავე მიმართულებით. მას მიაქვს თავისი გეგმა თავადაზნაურობის მარშალთან, კონსტანტინე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზთან, რომელსაც იგი ბრწყინვალეთ მოჰყავს სისრულეში. თავად - აზნაურობა მიუძღვნის ქართველ ერს თავის დიდს კოლექტიურ ქონებას, უკეთუ შეიქმნება სათანადო ეროვნული ორგანო მის

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

მისაღებად და მთელი ერის საჭიროებისათვის მოსახმარად. მმართველი წრე იწყნარებს ასეთს წინადადებას, და 1917 წლის 22 ნოემბერს მოწვეულ იქმნა **ეროვნული ყრილობა,** ქალაქის თვითმმართველობათა, ეკლესიის, წოდებრივ დაწესებულებათა, პოლიტიკურ პარტიებისა და კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენელთაგან შემდგარი. ეროვნულმა ყრილობამ შექმნა მუდმივი ორგანო, **ეროვნული საბჭო,** რომელიც შემდეგ გადაიქცა პარლამენტად და ამ უკანასკნელმა კი 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა და მოიწვია დამფუძნებელი კრება.

მესამოციანთა ღვაწლმა დაფუძნა საქართველოში ქართული სკოლა, დაბალი და საშუალო. მისი და მის მომდევნო თაობის მუდმივი ცდა მიზანს ვერ აღწევს და მეფის რუსეთის ხანაში საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსება არ ხერხდება. მაგრამ ეროვნულ წრეებს ყოველივე აქვთ ამისთვის გამზადებული, და თვით მიწა და შენობაც. ახალს პირობებში მათი ენერგიული მოქმედება გამარჯვებით გვირგვინდება. ეს წრეები ჰქმნიან საზოგადოებას, რომელიც აარსებს **ქართულ უნივერსიტეტს,** რაც მალე სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაიქცა.

ეროვნულ - დემოკრატიული პარტია მხურვალე მონაწილეობას ღებულობს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყოველგვარ მუშაობაში, სადაც კი ღებულობს მმართველი წრე მის თანამშრომლობას, მიუხედავად იმისა, რომ ის მთავრობაში არ ღებულობს მონაწილეობას და არ არის მისი პოლიტიკისათვის პასუხისმგებელი. ამით მას შეაქვს ერთგვარი კორექტივი უტოპიურ გეგმებით გამსჭვალულს პოლიტიკაში.

**
*

ასეთია პარტიის გეზი რევოლუციონურ როდვეის ნიადაგზე წარმოშობილ საგარეო და საშინაო ვითარებაში. საჭიროა დროს მოგება და საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება იმ დროამდე, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი პოლიტიკური ცხოვრების მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნება. პარტიის მთავარი ამოცანაა ამ დროსთვის საჭირო ძალების დარაზმვა, გაწრთვნა სახელმწიფოებრივ საჭის დასაპატრონებლად და ჯანსაღი ეროვნული პოლიტიკის დასამყარებლად.

ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის **დამფუძნებელ ყრილობამ** ყველას დაანახა, რომ ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიად მნიშვნელოვან ნაყოფს იძლეოდა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ეროვნულ - დემოკრატიული ორგანიზაციები საქართველოს ყველა კუთხის ქალაქებიდან, დაბებიდან და მაზრებიდან. ფრიად საყურადღებო იყო პირველი და შემდეგი ყრილობის შემადგენლობა. აქ იყვნენ საუკეთესო ძალები სასოფლო მეურნეობის, ვაჭრობა - მრეწველობის და ხელოსნობის. წარმოდგენილნი იყვნენ საქალაქო, საეკლესიო და სხვა საზოგადოებრივი ასპარეზის საუკეთესო მოღვაწეები; სამოსწავლო უწყება, მეცნიერება და მწერლობა ღირსეულად იყო წარმოდგენილი ქართულ სახელმფფოებრივ ძალთა ამ მობილიზაციების დროს. ქრისტიანული ეკლესიებისა და მაჰმადიანურ სარწმუნოებების შიმდეგარნი ძმურად იყვნენ შეყრილნი ამ ყრილობებზე და მათი რჯულო - მსახურთა დალოცვით იწყებოდა ამ ყრილობათა მუშაობა.

მაგრამ სახელმწიფოს მტკიცე ნიადაგზე დაფუძნებისათვის საჭიროა ძლიერი დარაზმულობა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიურ ძალებისაც. საქართველოს ვაჭრობა - მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული რუსულ კოლონიალურ პოლიტიკის გამო, ხოლო მისი ძალები, ისევე როგორც სასოფლო მეურნეობისა, დაქსაქსული და თავმოუყრელი.

საქართველოს აქვს ორი საადგილ - მამულო ბანკი და რამოდენიმე წვრილი კრედიტების, მესამოციანთა თაობის მიერ დაფუძნებული; ხოლო კომერციული და სამრეწველო კრედიტი უცხოთა ხელშია. ეროვნულ - დემოკრატიული პარტია იწყებს საქართველოს ეკონომიურ ძალების დაკავშირებას და ჰქმნის საქართველოს ქალაქებსა და დაბებში ვაჭარ - მრეწველთა კავშირებს. ამას მოჰყვა ორი ქართული კომერციული ბანკისა და მრავალ სავაჭრო და სამრეწველო საქმის დაარსება. ყველა ეს კავშირები მალე თავს იყრიან და ერთიანდებიან საქართველოს **სავაჭრო - სამრეწველო პალატაში.** საქართველოში საკმაოდ ფეხმოდგმულია მომხმარებელი, სავაჭრო კოოპერაცია. მაგრამ ფრიად სუსტად მწარმოებელთა შეკავშირება. პარტია აწყობს სასოფლო მეურნეობის დარგში მწარმოებელთა, დოვლათის შემქნელთა, კავშირებს და ამხანაგობებს. იქმნება ასეთი კავშირები მეთამბაქოეთა, მეაბრეშუმეთა, მევენახეთა, მეხილეთა, მებოსტნეთა, მეცხვარეთა და სხვ. ყველა ეს კავშირები თავს იყრიან **სასოფლო სამეურნეო პალატაში.**

მესამე ძალა, დაქირავებულ მუშათა, საქართველოში ფრიად მცირე - რიცხოვანი, უკვე გაერთიანებულია პროფესიონალურს კავშირებში. ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიას გათვალისწინებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჰქონდა ამ ეკონომიური ძალების ორგანიზაციული წყობის შემუშავების დროს, რომ საჭირო გახდებოდა მათზე დაკისრება ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი დარგებისა, რასაც ამ ხანად ადგილი აქვს მრავალ ფაშისტურ და არა ფაშისტურ ქვეყნებშიც.

ეროვნული ცხოვრების ყოველს დარგში ასეთი ფართე გეგმით მუშაობა საჭიროებს მძლავრ **პრესსას.** ეროვნულ - დემოკრატიული დარაზმულობას აქვს ორი ყოველდღიური ორგანონ და ამდენივე არა პარტიული, მისი მმართველების გამოცემა. რეეოლუციონურ ხანაში ფრიად ძნელი ხდება არა რუეოლუციონურ პარტიულ მუშაობისა, არჩევნებისა და გამომცემლობისათვის საკმაო საღსრის მოპოვება. პარტია კომერციულ ნიადაგზე აფუძნებს საგამომცემლო საქმეს, და ამ საქმის მოხერხებულად წარმოება მალე აძლევს მას ერთ დიდ საგამომცემლო აქციონერულ საზოგადოების შექმნის საშუალებას. ის იძენს აგრეთვე სტამბებს და ორს რუსულს გაზეთს, ერთს ქართველი პატრიოტები სცემდენ კავკასიურ პოლიტიკისათვის თბილისში, ხოლო მეორეს რუსები, ბათუმში, საქართველოს აღდგენის წინააღმდეგ საბრძოველელად. პარტიას განზრახული ჰქონდა მათი დახურვა და მათ ნაცვლად ქართულის გამოცემა.

ეროვნულ - დემოკრატიული პარტია აარსებს აგრეთვე საგანგებო გაზეთს გლეხობისათვის „სასოფლო გაზეთს" და ამის შემდეგ მისი პრესსა და გამომცემლობა უფრო მძლავრია, ვიდრე ყველა სხვა პარტიებისა, ერთად აღებული.

ჯერ კიდევ 1859 წელს დაუსახა დიდმა ილიამ მშობელ ერს კავკასიელ მეზობლებთან მტკიცე ერთობის პროგრამა. შონობის ბორკილის დამსხვრევას, საქართველოს აღდგენას ილია მოელოდა მაშინ, „როს ეს ტოტნი ერთი ცხოვრების, ერთ - არსებისა, ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან, როს იგი ტომნი, ცად მიღწეულ მძლავრ კავკასსა ერთის მიზნით, ერთის ფიქრით განდიდებიან"!.

ამ დროიდან აწარმოებენ თავის **მეზობლებთან დაახლოვებისათვის** მუშაობას მესამოცანენი და შემდეგი თაობები. მას მნიშვნელოვანი ნაყოფი ჰქონდა გამოღებული, და ეს საქმე კიდევ უფრო წავიდა წინ მსოფლიო ომისა და დამოუკიდებლობის ხანაში აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მიმართულებით. სამწუხაროდ, ნაკლებად ნაყოფიერი იყო სომხებთან დაახლოვების საქმე.

კავკასიაში რუსეთის შემოსვლამდე, საუკუნეთა მანძილზე, უამრავ შემოსევებისაგან მრავალჯერ დარბეული ეს ერი, საქართ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველოს სამეფოში ჰპოულობდა მუდმივ მფარველობას და საიმედო თავშესაფარს. საქართველოს სამეფოს რუსეთის მიერ დალეწვის შემდეგ, ასეთი როლი დიდს რუსეთს დაეკისრა სომხის ერის თვალში. ამის შემდეგ სომხების გზა არამც თუ შორდება, არამედ კიდევაც უპირდაპირდება მის მეზობელთა ეროვნულ ინტერესებსა და გეზს.

ამ გარემოებამ შესცვალა ქართველ ერისადმი დამოკიდებულება თვით იმ სომხების, რომელნიც საქართველოში იყვნენ შემოხიზნულნი და საუკუნეთა მანძილზე. ქართველი მოქალაქის ყველა უფლება - მოვალეობით აღჭურვილნი, ძმურად ინაწილებდენ ქართველების ჭირსა და ლხინსა.

კავკასიის ერთა აღდგენილ თავისუფლების მტკიცე საძირკველზე დამკვიდრებისათვის საჭირო იყო ამ კავკასიელ ერთა მტკიცე სამხედრო და პოლიტიკური კავშირი; ამის მისაღწევად მუშაობას აწარმოებდენ კავკასიის რესპუბლიკათა მთავრობები.

ეროვნულ - დემოკრატიულ დარაზმულობამ სწორედ განსაჯა, რომ სომხეთის მიერ ასეთივე გეზის აღებას, რისთვისაც ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა რუსეთის კავკასიიდან წასვლა, დიდათ გააადვილებდა საქართველოს სომხების პოზიციის შეცვლა საქართველოს მიმართ. მან ჩაობა ეს წრეები ყველა თავის, ეკონომიურ ძალთა გაერთიანების საქმეში, და 1921 წლის დამდეგს მიაღწია მასთან სრულს შეთანხმებას. საქართველოს სომხობა ქართველებთან ერთად მზრუნად დგებოდა საქართველოს აღმშენებლობის ასპარეზზე.

ამავე ხანაში დასრულდა ქართულ **კონსტრუქტიულ ძალების გაერთიანება** ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის გარშემო. ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიაში დაბარუნდენ მისგან გამოყოფილი ჯგუფები — მიწის მესაკუთრეთა ეროვნული და რადიკალ - დემოკრატიული საგლეხო ; მასვე შეუერთდა, კონსტანტინე იფზაზის მეთაურობით, ცნობილ მოღვაწეთა და აკადემიურ ძალთა კავშირი.

17 იანვარს შესდგა ყველა ამ ძალთა გაერთიანების დას-რულების გამო საზეიმო ბანკეტი, რომელზედაც წაკითხულ იქმნა იმ წერილებში მიღებული დეპეშა საქართველოს იურიდიული ცნობისა მოკავშირეთა სახელმწიფოების მიერ.

საქართველოს ყველა ამ პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალების გაერთიანება და ამასთან ხალხის მასსების განთავისუფლება რევოლუციონურ განწყობილებისა და აწ განუხორციელებლად გამხდარ სოციალისტურ დაპირებებისაგან, სრულს, და რეალურ ანგარიშზე დაფუძნებულს იმედს უსახავდა ეროვნულ - დემოკრატიულ დარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზმულობას — მახლობელს თვეებში **სახელმწიფოებრივ საჭის** მის ხელში გადასვლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღმშენებლობის დაფუძნებისა საიმედო და მტკიცე ნიადაგზე. დამფუძნებელი კრების მუშაობა სრულდებოდა და გაზაფხულზე ნორმალური საკანონმდებლო ორგანო უნდა არჩეულიყო.

მაგრამ საბჭოთა რუსეთი ფიზიზლად სდარაჯობდა საქართველოს გაჯანსაღების პროცესს. მან დაჩქარა საქართველოზე თავდასხმა და როდესაც წითელი არმია თბილისში შევიდა, ერთ - ერთ მოწოდებაში ახდილად იქმნა გამჟღავნებული ასეთი დაჩქარების მიზეზი: „საქართველოს „განთავისუფლება" დავაჩქარეთ, ვინაიდან მასში უკვე დასრულდა ყველა რეაქციონურ ძალების გაერთიანებაო".

**
*

რუსეთის ბატონობის მეორედ მოვლინებამ დაადგა ჩვენს ერს ეროვნულ დამონების მძიმე უღელი, და ის კიდევ უფრო აუტანელი გახადა ჩვენი ეროვნული ცხოვრების ყველა ეკონომიურ და ზნეობრივ საფუძვლების ძირიან - ფესვიანად დანგრევის გეგმით.

საქართველოს მშვიდობიან სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის შექმნილ ეროვნულ გაერთიანებას ახალი ასპარეზი გაეხსნა — რუსეთის ბატონობის გადაგდებისათვის განმათავისუფლებელი ბრძოლისა და მოქმედების.

ეროვნულ - დემოკრატიული დარაზმულობის ხელმძღვანელობა სამშობლოში, აწ უკვე მტრის ბანაკში, დარჩა. რათა გაეხაწილებინა მშობელ ერის მწარე ბედი და დაეწყო მისი განთავისუფლების ათვის ბრძოლა და მოქმედება.

მან მყის მოახდინა ყველა თავის ძალების გადარჩევა სათავიდან დაწყებული დაბალ ფენებამდე. უმძიმეს პირობებში აქტიურ ბრძოლისათვის მოუმზადებელ ძალებს მშვიდობიან მოქმედებისა და მოღვაწეობის ასპარეზი მიუჩინა — ერის კულტურულ და ეკონომიურ ღირებულებათ, დაცვისა და დარაჯობის. საქართველოში შემოჭრილი ძალაუფლება თვითონაც მტრის ბანაკში გრძნობდა თავს და, თანახმად ლენინის რჩევისა. ქართველებისადმი ზომიერ პოლიტიკის დამყარების გზებს ეძებდა. ამით ისარგებლეს ეროვნულ-დემოკრატებ წრეებმა და ამ ნიადაგზე წარმოიშვა კომუნისტურ პარტიაში ის **„ნაციონალური უკლონიზმი"**, რომელიც შემდეგ საბჭოთა რუსეთის მიერ სხვა დაპყრობილ ერებში გადავიდა. ის არ იყო ტროცკიზმი და უცხოელების აგენტობა, რომლისთვისაც კომუნისტები ერთმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

(1937 წელ)

ნეთს ულტენ ამ ჟამად. ეს იყო უცხო ძალაუფლების მიერ ცხოვრების სინამდვილისათვის ანგარიშის გაწევა და მის გარდაუვალ მოთხოვნილებათა წინაშე ქედის მოხრა. მოსკოვმა მალე მოსპო ეს ზომიერი ხაზი და მის ნაცვლად მებრძოლ კომუნიზმის რეჟიმი დაამყარა, მაგრამ ცხოვრების კანონი მაინც ვერ იქმნა ამით დაძლეული და თვით უკლონიზმის დამმარცხებელნი მალე იძულებული ხდებიან კიდევ უფრო დაბლა დახარონ თავი დამონებულ ერთა შეურყეველ სტიქიონის წინაშე, ვიდრე ამას სჩადიოდენ პირველი, ერთვნული უკლონიზმის მატარებელნი.

ეს იყო დაპყრობილ ერისათვის ერთი გეზი, ეროვნულ თავდაცვისა და ეროვნული ღირსების შენარჩუნებისათვის. საქართველოს ისტორიაში ის მუდამ იყო ნაცადი და გამოყენებული. მაგრამ ამასთან ერთად საქართველოს მრავალ საუკუნოვან წარსულს დაკანონებული ჰქონდა მეორე გეზი — ძალთა დარაზმვის, ძალთა მომარაგების და მოხერხებულს დროს, შემოკრილ მტრისათვის გადამწყვეტ ბრძოლის მიცემის. ეროვნულ - დემოკრატიული დარაზმულობა თავიდანვე გახდა ქართული ისტორიის ამ მუდმივ გეზის გამნაღდებელ ძალად და ამ ასპარეზზე დაირაზმა. ჯერ არ დამდგარა დრო ამ ბრძოლათა ისტორიის დაწერისათვის. ბრძოლა არ დასრულებულა, და არც დასრულდება სრულს გამარჯვებამდე. ამ ჟამად შეიძლება ზოგადათ აღნიშვნა მხოლოდ იმის, რაც უკვე საყოველთაოდ არის ცნობილი, და შეტანილია ახალ ბრწყინვალე ფურცლებად ქართველ ერის მრავალ საუკუნოვან და სასახელო ბრძოლების მატიანეში.

რუსეთის მიერ მეორედ დაპყრობილ საქართველოს ამ სახელოვან ბრძოლათა ანგარიში ჩვენ უნდა წარუდგინოთ დიდ ილიას მისი დაბადებისაგან ასი წლის თავზედ, და ეს იქნება მისთვის ყველაზედ უფრო ძვირფასი ძღვენი. ქართველმა ერმა სიცოცხლეშივე გასცა ღირსეული პასუხი ილიას მიერ დასმულ ყველა კითხვებს და ამოცანებს. საქმენი და აზრები მისნი ნოყიერ ნიადაგს ჰპოულობდენ ქართველ ერში და განსაცვიფრებელის სისწრაფით იფურჩქნებოდენ, იზრდებოდენ და მკვიდრდებოდენ. ქართველ ერს დარჩა ღირსეულ პასუხის მიუცემელი მხოლოდ ერთი მისი კითხვა, ჭაბუკობაშივე მშობელ ერისათვის დასმული: „მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვსტირი!“.

და აი ამის პასუხი: ეს სასახელო ბრძოლები და გმირი არა ერთი, არა ათი, ლეგიონია მისი სახელი! მათ წარმოგიდგენთ მეფე ირაკლის შვილის შვილი და თქვენი დისწული, გენერალი **კონსტანტინე აფხაზი,** ეროვნულ - დემოკრატიულ მებრძოლ დარაზმულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალი **კ. აფხაზი**ერ.. დემ. პარტიის ცენტრის თავმჯდომარე.

ბის ბელადი. პარტია მას უფრთხილდებოდა და ზოგავდა მის სიცოცხლეს; უნდოდა შეენახა იგი განთავისუფლებულ საქართველოს საღმშენებლო შრომისათვის. სამჯერ მოაწყო მისი უცხოეთში გამგზავრება, მაგრამ მან არ ინება, არ ისურვა დატოვება ბრძოლაში ჩაბმულ მშობელ ერისა. საამყო გმირობით დაიღუპა და სიკვდილის წინ ჯალათებს უთხრა: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სიცოცხლე შეეწირე სამშობლოს თავისუფლებას"-ო, და თქვენებრ შეიმოსა წამების გვირგვინით. აი მისი მოადგილე, მებრძოლ პარტიის მეორე თავჯდომარე, **ვიქტორ ყარანგოზიშვილი.** შორეულს სოლოვკაში დამწყვდეულებმა რომ სიმშილობა გამოაცხადეს და დაადგინეს



ეროვნული გმირი **ქ. ჩოლოყაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესიმშილათ, სანამ მათი მოთხოვნილებანი არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, ვერ გაიმარჯვეს და დასთმეს. მან არ ისურვა გადახვევა თავის სიტყვის, მიღებულ აღთქმის, სამოცი დღე იშიმშილა და დადნა. ვით სანთელი ხატის წინაშე. აი **ქაქუცა ჩოლოყაშვილი**, კახეთ - ხევსურეთის აჯანყების ბელადი, რომელსაც ეროვნულ - დემოკრატიულმა პარტიამ ჩააბარა ბრძოლის დროშა. აი ქართველ მხედრობის სასახელო სარდლები — გენერლები: **ანდრონიკაშვილი, წულუკიძე, გარდაფხაძე, ფურცელაძენი, ყარალაშვილი,** კოლონელები — **მუსხელიშვილი, დადიანები, მახარაძე, ჩრდილელი, ხიმშიაშვილი, მხეიძე, გულისაშვილი, ვაჩნაძე, თუთბერიძე** და მრავ. სხვანი... მათ მიჰყვება ამათსავით ბრძოლებში გმირულად დაღუპულ ოფიცერთა და ჯარისკაცთა მრავალრიცხოვანი გუნდები....

აგერ პირველს რიგში დაინახავთ სულიერ მამებს, ვით მუდამ წარსულში, ჯვარით ხელში გამოსულთ საქართველოსთვის წარმოებულ ბრძოლის ველზე. წმამების გვირგვინით შემოსილი **კათალიკოსი ამბროსი** ბრძანდება მათს სათავეში. ნეტარხსენებული არ შედრკა ბოლშევიკურ რეჟიმის უმაგალითო მრისხანების წინაშე და ტყვედ ქმნილ საქართველოდან ეპისტოლე გაუგზავნა გენუის კონფერენციას, სადაც ამცნო კულტურულ კაცობრიობას საქართველოსა და მისი ეკლესიის მწარე ხვედრი და მოუწოდა კულტურულ ერთა სინიდისს დაცვისა და მფარველობისათვის. იქმნა შეპყრობილ, დამწუვდეული, ბრალდებული, გასამართლებული და მრისხანე ბრალმდებელთა მუქარაზე უპასუხა: სული ჩემი უფალს ეკუთვნის, გული ჩემი მშობელ ერს, და მძორს ჩემსას უყავით რაც გნებავთო.

აი ეროვნულ - დემოკრატიულ უფროსებისა და ახალგაზდობის მებრძოლ ცენტრების წევრები: **გიორგი წინამძღვრიშვილი, მიხეილ გვალია, დგებუაძენი, გოგნიაშვილი, სინჯიკაშვილი, ზოფერია, მაკარიძე, გაბუნია და კლიმიაშვილი.** პარტიის ცენტრალურ ორგანოთა წევრების უმრავლესობა გმირულად დაიღუპა ამ ბრძოლებში. მათ ახვევია პარტიის ახალგაზდობის მთელი ჯარი. ბევრმა მათგანმა უკვე მიიტანა სამშობლოსათვის წმიდა ზვარაკად თავისი ნორჩი სიცოცხლე. მრავალი მათგანი უკვე სარდლობდა და ბელადობდა მებრძოლ რაზმებს; მრავალი დაიღუპა და სხვანი კვლავ მტკიცედ დგანან ბრძოლისა ველზე. მათმა გმირულმა მაგალითმა მტკიცე და შეურყეველი მამულიშვილური გრძნობებით გამსჭვალა და აანთო ქართველი ერის მთელი ახალგაზრდობა. და აი საქართველოს სამი აჯანყების მონაწილენი, გლეხობა და ყველა წოდების საუკეთესო წარმომადგენელნი, ნაბრძოლნი და კვლავ მებრძოლნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერ.- დემ. სტუდენტთა სამხედრო ცენტრის წევრები:
ლ. დგებუაძე, გრ. მაკარიძე, კაკო დგებუაძე.

ამ დარაზმულობის მებრძოლთა ლანდები დღეს თავს იყრიან თავის მამა მთავრის საუკუნო სადგომის გარშემო და ტკბესავით ჰფარავენ მამა დავითის ფართო კალთებს.

ერ. - დემ. ახალგაზრდობის ცენტრის წევრები
მ. ხოფერია, მ. გოგნიაშვილი, ვ. სინგჯიკაშვილი

***

მაგრამ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა რიცხვი კიდევ მეტია. ეროვნულ - დემოკრატიულ დარაზმულობას არ აუმართავს **დროშა პარტიის, არამედ ერის.** მან მოუწოდა ამ დროშის ქვეშ ყველა პარტიებს, ყველა წრეებს. დიდი ილია და მისი დასი მშვიდობიანობის დროისთვისაც გვიკარნახებდნენ ეროვნულ ერთობისა და თანხმობის დაცვას. მით უფრო საეალდებულო იყო იგი გარეშე მტრის წინაღმდეგ წარმოებულ ბრძოლის დროს. ეროვნულ დემოკრატიული დარაზმულობა მტკიცედ დაადგა და ერთგულად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიჰყვება ამ გეზს. იყვნენ უთანხმოებანი, წარსულის დაპირდაპირებათა გამოძახილი, არიან ეხლაც საერთო ბრძოლის პროცესში. მაგრამ მათ ჰფარავს საერთო მიზნის ბრძანებლობითი ძალა.

საერთო დროშის ქვეშ თანდათან გაერთიანდენ ყველა პოლიტიკური მიმდინარეობათა ფართო ფენები. ერთად წარმოებულმა ბრძოლებმა, ერთად დაღვრილმა სისხლმა და საერთო წმიდა საფლავებმა დაამკვიდრეს ქართველ ერში ახალი სულიერი განწყობილება, ახალი სულისკვეთება.

ქართველ ერში აღმოხეთქილმა ეროვნულ გრძნობის სტიქიონმა წალეკა წინანდელი ზედაპირული და ხელოვნურად გაღვივებული დაპირისპირებანი კლასობრივი, წოდებრივი, თუ კუთხური. ქართველი ერი განიკურნა და გაჯანსაღდა; იგი მტკიცედ დაადგა ეროვნულ თავისუფლებისაკენ მიმავალ ერთად ერთ სწორ გზას — შინაურ ერთობის განმტკიცებას, მეზობელ ერებთან მტკიცე კავშირისა და საერთო ძალით საერთო მტრის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის გზას.

და როდესაც ამ მეოცე ზაფხულის დამდეგს, ხორციელად ერთმანეთს დაშორებულნი, ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის წევრნი, სულიერი ძალით ერთად მოიყრიან თავს და გადაავლენენ თვალს ოცი წლის მანძილზე განაწევ ბრძოლისა და მუშაობის ეზებს, მათ შეუძლიათ გაბედულად სთქვან: არ ჩაუვლია მუქთად დაღვრილსა სისხლსა და გაწეულ შრომას! ეს დარაზმულობა არ იყო პარტია, საყოველთაოდ მიღებული მცნების მიხედვით, არამედ გაცილებით მეტი. მმართველობის გარეშე მყოფი, ის იყო დამაარსებელი და შემქნელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დარგების და ის იყო ამ სახელმწიფოებრივობის ფაქტიური გამომხატველი. მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის შექმნილი დარაზმულობა ეროვნული განსაცდელის ჟამს გადაიქცა ერის მხედრულ ძალად; ეს იყო საერო დარაზმულობა და იმავე დროს ქართული ეკლესიის დამცველი ლაშქარი; ეს იყო პოლიტიკური ფაგანგუფება და იმავე დროს ერის ყველა ეკონომიურ ძალების გამძღოლი.

და ჩვენ ვერ ეპოულობთ ვერსად მეორე პოლიტიკურს დაჯგუფებას, რომელიც წარმომობილიყოს ეგზომ მძიმე პირობებში, ემოქმედოს და ებრძოლოს ეგზომ საშინელს დროში და ამ საშინელ რღვევა - ტეხის ხანაში ასეთი საღი გზით ეკლიოს, ამდენი დადებითი საქმეები დაეფუძნოს, ამდენი ბრძოლა გადაეხადოს და ამდენი მსხვერპლი გაეღოს თავის არსებობის ოცი წლის მანძილზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს საქართველოს მრავალ საუკუნოვან წარსულის მძლავრი ეროვნული ამონახეთქი, მისი უკვდავი სულით აცოცხლებული, ქართველი ერის ყველა დიდ ღირსებითა და თვისებით შემოსილი და აღჭურვილი მესამოცანათა დიდი ეროვნული აღმშენებლობა, და მისი პოლიტიკური დარაზმულობის, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობა, ამიერიდან მტკიცედ დაფუძნებული და განმტკიცებული ჩვენი ეროვნული ცხოვრების მთელს სივრცეზე, უზადო ეროვნულ მიზნებით გაშუქებული და სამშობლოს დიდებისათვის დაღვრილ წმინდა სისხლით განოყიერებული, წარმოადგენს საიმედო და ურყევ საძირკველს ქართველი ერის ახალ ბრძოლებისათვის, აღსადგენად მისი მეობის, მისი სუვერენობის.

მან გაამჟღავნა ქართველი ერის სახელმწიფოებრივ თვისებათა ძალა და ცხოველმყოფელობა, ქართველი ერის გამძლეობა და გაუტეხავი სიმტკიცე, და მით შეჰქმნა განთავისუფლებულ საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის საიმედო ფუძე და დასაყრდენი.

ალ. ასათიანი

2 მკათათვე, 1937 წ.

1923 წლის მაისის სისხლიანი დღეები საქართველოში

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საგანგებო კომისიისაგან ინტერპარტიული კომიტეტის სამხედრო შტაბის აღმოჩენა.

განაჩენი

„ანტანტის კაპიტალისტების აგენტების დანარჩენი მუშაობა საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად მოისპო დაპატიმრებით, რომელიც მოახდინა საგანგებო კომისიამ. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის მოწყობისა და მასში მონაწილეობის მიღების და მუშურ - გლეხურ სახელმწიფოსათვის ღალატის გამო, ამ.-კავკასიის საგ. კომისიის მიერ დამთავრებულ გამოძიებით, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საგ. კომისია ადგენს: **მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი:**

1) **ანდრონიკაშვილს ალექსანდრე სიმონის ძეს,** 51 წლ. ყოფ. თავადი, გენ. შტაბის ყოფილი გენერალი. სა. სამ. სკოლის მასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი. ამ თანამდებობაზე იყო. როდესაც შევიდა სამხ. ცენტრის შემადგენლობაში და მონაწილეობს საქართ. საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადებაში და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში ბანდიტურ მოძრაობაში.

2) **წულუკიძე ვარდენ გრიგოლის ძეს.** 57 წლ. დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი. ყოფ. თავადი. ყოფ. გენერ. იყო საქართველოს წითელ არმიის მოსაზღვრე ჯარის უფროსი და ამავე დროს ინტერპარტიულ კომიტეტის წინადადების თანახმად. შევიდა სამხედრო ცენტრში. ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ცენტრის მუშაობას. სამ. ცენ. დასტურით, მუსხელიშვილთან ერთად შეიმუშავა და ინტერპარტ. კომ. საშუალებით დაუგზავნა ადგილობრივ, ხალხის და იარაღის მობილიზაციის გეგმა, ილებდა და აძლევდა ინტერპარტიულ კომიტეტს საიდუმლო ცნობებს ჩვენი წითელი არმიის მდგომარეობის შესახებ; მონაწილეობას ილებდა საქ. ბანდიტურ მოძრაობის ხელმძღვანელობაში.

3) **ხიმშიაშვილს გიორგი ნიკ. ძეს.** 31 წლ. დაამთავრა ნიკოლაევის სკავალ. სასწავლებელი. ყოფ. აზნაური, ყოფ. პოლკოვნიკი, საქართველოს ბრიგადის სამოსწავლო ბატალიონის უფროსი. იგი იყო საქ. წითელ არმიაში, როდესაც მიიღო მენშევიკების წინადადება იყოს მათი პარტიის წარმომადგენლად სამხედრო ცენტრში და მონაწილეობას ილებდა საქართ. სოც. რესპუბლიკაში ბანდიტურ მოძრაობის ხელმძღვანელობაში.

4) **მუსხელიშვილს როსტომ ილიას ძეს.** 35 წლ. ყოფ. აზნაური. გენ. შტ. ყოფ. პოლკოვნიკი. საქ. დივიზიის შტ. უფროსი. იგი იყო ამ თანამდებობაზე. როდესაც შევიდა სამხ. ცენტრის შემადგენლობაში და მუშაობდა მენშევიკებისა და ნაც.-დემოკრატების კარნახით, აწვდიდა მათ სამხედრო საიდუმლო ცნობებს და დუშეთის ამბოხების დროს რაზმის შტაბის უფროსის თანამდებობაზე კავშირი ჰქონდა ბანდიტებთან და ხელმძღვანელობდა მათ.

5) **აბხაზს კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს.** 55 წლ. უმ. სამხედრო განათლების. ყოფ. თავადი, ყოფ. გენ. ყოფ. მარაშლი, საქ. ერ.-დემ. პარტიის თავმჯდომარე. შევიდა სამხ. ცენტრში და მონაწილეობდა საქართ. ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადების ხელმძღვანელობაში. ნაც.-დემ. პარტიის ცეკაში აჯანყების საკითხის გარჩევის დროს მან, თავისივე ჩვენების თანახმად, ხმა მისცა დაუყონებლივ შეიარაღებულ აჯანყებას.

6) **ზანდუკელს მიხეილ ნიკოლოზის ძეს.** 39 წლის, სამხედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცროსი მოხელე, დუშეთის სამაზრო სამხედრო კომისარიატის სამნეო ნაწილის გამგე, მენშევიკური პარტიის დუშეთის სამაზრო კომიტეტის წევრი. 1922 წელში შეადგინა ორი ბანდა დუშეთის მაზრაში, ჰქონდა კავშირი მუსხელიშვილთან, რომელიც იმ დროს იყო საექსპედიციო რაზმის უფროსი.

7) **ბავრატიონ - მუხრანსკის სიმონ ლევანის ძე.** 27 წლის. ყოფ. ოფიცერი, ყოფ. თავადი, ეროვ.-დემ. პარტიის ცეკას წინადადებით მუაშობდა გარე-კახეთის რაიონში აჯანყების მოსამზადებლად, ხელმძღვანელობდა მენშევიკების მიერ შედგენილ ლაშქარაშვილის რაზმს გორის მაზრაში.

8) **ყარალაშვილი ფარნაოზ რევაზის ძეს,** 24 წლის, ყოფ. აზნაური, ყოფ. საქ. წითელი არმიის 1 პოლკის უფროსის თანაშემწე. 1922 წ. სექტემბერში ის იყო ძეგვის ხიდზე მდგომ ტყვიისმფრქვეველთა რაზმის უფროსად და მავე დროს დაიკავა კავშირი ლაშქარაშვილის ბანდასთან, დასთანხმდა ამ ბანდასთან შეერთებაზე.

კერესელიძე იასონ მათეს ძეს. 40 წლის, ყოფ. აზნაური, ერ.-დემოკ. პარტიის წევრი. ჯაშუშურ მუშაობის მონაწილე. ეროვნულ დემოკრატების წინადადებით კავშირი ჰქონდა ჩოლოყაშვილთან.

10) **ქუთათელაძეს ივანე გრიგოლის ძეს.** 40 წლის, ყოფ. აზნაური, ერ.-დემ. პარტიის წევრი. ეროვ.-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის მონაწილე. ერ.-დემ. ცენტ. კომიტეტის წინადადებით არდგენდა კონტრრევოლუციონურ ჯგუფს.

11) **ჭიაბრიშვილი სიმონ** ივანე **ნასყიდევორის ძეს,** 42 წლის, ვაჭარი, ერ.-დემ. პარტიის წევრი, პროფესიონალური ბანდიტი. იღებდა აქტიურ მონაწილეობას ბანდებში დუშეთის მაზრაში 1922 წელს.

12) **მაჭავარიანს ალ. მიხეილის ძეს.** 51 წლის, ყოფ. აზნაური, ყოფ. პოლკოვნიკი მეფის დროის, ქართ. დივიზიის 1-ლი პოლკის უფროსი. ეროვ.-დემოკრატების სამხ. ორგანიზაციაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ჩოლოყაშვილის ამბოხების ხანებში, მსახურებდა წითელ არმიაში და ამ დროს გადასცა ერ.-დემ. ცენტ. კომიტეტის განკარგულებანი საექსპედიციო რაზმის უფროსს როსტომ მუსხელიშვილს.

13) **გულისაშვილს ელიზბარე ზაქარიას ძეს,** 32 წლის, ყოფ. აზნაური, დამთავრებული აქვს სამხედრო სკოლა, ყოფ. პოლკოვნიკი, ერ.-დემოკრ. სამხედრო ორგანიზაციის უახლოესი მონაწილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართ. წითელ არმიაში პასუხისმგებელი ადგილი ეჭირა და ამავე დროს მიჰქონდა ცნობები ჩოლოყაშვილთან.

14) **კლიმიაშვილს ლევან ირაკლის ძეს,** 26 წლის, ყოფ. აზნაური, ყოფ. ოფიცერი საქართ. წითელი არმიისა. მიჰქონდა ცნობები ინტერპარტიულ კომიტეტის დავალებით. ეროვ. -დემოკ. ცენტ. კომიტეტის დავალებით აგროვებდა და გზავნიდა ჩოლოყაშვილთან ოფიცრებს. სამხედრო ცენტრის წევრებს შორის დაჰქონდა ცნობები.

15) **ჩრდილელი დმიტრი ნიკოლოზის ძეს,** 29 წლის, ყოფ. აზნაური, დაამთავრა კადეტთა კორპუსი, საქართველოს წითელი არმიის საარტილერიო დივიზიონის უფროსი, ერ.-დემ. სამხედრო ორგანიზაციის უახლოესი და მომქმედი წევრი. ოფიცრების ჯგუფის დავალებით სამხედრო ცენტრს უკეთებდა მოხსენებას, რომ მზათაა მის განკარგულებაში მყოფი ბატარეია გადაეცეს ჩოლოყაშვილს.

ყველა ზემო ჩამოთვლილ პირებზე გამოტანილი განაჩენი უკვე მოყვანილია სისრულეში.

(„კომუნისტი“, ნომერი 115, 25 მაისი, 1923 წ.).

ეროვნულ - დემოკრატიული პარტიისათვის

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეროვნულ - დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში ჩამოყალიბდა, როგორც ორგანიზაციული პოლიტიკური ფაქტორი, რაც წარმოიშვა ეროვნულ - დემოკრატიული პარტია. იმ ხანად საქართველოში მე ეროვნულ დემოკრატიულ პრესასაში ვთანამშრომლობდი, მაშასადამე, ამ პარტიის მუშაობასთან ვიყავი და ეს მაძლევს უფლებას და საბაბს გამოვსთქვა ჩემი შეხედულება მის წარსულისა და მის მომავალი მისიის შესახებ.

ჯერ კიდევ 1916 წელს, როცა მე სოციალდემოკრატიული პარტიის წევრი ვიყავი, დავიწყე თანამშრომლობა ქუთაისის ეროვნულ დემოკრატიული ორგანო „სამშობლო“-ში და ამ ორგანოს ფურცლებზე ვაკრიტიკებდი სოც.-დემ. პარტიის ოფიციალურ ხელმძღვანელთა პოზიციას ეროვნულ საკითხში. რასაკვირველია, ჩემი პოზიცია ეროვნულ საკითხში ბევრად უფრო ზომიერი იყო, ვინემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ დემოკრატების. მათთვის მიუღებელი იყო თვით მეთოდი, რომლითაც მე ამ საკითხის გადაწყვეტაში ვხელმძღვანელობდი, მაგრამ ვინაიდან სოციალდემოკრატიული პარტია არ ურიგდებოდა თვითკრიტიკას და ამ თვითკრიტიკისათვის პარტიის ორგანოს ფურცლები ჩემთვის დახურული იყო, ამიტომ ეროვნულ დემოკრატიული ორგანო მე მიწევდა რაინდულ სტუმართმოყვარეობას.

1918 წელს, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩემთვის ზნეობრივად შეუძლებელი გახდა სოციალდემოკრატიულ პარტიაში მუშაობა, ვინაიდან პარტია არ იწყნარებდა იმ კონსტრუქტიულ ამოცანებს, რომელიც პარტიის წინაშე დაისვა. ერთად ერთ კონსტრუქტიულ ძალას მაშინ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ - დემოკრატიული პარტია წარმოადგენდა, მაშასადამე, ჩემი ალაგი იყო სწორედ ეროვნულ დემოკრატიულ ბანაკში, და არა ანტისახელმწიფოებრივ სოციალდემოკრატიულ პარტიაში, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს სათავეში მოექცა და მის გონებრივ არსენალში კი გარდა მარქსის ფორმულებისა არაფერი მოიპოვებოდა.

სოც.-დემ. პარტიის ბელადმა ბ. ნ. ჟორდანიამ სწორედ ამ ხანაში წარუდგინა პარტიას თავისი გეგმა შესახებ იმისა, თუ რა მიზანს უსახავდა იგი სოციალდემოკრატიულ პარტიას, როგორც სახელმწიფოს სათავეში მყოფ ძალას. თუმცა მან აღიარა სისუტე ქართული ბურჟუაზიისა, (კაპიტალისტთა წრე საქართველოში ისეთი ვე სუსტი იყო, როგორც პროლეტარიატი და მთავარ ბურჟუაზიულ ძალას გლეხობა წარმოადგენდა), მაგრამ იმავე დროს მას ბურჟუაზია ისეთ მისტერიულ ძალად მიაჩნდა, რომელსაც შეეძლო ადვილად გაბატონებულიყო სახელმწიფოში, თუ სოციალდემოკრატია არ მიიღებდა შესაფერ ზომას ესე იგი არ მოაწყობდა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ისეთ ნიადაგზე, რომელსაც შეეძლო უზრუნველეყო საქართველოს პროლეტარიატი ბურჟუაზიის მიერ ხელისუფლების დაპატრონებისაგან. ასეთ გარანტიად მან ჩასთვალა საფრანგეთის რევოლუციის დროს მონტანიარების მიერ, 1793 წელს, შემუშავებული ანარქიული კონსტიტუცია, რომლის გატარებას თვით ამ კონსტიტუციის ავტორნი წინ აღუდგენ, ვინაიდან დაინახეს, რომ ამ კონსტიტუციის ფარგლებში საფრანგეთს არ შეეძლო გარეშე მტრების მოგერება. აი ამ კონსტიტუციას ას ოც და ხუთი წლის წინად მხოლოდ ქაღალდზე დაწერილს და არასოდეს სისრულეში მოყვანილს, ღებულობენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების სოც.-დემ. მშენებელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

სოც.-დემ. მეთაურები ქართულ ბურჟუაზიას სუსტად და ულირსად სთვლიდნენ სახელმწიფოს მეთაურობისათვის, და თანაც ეშინოდათ, ვაი, თუ ჭკვიანური კონტროლიცა შეემუშავეთ, და ამ ბურჟუაზიამ ეს ძალაუფლება ხელთ იგდოსო. მათი პოლიტიკური აზროვნება იყო დამყარებული იდეე ფიქსზე. ბურჟუაზიის მისტერიულ ძალაზე და მისგან თავდაცვა წამოადგენდა სოც.-დემ. მთავარ საზრუნავ საგანს იმ დროს, როდესაც ერის ყოფნა - არ - ყოფნის საკითხი ისტორიამ მათ ჩაუგდო ხელში. მათ აზროვნებაში არავითარი ადგილი არ ეჭირა იმას, რაც წარმოადგენდა აუცილებელ პირობას ამ საკითხის გადასაწყვეტად და ერის მომავლის უზრუნველსაყოფად, ე. ი. სინამდვილის საღ შეგნებას. აი აქ იყო პრინციპიალური განსხვავება ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისაგან, როგორც ქართულ ნაციონალურ ლიბერალიზმის, და მარქსისტულ სოციალისტურ პარტიის შორის. ეროვნული დემოკრატია ერის ბედიღბალის საღ შეგნებაზე აშენებდა და ეს გარემოება აძლევდა ამ პარტიას კონსტრუქტიულ ხასიათს. სოციალდემოკრატია კი საღ შეგნებას არ ეკითხებოდა და მისთვის ერთად ერთ წყაროს სახელმწიფოებრივ საკითხების გადასაწყვეტად მარქსის რევოლუციური დოქტრინა წარმოადგენდა. ეს დოქტრინა კი ისეთ პრინციპებზე არის აშენებული, რომელიც ძირიანფესვიანად ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას.

აქ იბადება ფრიად საინტერესო საკითხი შესახებ იმისა, იყო თუ არა ქართულ სოციალდემოკრატიულ პარტიისათვის სავალდებულო ასეთი ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი მისი მიმართულებისა. ამ საკითხს მე უარყოფით უნდა ეუპასუხო. მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმი არსებითად ანტისახელმწიფოებრივ დოქტრინას წარმოადგენს, შეიძლებოდა ამ დოქტრინისათვის პარტიის ხელმძღვანელებს კონსტრუქტიული ხასიათი მიეცათ, რომ მათ სათანადოთ ჰქონოდათ დაფასებული საქართველოს და თვით პარტიის მდგომარეობა და მოსალოდნელი ბედი.

მართლაც მარქსის დოქტრინას მეცნიერული სოციალიზმი ეწოდებოდა, თვით მარქსი გამოჩენილი მეცნიერი ეკონომისტი იყო. მე მივიღე ეს დოქტრინა ისე, როგორც სოც.-დემ. პარტიის ხელმძღვანელებმა, როგორც ჭეშმარიტება, მიუხედავათ იმისა, რომ მარქსიზმი ჭეშმარიტებასთან ძალიან შორს იმყოფებოდა. ადამიანში და, მეტადრე, მოსწავლე ახალგაზდობაში, ძლიერია მსოფლმხედველობისაკენ მიდრეკილება, თანაც ძნელია გარჩევა იმისა, რა არის ჭეშმარიტება, ასე რომ არავის არ გაემტყუნება მიღება შემცდარი დოქტრინის, როგორც ჭეშმარიტების, მაგრამ ვინც ამა თუ იმ დოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრინას ღებულობს და მასზე პოლიტიკას აგებს, უნდა იცოდეს, რომ იგი ერის წინაშე მძიმე პასუხისმგებლობას კისრულობს.

1911 წლიდან, შემდეგ იმისა, რაც მე გავიცანი გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი ადოლფ ვაგნერის პოლიტიკური ეკონომიის პირველი ტომი, ძალზე შესესტდა სულიერი ნათესაობა ჩემსა და ჩემს მაშინდელ პარტიულ ამხანაგებს შორის. მართლაც, მარქსისტები, ლიდერებიდან დაწყებული ჯარისკაცამდის, ფიქრობდნენ, რომ საკმარისია მარქსიზმი იცოდე. რომ იცოდე ყველაფერი. მე კი ვფიქრობდი, რომ ვინაიდან მარქსიზმი მეცნიერული დოქტრინაა, ამიტომ **რომ იცოდე იგი, ამისათვის საჭირო, ბევრი სხვა იცოდე.** ჩემს წინაშე დაისვა პილატეს საკითხი შესახებ იმისა, თუ რა არის მეცნიერება, მაშასადამე, თვით მეცნიერება როგორც ასეთი გახდა საგანი ჩემი სტუდიის და ამასთან ერთად მარქსიზმი, როგორც მეცნიერული სისტემა. მე ვერ მივიყვანე ბოლომდის ჩემ მიერ შემუშავებული გეგმა სტუდიის. ამაში ჩემი ბრალიც იყო და აგრეთვე ჭეშიერ პირობებისაც, მხოლოდ რაც შეეხება სოც.-დემ. პარტიის ლიდერებს, მათ უთუოდ ჰქონდათ დრო, საშუალება და ნიჭი, ცხოვრების ასპარეზზე მისულიყვნენ არა როგორც მარქსიზმის ბრმა მიმდევარნი, არამედ როგორც მეცნიერი ეკონომისტი; ამ შემთხვევაში სოციალდემოკრატიული პარტიის მუშაობას სხვა ხასიათი მიეცემოდა; პარტიას ეყოლებოდა გენერალური შტაბი, აღჭურვილი იმავე თვისებებით, როგორც დაწინაურებულ ქვეყნების სამხედრო შტაბებში, ესე იგი თავის საქმის მეცნიერული ცოდნით. ეს განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როდესაც პარტია ამა თუ იმ მეცნიერულ დოქტრინაზე აგებს თავის მუშაობას. თუ მეცნიერებას ყოველთვის არ ახასიათებს ჭეშმარიტება, ამ ჭეშმარიტების სიყვარული მაინც მისგან განუყრელია და იგი არის ერთად ერთი გარანტია იმ ხიფათისაგან, რომელსაც შემცდარი დოქტრინა ერს უმზადებს. პარტიამ არ იზრუნა ამ გარანტიის შექმნისათვის და მით თავისი პოლიტიკის დამარცხება თვითონვე მოამზადა.

1918 წელს ჩემთვის საბოლოოდ გამოირკვა, რომ სოციალიზმს იმდენად აქვს არსებობის უფლება, რამდენათაც იგი დაშორებულია მარქსისტულ ფუძეს, რამდენადაც იგი მჭიდროდ შეკავშირებულია სახელმწიფოებრივ იდეასთან, რამდენად მაშასადამე, იგი არის ბრძოლა არა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული, არსებულ სოციალურ წყობილების ინტეგრალურად გარდაქმნისათვის, არამედ სახელმწიფოს იდეალურ მიზნების თანდათანობით განხორციელებისათვის. ასეთი სოციალიზმი კი არის **კონსტრუქტიული სოციალზმი,** რომელიც, ჩემის აზრით, თავსდება ეროვნულ დემოკრატიულ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრაობაში, ვინაიდან 1918 წელს ყოველ შეგნებულ ქართველის წინაშე იდგა ამოცანა არა სახელმწიფოს იდეალურ მიზნებისათვის ბრძოლა, არამედ ბრძოლა თვით სახელმწიფოსათვის, ქართველი ერის ხსნა მარქსისტების უმეცარ ექსპერიმენტებისაგან. აქაც იბადებოდა პილატეს საკითხი შესახებ იმისა, თუ რა არის სახელმწიფოებრივობა და უკეთ რომ ვსთქვათ, როგორ უნდა გატარდეს იგი ქართულ სინამდვილეში.

ამ საკითხზე პასუხის გაცემა აღმატებოდა ყოველ ქართველის ძალას, მხოლოდ საქართველოს სინამდვილე იძლეოდა შესაძლებლობას ამ საკითხის გადაწყვეტისას, მხოლოდ საჭირო იყო ყველა კონსტრუქტიულ ძალათა გაერთიანება, და ჩემს ოცნებას წარმოადგენდა ამ გაერთიანებულ კონსტრუქტიულ საქართველოში მონაწილეობის მიღება და ერის წინაშე წამოყენებულ ამოცანათა გადაწყვეტაში ჩემი წვლილის შეტანა. იქ, სადაც შეიქმნებოდა ორგანიზაციული შეკავშირება კონსტრუქტიულ მოძრაობის ყველა ფორმებისა, შესაძლებლობა ცოდნისა და გამოცდილების კონცენტრაციის, იქ ჩემის ფიქრით, მეც შემეძლო სასარგებლო თანამშრომელი ვყოფილიყავი. როდესაც ერთ მოძრაობაში ყველა საღად მოაზროვნე ქართველები შეერთდებოდენ, სადაც ერთის გამოცდილება მეორისას მიემატებოდა, იქ შეიძლებოდა იმ დიად საკითხების გადაჭრა, რომელიც ისტორიამ ქართველ ერს წამოუყენა.

საამაყო ფურცელს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ისტორიაში წარმოადგენს სწორედ ამ შესაძლებლობის შექმნა, კონსტრუქტიული ძალების გაერთიანება და მის სათავეში ამ ძალების საუკეთესო ბელადების მოქცევა. განსვენებულ კოტე აფხაზის მეთაურობით, ეს მოხდა 1921 წლის დასაწყისში; ეს იყო ერთი უდიდესი აქტი ქართველი ერის ისტორიის, როცა დაქსაქსული ეროვნული ძალები გაერთიანდენ, და ამ გაერთიანებულ, ეროვნულ დემოკრატიულ მოძრაობაში შევიდა ყველა სახელმწიფოებრივი ძალები და თვით ქართული მეცნიერება. სამწუხაროდ, ეს მოხდა იმ დროს, როცა საქართველოს დღეები უკვე დათვლილი იყო. სოციალდემოკრატიულ წრეებში დღესაც ადგილი აქვს დემაგოგიურ მტკიცებას, რომ საქართველოში არ იყო ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლო სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოეცვალა.. მათთვის სრულებით გაუგებარი დარჩა ის, თუ რა მოხდა ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში 1921 წლის დასაწყისში, — გაერთიანება ქართული ლიბერალიზმის ქართულ აკადემიურ მეცნიერებასთან და ამიტომ შექმნა ერთი დიდი სერიოზული პოლიტიკური ძალის. ამ გაერთიანებაში ისეთი პირები შევიდენ, რომელთაც სახელმწიფოებრივ საკითხებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალდემოკრატიული საქართველოს ხუროთმოძღვრები მოწაფეთ არ გამოდგებოდენ. საქართველოს რომ დასცლოდა, ცოტა ხნის არსებობა, მახლობელ თვეში განზრახულ საპარლამენტო არჩევნების დროს სოციალდემოკრატიულ პარტიას ისეთ ძალასთან ექნებოდა საქმე, რომლის უპირატესობა ცხადი იქნებოდა ყოველ შეგნებულ ქართველისათვის.

მაშინ, შესაძლოა, უკვე სავსებით გამომჟღავნდებოდა ქართულ სოც-.დემოკრატიის ანტიდემოკრატიული ხასიათი და არჩევნებში გამარჯვებულ კოტე აფხაზის და ნიკო ნიკოლაძის საქართველოს დასჭირდებოდა მკაცრი ზომების მიღება ხელისუფლებაზე მათი უფლების განაღდებისათვის. საუბედუროდ, მშრალ და განყენებულ დოგმებზე, და არა სახელმწიფოებრივ საფუძვლებზე დაფუძნებული საქართველო მალე მტერს ჩაუვარდა ხელში და ეროვნულ დემოკრატიას არ მიეცა საშუალება გამოეყენებინა თავისი კონსტრუქტიული პოტენცია საქართველოს სახელმწიფოებრივობის ტრიუმფისათვის.

გაერთიანებულ კონსტრუქტიულ ეროვნულ დემოკრატიულ საქართველოს ბელადს არ დასცალდა გამხდარიყო საქართველოს ბელადი. იმის მაგივრად რომ მას ემუშავნა საქართველოს სახელმწიფოებრივობის განმტკიცებისათვის და ამისათვის მოეხმარა თავისი სიდარბაისლე, ცოდნა და გამოცდილება, მას წილად ხვდა მტრისგან დაპყრობილ სამშობლოსათვის გმირული სიკვდილი.

ნაცვლად იმისა, რომ ეროვნულ დემოკრატიული დროშა საასახლეში აღმართულიყო ბრწყინვალე ზეიმით, იგი აღიმართა დაპყრობილ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზზე და წითლად შეიღება მრავალი თავდადებულის ქართველისა და თვით მისი ბელადის კონსტანტინე აფხაზის სისხლით.

ეროვნული დემოკრატიის ვალია ძეგლი აუგოს მის სასახელო ბელადს და ეს საუკეთესო ძეგლი იქნება აღსრულება მისი ანდერძის, გაერთიანებულ - შეკავშირებულ ძალებით გამოსვლა საქართველოს ისტორიულ ასპარეზზე, როდესაც დაჰკრავს წამი ერის განთავისუფლებისა.

ვლ. ემუხვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

† თ დი იოსეფ დადიანი

(1863 — 1937)

ხელთ მიპყრია საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის საზღვარ - გარეთელ ცენტრალურ ბიუროს სააღრიცხო ბარათი № 30. „იოსებ იულონის ძე დადიანი, დავიბადე 1863 წ. სენაკის მაზრაში, სოფელს მოდინახეში. განათლებით — სამთამადნო ინჟინერი... ეროვნულ - დემოკრატიულ მიმართულებას ვემხრობოდი ყოველთვის. პარტიაში ვირიცხები მისი დაარსებიდან... მანამდე ვეხმარებოდი ფედერალისტებს, სანამ ნამეტნავად არ გასოციალისტდენ. ეროვნულ - დემოკრატიულ ორგანიზაციაში ვირიცხებოდი — ბაქოში, თბილისში და ემიგრაციაში. პარტიაში ვასრულებდი თანამდებობებს — კომიტეტის თავმჯდომარისა — ბაქოში და სტამბოლში, და წევრის — პარტიის მთავარი კომიტეტისა და საზღვარგარეთის ცენტრალურ ბიუროსი“.

ადამიანის ბუნება ფრიად რთულია. მას თანდასდევს მრავალი გამოუცნობი მოვლენანი, მრავალი საიდუმლოება, რომელთა ერთი ნაწილი გამოუცნობი რჩება ცხოვრების მანძილზე და საიდუმლოებად ჩაჰყვება მას საფლავში.. იოსებ დადიანის ბუნების ერთს ასეთს გამოუცნობ საიდუმლოებას შეიცავს ეს მისი სააღრიცხო ბარათი. არამც თუ გარეწითათვის, არამედ თვით პარტიის ფართე ფენებისათვისაც უცნობი იყო განსვენებულის ადგილი ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის მუშაობაში, მის მიერ ასე ლაკონურად აღნუსხული. განსვენებულის ცხოვრების პირობები და ათეულ წლეთა მანძილზე სამშობლოს საზღვრების გარეშე ყოფნა — ყოველივე ეს თითქოს შეუძლებლად ხდიდა მის ასეთს მუდმივსა და ასე ახლო მონაწილეობას პოლიტიკური პარტიის ცხოვრებაში. მაგრამ ეს შეუძლებელი შესაძლებლად გახადა განსვენებულის იმ თვისებებმა, რომელნიც იოსებ დადიანის ბუნების საიდუმლოებას წარმოადგენდენ მის სიცოცხლეში და ასეთსავე საიდუმლოებად რჩებიან მისი ცხოვრების დასრულების შემდეგ.

განსვენებული „ყოველთვის“ იყო ასეთი მიმართულების, ყოველთვის მას მისდევდა კვალ და კვალ და თვით ცხოვრების დასასრულში, როდესაც მას გამოლეული ჰქონდა ფიზიკური ძალა დაღონე, უკანასკნელ ძალას იკრეფდა, რომ სავსებით არ დაშორებულიყო პარტიულ საქმეს, და თავის სიცოცხლის უკანასკნელ თვეში თავის სავარძელს არ სტოვებდა პარტიის მიერ გამართულ საჯარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენების დროს, თუმცა ასეთს შეკრებილობებში მონაწილეობის მიღება მას უკვე ორი წლის წინეთ ჰქონდა აღკრძალული.

როდესაც ვიგონებთ დაუვიწყარ იოსებ დადიანის ასეთს ბუნებას, თვალწინ წარმოგვიდგება ასეთ თვისებებით აღჭურვილთა სხვა სახეები. ვინც იცნობდა კონსტანტინე აფხაზის მიერ განვლილ ცხო-



† თავ. ი. ი. დადიანი ერ. - დემ. ბიუროს წევრი.

ვრების გზას, მისი მოღვაწეობის არეს, ადვილად ვერ დაიჯერებს რომ, როდესაც კონსტანტინე აფხაზი ჩადგა ჩვენი პარტიის რიგებში, მთელი თავის არსებით ცდილობდა პარტიულ ძალთა მეორე ხაზზე დარჩენას, ხოლო როდესაც პარტიას დაუდგა მწარე დღეები, და მშვიდობიან სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის შექმნილი დარაზმულობა სამხედრო ბანაკად გადაიქცა, მყის მოექცა მას სათავეში და წმიდა ზვარაკად მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე ძნელად დასაჯერებელი იქნება ბევრისათვის ის ამბავი, რომ ქართველი პედაგოგიის საუკეთესო ნიმუში, ახალგაზდობიდან-ვე ქართული სკოლის დაუღალავი კალატოზი და საზოგადო მოღვაწის ყველა კეთილშობილური თვისებათა განსახიერება — იოსებ ოცხელი, იყო დასავლეთ საქართველოში ჩვენი პარტიული ყოველივე აქტიური მოქმედების სულის ჩამდგმელი და ფაქტიური ხელმძღვანელი. ამათი, და კიდევ სხვათა, ასეთი ბუნების აღწერა დიდი მწერლის კალამს დაუცდის. ხოლო მათი პარტია აქედანვე მოათავსებს მათს სამარადისოდ ცოცხალ სახეებს საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენისათვის საუკეთესო მებრძოლთა აწ უკვე მდიდარს პანთეონში.

მაგრამ იოსებ დადიანის ბუნების ფრიად იშვიათი თვისებები ამ მოვლენებით არ განისაზღვრებიან. მისი მოღვაწეობის სხვა სფეროები, და თვით მისი პირადული და ოჯახური ცხოვრებაც აღბეჭდავენ მრავალ სხვას.

ახალგაზდა, გარეგნული და შინაური ბუნების ყველა მშვენიერებითა და ღირსებით აღჭურვილი, დიდი გვარიდან გამოსული, უმაღლეს სწავლა დამთავრებული, პირადი ცხოვრების უმთავრეს სარბიელზე გამარჯვებული, და საყვარელ ადამიანთან სამუდამოთ შეუღლებული, ქონებრივი ძალითა და უმძლავრეს კავშირებით აღჭურვილი, — მის წინაშე ფართედ იყო გახსნილი უდიდესი იმპერიის მწვერვალებისაკენ მიმავალი გზები. იოსებ დადიანი უჭოჭმანოდ სტოვებს მას და მიაშურებს თავის სამშობლოს თითქმის სავსებით გაცივებულ კერას. ამის შემდეგ, ორმოცი წლის მანძილზე, არ მიტანილა ამ კერაზე არც ერთი ნაკეერცხალი, კვლავ მის ასაღვივებლად და ასანთებად, რომელსაც არ მისწვდენოდეს იოსებ დადიანის ხელი. ქართული სკოლაა ეს, თუ ქართული ეკლესია, ისტორია და არქეოლოგია, თუ ერის ცოცხალი სული — მისი მუსიკა, მისი მწერლობა, ხელოვნება, ერის სულიერი ცხოვრების, თუ მისი ეკონომიური ძალების, მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის და აღებმიცემობის დაფუძნების და განმტკიცების საქმე, იოსებ დადიანის უხილავი ხელი მას აწვდის დახმარებას თაოსნობით, შრომით, ქონებრივი სახსარით. ყველა ამ საქმეთა გამომწყობი იოსებ დადიანის ასეთი დახმარება წინასწარ აქვთ ჩარიცხული. ნავარაუდევი, ეს საძებარი და გამოსარკვევი არ არის.

და ყოველივე ეს იცის მხოლოდ მცირე გუნდმა, ვიწრო წრემ. იოსებ დადიანი მუდამ უტყვია მის მიერ ნაკეთების შესახებ. ხოლო სხვათა ღვაწლზე მეტყველება ხომ მუდამ იშვიათი მოვლენაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ოისებ დადიანი დიდის სიმდიდრით იწყებს სამრეწველო მოღვაწეობას მთელი მსოფლიოს ერთ - ერთ უმდიდრეს სამრეწველო ცენტრში, ბაქოში. მრავალნი, ბოგანოთ მოსულნი აქ დიდს სიმდიდრეს ჰქმნიან, ოისებ დადიანის სიმდიდრე კი კლებულობს და მცირდება. მისი ხელი მუდამ გაშლილია ერის ყველა საჭიროებებისათვის, პირადი ქონება მას ეროვნულ სალაროდ აქვს გადაქცეული. ამას გარდა ის აქ ქართველობას წარმოადგენს. ამ უდიდეს ინტერნაციონალურ ქალაქში ის ბრწყინვალე წარმომადგენელია ქართული რასის ყველა საუკეთესო თვისებებისა, და ამ ბრწყინვალე წარმომადგენლობას, რასაკვირველია, მისი პირადი სალარო ჰკვებავს. უცხო ულღლის ქვეშ მყოფ დაუძლურებულ საქართველოს ამ საიდუმლო ელჩმა დიდათ ასწია ჩვენი ერის პრესტიჟი იქ, სადაც თავს იყრიდნენ კავკასიის, რუსეთის და მრავალ ევროპიულ ერების მძლავრი ეკონომიური წრეები, და მრავალი მეგობრული და კეთილ - მეზობლური განწყობილების ძაფი გაუბა ჩვენს ერს.

ცხოვრების ასეთი გეზი, შემდეგ რევოლუციონური გარდატეხებით დამძიმებული, ბუნებრივად უქმნის ოისებ დადიანს მატერიალურ სიძნელეთა და დაბრკოლებებს.

მაგრამ მისი კრედიტი და ნდობა არასოდეს იზომება მისი ეკონომიური შესაძლებლობით, არამედ მისი პირადული ღირსებით. ის უსაზღვროა, და ოისებ დადიანისათვის არ არის შედგენილი საკრედიტო ნორმები, თამასუქები. თამასუქებს ართმევენ, რომ მისი თავმოყვარეობა არ შელახონ, ხოლო არავის მოსდის აზრად, რომ თამასუქის ვადას თვალყური ადევნოს და ის გასანაღდებლად წარადგინოს. ყველას თვალში მისი ღირსებაა ყველაზე უფრო მძლავრი და საიმედო თამასუქი.

ოისებ დადიანი უაღრესად სადა ადამიანია, და ეს არ არის გარეგნული მისი ნიღაბი, არამედ მთელი მისი არსების შინაარსი. თავის წრის ხალხისათვის ის უკიდურესი დემოკატია. სხვათათვის ის არისტოკატია, ფაქიზი, მაგრამ მაინც თავის მდგომარეობით. და მაშასადამე, სულისკვეთებითაც ხალხზე დაშორებული. მაგრამ არც ერთნი არიან მართალნი და არც მეორენი. ხალხისნური თუ არისტოკრატიული სულისკვეთება ერთმანეთს უპირდაპირდება ცხოვრების წვრილმან დავათა ასპარეზზე, მაგრამ ის თავს იყრის, ერთდება, როდესაც ადამიანის ბუნება ამაღლდება ცხოვრების ამ წვრილმან დაპირდაპირებებზე. ამაღლებული არისტოკრატიზმი იგივეა, რაც ამაღლებული დემოკრატიზმი, და ასეთი იყო განსვენებულის ბუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

იოსებ დადიანის ბუნების ასეთი თვისებები თუ საკმარისად არ იყო გამომზეურებული და ბევრისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა, სამაგიეროთ მრავალი სხვა მისი თვისებები ყველასთვის იყო თვალსაჩინო და ცნობილი მისი განსაცვიფრებელი მომთმენლობა, სიდინჯე და სიმშვიდე საარაკოდ იყო მიჩნეული. ერთი მისი მახლობელი მეგობრისაგან გამიგონია: — დარწმუნებით შეძლია ვთქვა, რომ იოსებ დადიანს ერთი არამც თუ გაჯავრებული, არამედ უბრალოდ ამაღლებული სიტყვაც არ ექნება ნათქვამი თავის ოჯახში ორმოცი წლის მანძილზეო. საყოველთაო საზომის მიხედვით, ეს ხასიათის სისუსტედ არის მიჩნეული, ნამდვილად კი ასეთი ხასიათი მხოლოდ ფრიად მძლავრი ბუნების სამკაულია. იოსებ დადიანის სიმშვიდეს ვერ შარაყვედა ის, რაც სხვებს ადვილად უკარგავს წონასწორობას; მაგრამ თუ ნაწყენობა, ან შეურაცყოფა გადასცილდება იოსებ დადიანის მაღალს საზომს, ისევე მძლავრი იყო მისი მრისხანება, როგორც მისი მუდმივი მოთმინება და სიმშვიდე. ერთს ასეთს შემთხვევაში განსვენებულმა ერთი ზღვის ნაპირიდან მეორე ზღვის ნაპირამდე მისდია გაქცეულ შეურაცმყოფელს, იქ მოძებნა და დაკმაყოფილება მიიღო.

მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია მის ცხოვრებაში, და მუდმივი მისი ბუნება არის ლაღი და წყნარი, ბევრის მომთმენი, ბევრის ამტანი, ციურ სიმაღლიდან დამცქერალი ყოველივე იმისა, რაც უკარგავს სხვას მოთმინებასდა წონასწორობას. იოსებ დადიანი მსაჯულია და არბიტრი ყოველს დავასა და უთანხმობაში. თვით უმძიმეს ემიგრანტულ პირობებმაც ვერ შესცვალა ეს მისი ბუნება. ის იგივეა დიდს სიღარიბეში, როგორიც იყო დიდს სიმდიდრეში. ემიგრანტულ ჯგუფურსა და პიროვნულ უკიდურეს დავებში ის მუდამ გამშავებელია და შემრიგებელი. სხვათა შეურიგებლობა, უთანხმოებისა და ჯანყის მთესველი ბუნება, და დაქსაქსულობისა და დაშლილობის ატმოსფერა ერთი წუთითაც ვერ არღვევს მის ოლიმპიურ სიმშვიდეს. იოსებ დადიანი ყოველთვის და ყოველგან ეროვნულ ძალთა მორიგების, თანხმობისა და ერთობის დამცველია. ამის გამო, გასაგებია, რომ არ არის ჩვეულებრივი მისდამი განწყობილება და დამოკიდებულება თვით იმ პოლიტიკურ წრეთა, რომელნიც უპირდაპირდებიან მის აზრსა და გეზს. ასეთი უთანხმოება და დავა არასოდეს ბღალავს ამ წრეთა განსაკუთრებულს ნდობასა და პატივისცემას იოსებ დადიანის პიროვნებისადმი.

ასეთს ადამიანს, ბუნებრივია, ნაკლებად ექნებოდა პირადული ცხოვრების ასპარეზზე დავები და უკმაყოფილებანი. მაგრამ სავსებით მას ადამიანი ვერასოდეს ასცდება თავის ცხოვრების გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის გასაკვირველი, რომ იოსებ დადიანისადმი ეს პირადული დავები და უთანხმოებანი თავისებური იყო და არა ჩვეულებრივი, და ასევე მისი მომდურავნიც. მე მინახავს იოსებ დადიანის ეს მოდავენი და მომდურავნი, თავის მისდამი სამდურავს მისივე ქება-ხოტბით რომ იწყებდენ და ამითვე ათავებდენ. თითქოს შიშობდენ, რომ ამ უთანხმოებისათვის ბრალი თვით იოსებ დადიანს არ დასდებოდა. სამდურავ საქმისათვის დამნაშავე და ბრალდებული იყო ყველა-მახლობელნი და შორეულნი, გარდა თვით იოსებ დადიანისა.

იოსებ დადიანის ბუნების ერთს უმთავრეს საიდუმლოებას მაინც წარმოადგენს კიდევ სხვა. განსვენებულმა თავის სამშობლოს გარეშე გაატარა ცხოვრების სამი მეოთხედი. მაგრამ მის ბუნებაში ამას არ შეუტანია იმდენი ცვლილება, რამდენსაც ბევრი განიცდის სამი - ოთხი წლით სამშობლოს დაშორების გამო. იოსებ დადიანის ქართული ბუნება დარჩა სულ მცირედაც უცხო ელფერ გადუკვრელი, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე მას მშობლიურ სოფელში გაეტარებინოს.

მაგრამ ყოველივე ეს განსვენებულის თვისებანი, რომელთაც ჩვენ ვამჩნევდით და ვხედავდით, კიდევ არ არიან საკმაო მთელი მისი ბუნების შეცნობისა და დაფასებისათვის. უთუოდ კიდევ მრავალი სხვა, ჩვენთვის უხილავი და გამოუცნობი ღირსება იყო ჩამარხული იოსებ დადიანის არსებაში, და, შესაძლოა, სწორედ ეს იყო ის უმთავრესი, რომელიც მოსავდა განსაკუთრებული სილამაზით ქართული ტომის საუკეთესო თვისებათა ამ მშვენიერ გაშოსახულებას.

ალ. ასათიანი

პოლონეთის მარშალი ედვარდ რიძ - სმიგლი

პოლონეთის სახელმწიფოებრივი აღდგენის დღიდან ოცი წელიწადიც არ არის გასული და პოლონეთი უკვე ირიცხება მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა რიგში. ბუნებრივია, რომ პოლონეთის ასეთი აღორძინების მეთაურთა პიროვნება დიდს ინტერესს იწვევს მთელს მსოფლიოში. ასევე ბუნებრივია, რომ ჩვენი, ქართველების ინტერესი მათდამი არის გაცილებით უფრო დიდი და განსაკუთრებული, პოლონეთის მიერ საუკუნეთა მანძილზე განვლილი ისტორი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ული გზა დიდათ ჩამოგავს საქართველოსას. რუსეთის ბატონობის ხანამ კიდევ უფრო გაათანასწორა ამ ორი ერის ბედი და დაახლოვა მრავალი უხილავი ძაფებით მათი ბრძოლა განთავისუფლებისათვის, მათი მიზანი და მისწრაფებანი. პოლონეთი ამ ხანად ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ჩვენი სამშობლო კი კვლავ დაპყრობილი და კვლავ განთავისუფლებისათვის მებრძოლი. მაგრამ ამ ორი ერის ახალი ვითარების სხვადასხვაობას სრულიად არ შეუცვლია მათი ერთმენეთისადმი განწყობილება. წინააღმდეგ ამისა, შესაძლოა, პოლონეთის ერს არასოდეს არ ჰქონია უცხო უღლის ქვეშ მგმინავ ქართველი ერისადმი ისეთი თანაგრძნობა და კეთილი განწყობილობა, როგორც ეხლა. პოლონეთში მობინადრე ქართველობა ყოველს ფეხის გადადგმაზე ხედება უტყუარ საბუთებს იმისა, რომ ასეთი თანაგრძნობა ქართველი ერისადმი არ არის განცდა რომელიმე წრისა და ჯგუფის, არამედ საერთო. მთელი ერის.

პოლონეთის დიდი მარშალის, იოსებ პილსუტკის გარდაცვალების დროს არამც თუ პოლონეთის გარეშე, არამედ თვით პოლონეთშიდაც ბევრი გამოსთქვამდა შიშს, რომ ვაი თუ განსვენებულ მარშალს არ გამოსჩენოდა ღირსეული მემკვიდრე პოლონეთის აღდგენისა და განმტკიცების საქმეში. მაგრამ ვინ იცოდა, რომ მარშალ პილსუტკის უკვე ჰყავდა ასეთი მემკვიდრე, რომელიც მისი მარჯვენა ხელი იყო პოლონეთის განთავისუფლებისათვის წარმოებულს ბრძოლებში და აღდგენილ სახელმწიფოს აღმშენებლობაში, და მრავალჯერ იყო მის სიცოცხლეში მისი მოადგილე და მაგიერი.

ეს პირი იყო მარშალი სმიგლი, პოლონეთის შეიარაღებულ ძალთა გენერალური ინსპეკტორი და პოლონეთის შეიარაღებულ ძალთა სარდალი.

მარშალი ედვარდ სმიგლი დაიბადა 11 მარტს 1886 წ. საშუალო მდგომარეობის ოჯახში, ქ. ბეეზანში. სმიგლი იყო ჯსეედნინმი, რომელსაც ხმარობდა ედვარდი თავის სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის არა ლეგალური ბრძოლის დროს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ქ. კრაკოვში იგი შედის მათეიკას აკადემიაში; ამ ქალაქშივე ამთავრებს იგი უძველეს უნივერსიტეტის ფილოსოფიურ დარგს 1914 წ. იმავე დროს სმიგლი მთელი არსებით ეძლევა სამხედრო ხელოვნების შესწავლას. იმ წლეებშივე ახალგაზრდა სმიგლი უქვემდებარებს თავის თავს იოსებ პილსუტკის და გადადის მის განკარგულებაში, როდესაც იგი იმ ხანებში იწყებს პოლონეთის შეიარაღებულ ძალების შედგენას და აარსებს პირველ პოლონურ სამხედრო სკოლას. ზემოხსენებულს მუშაობაში ახალგაზრდა სმიგლმა დაიმსახურა სრული ნდობა იოსებ პილსუდსკის, როგორც მისმა საუკეთესო მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაფემ. სმიგლი ამთავრებს სამხედრო სკოლას 1913 წ. და ერთი წლის შემდეგ ინიშნება ათასეულის უფროსად რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ პოლონურს ლეგიონში. რუსეთთან ომში მარშალ იოსებ პილსუდსკი ანდობს მას უმძიმეს ფრონტის ნაწილებს და აკისრებს უძნელეს ამოცანებს. ახალგაზრდა სარდალმა ყოველთვის და ყოველგან გაამართლა პილსუდსკის იმედები.

პოლონეთის მარშალი რიძ - სმიგლი.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამ ადგილას ერთი ბრძანება, რომელშიაც იოსებ პილსუდსკი გამოსთქვამს მთელს თავის ნდობას და სიყვარულს თავის უახლოვეს თანამშრომელის, პოლკოვნიკ სმიგლი - რიძის მიმართ. „მხედარნო! მოკლე ხნით გტოვებთ, რათა შევასრულო სხვა მოვალეობანი; პოლკოვნიკ სმიგლი - რიძის გამოცდილს ხელში ვტოვებ თქვენზე უფროსობას. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურავთ მას იმავე ნდობითა და სიყვარულით, რომლითაც მე გყავ-
დით აღჭურვილი.“

მართლაც, პოლკოვნიკი სმიგლი - რიძი ყოველთვის სარგებლო-
ბდა ჯარისკაცთა განუსაზღვრელი სიყვარულით.

1917 წ. სმიგლი - რიძი რჩება მარშალის მოადგილედ, როდე-
საც იქმნა დატყვევებული და მაგდებურგის ციხეში დაპატიმრებული.
იმ პერიოდში იგი აწარმოებს ფრიად ინტენსიურ კონსპირაციულ მუ-
შაობას, ხელმძღვანელობს ფარულ პოლონურ სამხედრო ორგანიზა-
ციებს და ამზადებს გერმანელ - ავსტრიელ ჯარების განიარაღებას
1918 წელს. მაშინდელი პოლონეთის მთავრობის მიერ იგი დაჯილ-
დოებული იქმნა ღენერლის ხარისხით.

მაგდებურგის ციხიდან განთავისუფლებული მარშალი იოსებ პილ-
სუდსკი ბრუნდება განთავისუფლებულს სამშობლოში. ღენერალი
სმიგლი - რიძ ეცხადება მას და გადადის მის განკარგულებაში. 1919
— 1920 წლებში მარშალი პილსუდსკი ანდობს მას სხვა და სხვა მნი-
შვნელოვან სამხედრო ოპერაციებს. მასთან თანამშრომლობით ანთა-
ვისუფლებს მარშალი იოსებ პილსუდსკი ქ. ვილნოს წითელ მოსკო-
ველების ხელიდან 1919 წელს. შემდეგ ავალებს ჩინებულად და გა-
მარჯვებით დამთავრებულ ოპერაციას **დვინაზედ** და 1919 წლის
დამლევს და 1920 წ. დასაწყისს პოლონეთის ჯარის დახმარებით
ლიტვა პოულობს თავის დამოუკიდებლობას, და მით ამაგრებს
ჩრდილოეთის ფრთას პოლონეთის ფრონტისას.

დონენბურგის და ინფლანდიის განთავისუფლების შემდეგ მთა-
ვარი სარდალი მარშალი იოსებ პილსუდსკი აკისრებს მას ახალს,
უფრო მნიშვნელოვან ამოცანას: 1920 წ. გაზაფხულზე მარშალი ი.
პილსუდსკი იწყებს სამხრეთით, უკრაინის განთავისუფლების საქ-
მეს იმავე გზით, როგორც ჩრდილოეთით. იოსებ პილსუდსკის სწამს,
რომ 40 მილიონნიანი უკრაინელი ერი გაიდვიძებს და შექმნის თა-
ვის თავისუფალ სახელმწიფოს, გამაგრებული ზურგიდან პოლონე-
თის მიერ. ამით პოლონელთათვის საგრძნობლად შემოკლდებოდა
რუსეთის ფრონტი. ზემოხსენებული მიზნის განსახორციელებლად
პოლონეთის ჯარი თვით მარშალი იოსებ პილსუდსკის სარდლობით
იწყებს ლაშქრობას დნეპრისაკენ. ღენერალი სმიგლი - რიძის არ-
მია, მაისში, იკავებს კიევს. ყველაფერი წინასწარმეტყველობს სა-
ბოლოო გამარჯვებას, მაგრამ უკრაინელმა ერმა ვერ მოასწრო სა-
თანადო ძალების დარაზმვა იმ დროის მძიმე პირობებში და იმ ხა-
ნად ვერ ხორციელდება ეს დიდი საქმე. ერთი თვის შემდეგ წითელი
რუსეთი იწყებს პოლონეთზე დიდს შეტევას. საბჭოთა რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ძალები უკვე განთავისუფლებულია ამ შეტევისათვის, რადგან, წითელ მოსკოვს უკვე დამთავრებული აქვს „თეთრი გენერლების“ მიერ წარმოებული ანტიბოლშევიკური ბრძოლები. ორი თვის შემდეგ პოლონეთს უდგება მეტად მძიმე და სახიფათო ხანა. მტრის ლაშქარი უახლოვდება პოლონეთის დედა - ქალაქს. მარშალი ისახავს მძიმე ამოცანას — პოლონეთის გულში შემოჭრილ მტრის ზურგიდან შემორების ოპერაციას და მით მის მოჭრას დასაყრდენ ბაზებიდან. ამისთვის საჭიროა საუკეთესო ძალები და საუკეთესო სარდალი. შესანიშნავის მოხერხებით უკვე გამოყვანილი ჰყავს ღენერალ სმიგლის თავის დივიზიები მტრის რკალიდან, უკრაინაში ბრძოლების შემდეგ, და ამ ძალებს ეკისრება ეს მძიმე ამოცანა. ამ მძიმე მანიოვრს ღენერალი სმიგლი შესანიშნავად ასრულებს. ის უჭრის მტერს გზებს და უკეტავს უკან დასახევ გზებს ბუგის ხაზზე, რის გამო სრული გამარჯვებით სრულდება გადამწყვეტი ბრძოლა ვისლაზე, რომელსაც პოლონეთის ხალხი სასწაულად სთვლის. ამის შემდეგ ღენერალი სმიგლის ჯარები მონაწილეობას ღებულობენ ოქტომბრის ბრძოლებში, ნემანის მიდამოებში, სადაც რუსეთის ჯარები საბოლოოდ იქმნენ დამარცხებული და რის შედეგი იყო რუსეთის მიერ ზავის თხოვნა.

ომის შემდეგ ღენერალი სმიგლი - რიდ ინიშნება არმიის ინსპექტორად და მით კვლავ ოფიციალურად ხდება მარშალ პილსუდსკის მუდმივ და უახლოეს თანამშრომელად. ამის შემდეგ სავსებით ბუნებრივი იყო, რომ, როდესაც მოახლოვდა პოლონეთის განმათავისუფლებელის სამშობლოსათვის განუზომელი ნაყოფიერებით აღვსილი ცხოვრების აღსასრული, მარშალ პილსუდსკიმ, სიკვდილის წინ, თავის მემკვიდრეთ და განმაგრძელებლად მისი დიდი მოღვაწეობისა, დანიშნა თავისი საუკეთესო მოწაფე, მუდმივი მისი თანამშრომელი და მის მიერ მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა მუდამ შესანიშნავად აღმსრულებელი, მრავალ შესანიშნავ ბრძოლა გადახდილი და მუდამ გამარჯვებული მხედარი, ღენერალ რიდ - სმიგლი.

მარშალ რიდ - სმიგლმა მიიღო პოლონეთის განმათავისუფლებელის ხელიდან ფრიად დიდი და საპასუხისმგებლო მემკვიდრეობა. მაგრამ ის ახალგაზრდობიდან შეზრდილია ამ დიდს საქმესთან და მას გარს არტყია განსვენებულ მარშალის ბრძოლებისა და მოღვაწეობის მონაწილე თანამებრძოლთა და თანამშრომელთა ყველა ძალაბი. ამიერიდან მთელი პოლონეთის ერს მასზედ აქვს გადატანილი და დაფუძნებული სრული ნდობა და მტკიცე იმედი პოლონეთის განმტკიცებისა და გაძლიერების საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

სახელმწიფოებრივი ცხოვრების მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრების საქმეს მრავალი მხარე აქვს და მრავალი სფერო. მაგრამ მას აქვს ერთი უმთავრესი დასაყრდნობი, რომლის შესახებ განსვენებული მარშალის მიერ გამოთქმული აზრი წარმოადგენს მისი მემკვიდრეებისათვის დატოვებულს ანდერძს: „სამართალი, რომელიც არ არის დამყარებული ძალაზედ, რჩება ცარიელ სიტყვად... დღეს მხოლოდ ხმალი სწყვეტს ერთა ბედ-იღბალს. ერი, რომელიც თვალს დახუჭავს და არ დაინახავს ამ ჭეშმარიტებას, სამუდამოდ მოსპობს თავის მომავალს. არ გვაქვს უფლება ვიყოთ ასეთ ერად". მარშალ პილსუდსკის მემკვიდრენი და მათთან ერთად მთელი პოლონეთის ერი მტკიცედ იცავენ ამ დიდს ანდერძს და მით პოლონეთის მომავალს მკვიდრ საძირკველზედ აფუძნებენ.

ვას. ინჯია

ვარშავა. ივნისი, 1937.

ინტერნაციონალური კომუნიზმი იმსხვრევა
ნაციონალური რევოლუციები იწყება

უკანასკნელი წლის მანძილზე ისპანიის ამბები იყენენ მთელი მსოფლიოსათვის თავსამტვრევი საკითხი. ეხლა მას კიდევ დაერთო ჩინეთ - იაპონიის ომი, და ამ ჟამად კაცობრიობა ორი ხერიდან, შორეულ დასავლეთიდან და შორეულ აღმოსავლეთიდან მოელის დიდს გართულებებს და, შესაძლოა, დიდ ომებსაც. ყველა ასეთ დიდ მოვლენათა მსვლელობის წინასწარ გამოცნობის მოტრფიალენიც ველარ ჰბედავენ გაამყლავნონ ამ საგანზე თავისი წინასწარმეტყველური აზრი. ისპანიის შესახებ მრავალი ასეთი წინასწარმეტყველობა გაცრუვდა ამ წლის მანძილზედ, და შორეული აღმოსავლეთი ხომ კიდევ უფრო შორეულია და მეტის ბურუსით მოცული.

მაგრამ კაცობრიობას გაუჩნდა მეორე, არა ნაკლებ თავსამტვრევი ამოცანა. ეს არის საბჭოთა რუსეთი. ეს ბუმბერაზი სფინქსი თითქოს სავსებით გამოცნობილი ჰყავდა კაცობრიობას, და ყველა დიდსა და პატარა სახელმწიფოებს ამაზედ ჰქონდა მორგებული თავისი საგარეო პოლიტიკა. ერთნი ჰფიქრობდენ, რომ საბჭოთა რუსეთმა უკვე დაასრულა თავისი რევოლუციონური გარდაქმნა და სტაბილურ მდგომარეობაში ჩადგა. იგი დარწმუნდა, რომ ვერ ახერ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხებს თავისი უკიდურესი იდეების განხორციელებას — მსოფლიო ომის გამოწვევას, მსოფლიო რევოლუციის მოხდენას, თავის საზღვრებში და მთელს მსოფლიოში კომუნიზმის დამყარებას, და უკან იხევს, და თუ უკან იხევს, რასაკვირველია, დგება დემოკრატიის, ზავისა და მშვიდობიანობის ნიადაგზე. სხვები კი ჰფიქრობდენ, რომ ეს ასე არ არის, საბჭოთა რუსეთი განაგრძობს ძველს გზას და ის მთელს მსოფლიოს ომსა და რევოლუციებს უმზადებს.

ამ სახით ყველამ დაიკავა გარკვეული და თითქოს ურყევი პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ. ზოგმა მეგობრული და ზოგმა მტრული.

რომ ევროპის ქვეყნების პოზიციები ნათელი და გარკვეული ყოფილიყო ყველასათვის, და თვით საბჭოთა რუსეთისათვისაც, ამას იდეური შინაარსიც მისცეს და შესაფერისი გარეგნობაც — კომუნისტური სფინქსის გამოცნობამ მთელი მსოფლიო ფაშისტურ და ანტიფაშისტურ ფრონტებად დაჰყო. მაგრამ ეხლა ირკვევა, რომ გამოუცნობი სფინქსი კიდევ უფრო გამოუცნობი რჩება, და მით მსოფლიოს ფაშისტურ და ანტიფაშისტურ ფრონტებად დანაწილებას ერთი უმთავრესი ბოძი ეცლება, რადგან სახელმწიფოთა დაჯგუფების საფუძვლად იდეური და რეჟიმული ნიშნები მიღება უთუოდ ამ საბჭოთა რუსეთის ხათრით მოხდა. ჯვაროსნულ ომების შემდეგ ევროპის სახელმწიფოებს მიტოვებული ჰქონდა ასეთი გეზი. და მათი მტრობა თუ მეგობრობა სულ სხვა საფუძვლებზე შენდებოდა.

საბჭოების ფაშისტური თუ ანტიფაშისტური მიდგომით დაფასებაში რყევა შეიტანა უკანასკნელ დროში საბჭოთა რუსეთში ატეხილმა ამბებმა. სტალინმა მუსრი გაავლო კომუნისტურ ხელმძღვანელობას და შემდეგ სამხედრო, ადმინისტრაციისა და ყველა სხვა დარგებისას. ამ გარემოებამ ბევრი შეაშფოთა, მაგრამ თავს კიდევ იმით იიმედებენ, რომ სტალინი ანადგურებს ტროცკიზმს, რომელიც ფაშისტურ გადატრიალებას ამზადებდა და, მაშასადამე, ებრძვის ანტიდემოკრატიულ, ფაშისტურ ძალებს, რომ ნიადაგი გაუმტკიცოს საბჭოთა რუსეთის დემოკრატიულ ნიადაგზე დამკვიდრებასო. ეს ტროცკიზმის ლიკვიდაცია ჯერ არ არის დასრულებული, და უკვე აქა იქ იჭვები იბადება — ტროცკიზმს კი ანადგურებს, მაგრამ იმის ნიშნებიცაა, რომ თვითონ ჰფიქრობს კომუნიზმის ნაცვლად ფაშიზმის დამყარებასო. ეხლა ასეთს იჭვებს კიდევ ის დაემატა, რომ ჰიტლერმა ისეთი ზეიმით მიიღო საბჭოთა ელჩი, როგორითაც არც ერთი სხვა არ მიუღია. მიღების დროს ორივე მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებებში ხაზგასმულია ორივე ქვეყნის საერთო ინტერესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილ მეზობლურ ურთიერთობისათვის, მაგრამ ამ მოკლე განცხადების გარდა რომ იყო გაკეთებული სხვა უფრო კონკრეტული განცხადება, ამის იქვი უკვე აღარავის არ აქვს, რადგან ეს შეხვედრა ფრიად ხანგრძლივი ყოფილა და მას რამოდენიმე თათბირიც დაჰმატებია.

მართალია, ევროპის ის სახელმწიფოები, რომელნიც ანტიფაშისტურ ფრონტში მყოფად არიან მიჩნეული, თვითონ არასოდეს გაურბიან ფაშისტურ სახელმწიფოებთან შეთანხმებებსა და დაახლოვებისათვის მოლაპარაკებებს, მაგრამ საბჭოთა რუსეთის ასეთმა ნაბიჯმა მაინც ყველა გააოცა. ევროპა კვლავ ილიუზიებით იკვებება საბჭოთა რუსეთის შესახებ. ის მას აკუთვნებს ისეთს მორალს და ზნეს საერთაშორისო ურთიერთობაში, რომელიც უკვე აღარავის მოეპოვება.

ასეთს გაუგებრობებს ჰქმნის და, შესაძლოა, კიდევ შეჰქმნის ის დიდი გარდატეხის პროცესი, რომელიც ხდება საბჭოთა რუსეთში და რომელიც აქამომდე გამოუცნობი იყო ევროპისათვის. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს, როგორც ფაშისტური, ისე არა ფაშისტური ქვეყნების პასუხისმგებელი წრეები, მეტის ყურადღებით იკვლევენ საბჭოებში მომხდარ ამბებს და, რაც აღსანიშნავია, მას თითქმის სავსებით ერთნაირ დასკვნებსაც უკეთებენ.

ინგლისის ოფიციოზად მიჩნეულმა „ტაიმს"-მა რამოდენიმე, ფრიად დასაბუთებული წერილი მიუძღვნა ამ საგანს და ისეთი დასკვნები გამოიტანა, რომ სტალინიზმი მართლაც ანადგურებს ლენინიზმსა და ძველ კომუნისტურ გეზს.

„რეჟიმის ოფიციალური თეორეტიკოსები სასწაულებრივ მოხერხებას იჩენენ, რომ რაიმე გზით შეათანხმონ სტალინიზმი მარქსიზმთანო. სტალინის და ლენინის, საკმაოდ შესწორებულ ნაწერთა გარდა, საბჭოთა კავშირის წიგნის მაღაზიებში ვერ იპოვნით 1914 — 34 წლებში გამოცემულ ნაწერებს პოლიტიკურ საკითხების შესახებ. ვისაც ეს უბედურება შეემთხვა, და წინეთ რაიმე დასწერა პოლიტიკურს თუ ლიტერატურულს და ხელოვნების საკითხებზე, ამა თუ იმ დოზით ტროცკისტულ ცოდვებში აქვთ წილი. რაც გუშინ სავალდებულო დოქტრინად ითვლებოდა, დღეს მავნე და საშიშ თეორიად არის გამოცხადებული.

ის აზრი, თითქოს საბჭოები ცდილობდენ წექმნან მსოფლიოში მემარცხენე ფრონტი, ფაშიზმისაგან დემოკრატიის დასაცავად, დასავლეთში შეთხზული ზღაპარია. ამ ჟამად საბჭოების მტრებს წარმოადგენენ ფაშისტური სახელმწიფოები. ამიტომ საბჭოები ეძრძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიან საერთოდ ფაშიზმს. მაგრამ საბჭოთა კავშირი სიხარულით დაუმეგობრდება ფაშისტურ ამა თუ იმ სახელმწიფოს, რომ ამით ჩამოაშოროს ის მისდამი მტრულ ბლოკს. საფრანგეთში რომ ფაშისტური მთავრობა შესდგეს, რუსეთი კვლავ განაგრძობს მასთან მეგობრობას, უკეთუ არ იქნება შეცვლილი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა. იდეოლოგიურ კონფლიქტებზე ჰფიქრობს ჰიტლერი და არა სტალინი".

იტალიურ ფაშიზმის ერთი მეთაურთაგანი და მთავრობის წევრი ბოტაი ამტკიცებს, რომ საბჭოთა რუსეთში ხდება ტერმიდორი. ბოტაი ჰფიქრობს, რომ ეს ვერ დასრულდება ვერც ლიბერალური და ვერც რეაქციონური ძალების გამარჯვებით. უფრო მოსალოდნელია, რომ სტალინი და მისი მომდევრები მოახდენენ კომუნიზმის ძირეულ გარდაქმნას და დაამყარებენ ნაციონალურ, ოტორიტარულ დემოკრატიას, რომელიც შეინახავს სახელმწიფოებრივ საკუთრებას კერძო საკუთრების აღდგენასთან ერთად. სტალინი განთავისუფლებს ბოლშევიზმს მისი უმსგავსო მორალის საწამლავისაგან და შეინახავს რაც კია ჯანსაღი მის ანტიკაპიტალისტურ პოზიციაში. საბჭოთა რუსეთში გაიმარჯვებს, ისე როგორც ეს იყო იტალიაში, სახალხო. ანტიკაპიტალისტური რევოლუცია და არა რევოლუცია ანტინაციონალური და ანტიქრისტიანული".

ფრანგული ოფიციოზი „ტან" - იც ვრცლად ეხება ამ საკითხს და, სხვათა შორის, სწერს: „ჩვენ მოწამენი ვართ საბჭოთა კავშირის მთელს სივრცეზე წარმოებულ რეჟიმის გიგანტურ „ლიკვიდაციისა", და მის ნაცვლად ახალი რეჟიმის დამყარებისა, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია სტალინური ეუწოდოთ. რუსეთის ახალმა მეფემ, სტალინმა, კარგად იცის, რა სურს მას და საით მიდის. მარქსისტულ იდეოლოგიისა და მსოფლიო რევოლუციის მითოსის უნიადაგობაში იგი ეხლა ალბად „განათლებულ დესპოტიზმზე" ოცნებობს, თავისებურ მამაშვილურ რეჟიმზე, ერთნაირად დაწორებულზე, როგორც კაპიტალისტურ, ისე კომუნისტურ ქიმერებისაგან. მაგრამ ის ხედავს, რომ ამ ქიმერებს კიდევ იზიარებენ ისინი, ვინც მოახდინა ბოლშევიკური რევოლუცია. მათი გადაჯერება შეუძლებელია შეთქმულებათა და ფარულ მუშაობის ისეთს კლასიკურს ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი. რჩება ერთად ერთი საშუალება, ასევე კლასიკური აღმოსავლეთში — გახურებული შანთი. როგორც იოანე მრისხანე და პეტრე დიდი, სტალინიც უყოყმანოდ მიმართავს ამ საშვალებას." „ტან"-ი ჰფიქრობს, რომ შესაძლოა სტალინი მარტო ამ გზით არ აპირობს თავის რეჟიმის დამყარებას. გაზეთს ასეთ მეორე გზად მიაჩნია სტალინის კონსტიტუცია. „ტან"-ი ჰფიქრობს, რომ შესაძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოა საბჭოთა რუსეთი ვერ გადალახავს ამ მძიმე კრიზისს და საბოლოოდ ჩაეფლება სისხლიან დესპოტიზმში. მაგრამ მას უფრო მოსალოდნელად მიაჩნია, რომ ეს ასე არ მოხდება და შეიქმნება სახელმწიფო დახლოებით იმ ტიპისა, რომელსაც გვაწოდებს ფაშიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი. ერთი რამ ყოველს შემთხვევაში იქ სავსებით ამორიცხულია, დასძენს გაზეთი, — ეს თავისუფლება და დემოკრატია. როგორც ჩვენ გვესმის დასავლეთში".

საბჭოთა კავშირის ამ დიდ გარდატეხებს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვთ მსოფლიო ვითარებაში, და იგი ბუნებრივად აინტერესებს ევროპის ქვეყნებს. მაგრამ, რასაკვირველია, იგი ჩვენ უფრო ახლო გვეხება, და არც იქნება გასაკვირველი, თუ მასში სხვებზე ადრე და სხვებზე უკეთ გავერკვევით.

ჯერ სამი წლის წინეთ, როდესაც მხოლოდ ისახებოდა საბჭოთა კავშირის ეს ახალი გზა, ჩვენმა ჟურნალმა სწორედ ისე დაიფასა ის, როგორც ეხლა აფასებენ ევროპის პასუხისმგებელი წრეები. ქართულს სოციალისტურ წრეებში არ იქმნა შეწუნარებული ასეთი შეხედულება. — სხვათა შორის მათ გამოსთქვეს აზრი იმ კამათის დროს, რომელიც გამოიწვია ბ. ალ. ასათიანის მიერ ამა წლის თებერვალში წაკითხულმა მოხსენებამ, რომ საბჭოების ფაშისტურ გზაზე დადგომა დიდს მავნებლობას მოუტანს საქართველოს ეროვნულ მიზნებსო. ასეთი შეხედულება უთუოდ შემცდარია.

რასაკვირველია, საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ერებისათვის ფრიად საშიში იქნება, უკეთუ ველიკოროსია მიატოვებს ინტერნაციონალურ ქიმერებს და ნაციონალურ სულისკვეთებით გაიმსჭვალება, ხოლო დაპყრობილი ერები ამ ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ დარჩებიან. სინამდვილეში კი მოხდება, და ეს უკვე გარკვეულად სჩანს, რომ მოსკოვის ყოველი ნაბიჯი ამ მიმართულებით დაპყრობილ ერებში გამოიწვევს ორსა და სამს.

ინტერნაციონალური დროშის ქვეშ ველიკოროსია ადვილად ახერხებდა თავისი უდავო ბატონობისა და უპირატესობის განაღდებას, როგორც ყველაზე დიდი და ცენტრალური ძალა. სულ სხვა მდგომარეობა მყარდება, როდესაც საბჭოთა კავშირს ეს ველიკოროსია მოეკვლინება როგორც ერი, თავის ნაციონალურ ინტერესებზე დაყრდნობილი. მის ნაციონალურ დროშას ბუნებრივად დაუპირდაპირდება სხვა ერების ნაციონალური დროშები და ნაციონალური ინტერესებს, ნაციონალური ინტერესები.

უკანასკნელი დროის ამბებში ეს საკმაოდ ნათლად გამოჩნდა. მოსკოვში დიდ კომუნისტებსა და გენერლებს ხვრეტენ იმისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ მათ სტალინის მაგივრად რუსული ნაციონალიზმის აყვანა სურდათ ტახტზე. ხოლო უკრაინაში, თურქესტანში და კავკასიაში დიდს კომუნისტებს ხოცავენ ამ ქვეყნების რუსეთიდან გამოყოფის განზრახვისათვის.

საქართველოში დახვრიტეს ისინი, ვინც რუსეთის წითელ ჯარებს შემოუძღვა და საქართველო რუსეთს ჩააბარა. ქართველმა ერმა სამი აჯანყება მოაწყო საბჭოთა რუსეთის უღლის გადაგდებისათვის. მთელი ერი იბრძოდა ამისათვის, ხოლო ქართველი კომუნისტები იყვნენ რუსეთის ბატონობის ერთად ერთი დამცველნი. დღეს ესეც შეიცვალა. ქართველ კომუნისტების ერთი ნაწილი უერთდება მებრძოლ ერს და მისი აღდგენის მიზნებისათვის იხოცება.

საბჭოთა კავშირის ცენტრში ტერმიდორი სწარმოებს და რეჟიმის შეცვლისათვის ბრძოლა იწყება, ხოლო საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერებში ეროვნული რევოლუციები ღვივდება და ღრმავდება. მოსკოვში სტალინიზმის დროშა ლენინიზმის დროშას დაუპირდაპირდა და სტალინიზმის დროშას რაღაც ჯერ კიდევ გამოურკვეველი დროშა უპირდაპირდება. საქართველოში კი ეს პროცესი გაცილებით შორს არის წასული. აქ სტალინიზმის დროშა ილია ჭავჭავაძის დროშას აფარებს თავს, ის ძირს არის დაშვებული თვით ქართველ კომუნისტების თვალში და დიდი ილიას დროშა მას ზევიდან დაჰყურებს, ხოლო დიდი ილიას დიდი დროშა, ეს საქართველოს დროშაა, ეს მისი მარადიული მეობის გამოსახულებაა....

„ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნესო“ — აწერია ამ დროშაზე.

ნი.

ფაშიზმ - ბოლშევიზმის დატაკება
და
ევროპის განსაცდელი

ჩვენს თვალწინ გაჩაღებული არის უსასტიკესი დაუნდობელი ბრძოლა ორ უმთავრეს სოციალპოლიტიკურ მნიშვნელობის იდეურ მიმართულებათა შორის.

ამ ბრძოლის პირველი პერიოდი — თეორიული დავისა, კომპრომისსებისა, უხეირო და მკვდრათშობილ შეთანხმებათა, ერთი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვით, ფარისეველური პოლიტიკისა — უკვე გადაესვენა ისტორიაში.

ეხლანდელი ბრძოლა მიიმართება უნიღაბოდ. დიპლომატიურ თვალთმაქცობის გარეშე.

ის, რასაც ამჟამად ადგილი აქვს პირინეის ნახევარკუნძულზე, ამათუიმსახით უნდა მომხდარიყო იქ თუარა, სხვაგან მაინც.

ადგილობრივი სამოქალაქო ომი ესპანიაში დამთავრდა, ბრძოლა იქ გარდაიქცა ყოველთა ომის ველათ: ესპანიაში სწარმოებს ომი ინტერნაციონალური მასშტაბით. ამ ბაბილონში, ესპანელებისაცა და უცხო თესლთა სისხლი იღვრება ორი დროშის ქვეშ; ორი ძალაა, რომ ასულდგმულებს და თავდავიწყებით აომებს ჯარისკაცთაც და მოხალისეთ, ჰმოსავს მათ სულისა და შეგნების ძლიერებით, უკაჟებს ნებისყოფას. უნერგავს მოწინააღმდეგისადმი ფანატიურ სიძულვილს... ეს არის ბრძოლა ჰეგემონიისათვის: ერთი უნდა დამარცხდეს, უკუიქცეს. მოისპოს, რომ გამარჯვება, ბუნთი და მოედანი, განუსჯელი ბრძანებლობა ჰხვდეს წილად მეორეს.

თქმა არ უნდა, რომ გენერალ ფრანკოს გამარჯვება იქნებოდა ფაშიზმის დამკვიდრება ესპანიაში (და ბევრგან სხვაგანაც) მონარქიის წესწყობილების რესტავრაციით (მემკვიდრე მონარქის სახით, თუ უმონარქოთ, — ეს არსებითად ერთიდაიგივეა და ამისი მაგალითები ჩვენს დროში ხომ არაერთიდაორი მოინახება, ტრადიციებზე აღზრდილ იუნისტთა საკმუნველათ).

მეორე ძალა ფორმალურათ არის მადრიდ - ბარსელონას ხელისუფლება. მისი ზმანება აშკარაა ისედაც. მას უწოდებენ წითელს, მარქსისტულს, გარნა, ჩემის ჰაზრით, ამ მცნებასა და დახასიათებას ესაჭიროება ერთგვარი შესწორება, რამდენათაც რუსულათ გადახალისებულ მარქსიზმს მიეტმასნა ლენინიზმი. ესე იგი, ფორმალურათაცა და არსებითაც სრულიად ცალკემდგომი პოლიტიკურ - ეკონომიური და სოციალი მსოფლმხედველობა, რომლის დედა - ჰაზრი ძირიანათ განირჩევა კლასსიკურ მარქსიზმისაგან ეს. განსხვავებული ბუნება ასე ვთქვათ რუსული მარქსიზმისა ადგილათ ამოსაცნობი და მისახვედრია იმათთვის, ვინც თავის დროზე გასცნობია მენშევიკ - ბოლშევიკების პოლემიკას საერთოთ და შესახებ პიროვნების მნიშვნელობისა და როლისა ისტორიაში კერძოთ. მაშასადამე, აი ეს მოლიანათ შეცნაურებული სისტემა საბჭოთა მმართველობისა, ანუ ბოლშევიკურ - კომუნისტური თვალსაზრისი მოვლენათა და საგანთა გაგებისა და შეფასებისათვის, სულ სხვა ბუნებიდან გამომდინარეობს. ვიდრე ეს შეეფერება მარქსის სკოლის ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიულ მატერიალიზმსა და ევოლუციურ სოციალიზმს: მართლაც, სად მარქს - ენგელსი და სად ლენინი? სად კაუცკი - ჟორდანია და სად ბუხარინ - ტროცკი?! ამიტომ არის რომ ევროპელი მკვლევარნიც, უკანასკნელ დროს როცა ერკვევიან საგანში, აცალკევებენ მარქსიზმსა და ბოლშევიზმს, ხოლო უკანასკნელს ხშირათ უთანაბრებენ აზიურ ბარბაროსობას! უნდა - კი ითქვას, რომ აზია — ბოლშევიზმის დანათესაობას ზოგ შემთხვევებში თანასდევს გაუგებრობა, თუნდაც აი იმ სახით, როგორც ეს მოხდა ჩემის თანადასწრებით **CAURI** - ის — **Comitati d'azione per la Universalità di Roma** — დელეგატთა ბანკეტზე (ამ დაწესებულების რომის საბჭოს წევრთ ერიცხება ამ სტრიქონების დამწერი. ვითარცა საქართველოს წარმომადგენელი): თავის სიტყვაში ქაურ-ის გენერალურმა პრეზიდენტმა, ცნობილმა დეპუტატმა კოზელსკიმ, ბოლშევიზმს უწოდა აზიური ბარბაროსობა, ხოლო ამან - კი აზიელ სტუმრებზე დასტოვა ცუდი შთაბეჭდილება; ერთმა მათგანმა (არაბმა) კიდევაც განაცხადა, რომ აზიას — ძველი კულტურის აკვანს — არაფერი აქვს საერთო მნგრეველსა და გამათახსირებელ ბოლშევიზმთანო!... ისე, რომ „აზია" სიტყვის მასალათ რჩება. მართალნი არიან მაშ ისინი, ვინც ბოლშევიზმს უაღრესად რუსულ ფენომენად ჰრაცხენ? ერთი რამ აშკარაა ჩემთვის: თავის პრაქტიკულ განაარსებაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კომუნიზმს, ეჭვი არ არის, შეეძინა ბევრი წმინდა რუსული ნაციონალური თვისებები; იგი შესხვაფერდა, შეიქმნა მოვლენათ **sui generis**! ამათში სად თავსდება ევროპიულობა და სად იწყება აზიობა, არც თუ ისე ადვილი ჩასახვედრია: იქნებ უზურში ევრაზიელები არც ისე შორს იყვნენ ჭეშმარიტებისაგან, როცა რუსეთს ინფუსიამბრ ორ სახეს ანიჭებენ!

მეტისმეტ დაგვიანებით, მაგრამ ზოგგან მაინც თითქოს აეხსნათ ლიბრი თვალიდან და ეხლა უკვე შეუდგნენ იმის გამოვარაუდებას, თუ რა „კბილთა ღრჭენას" უმზადებს დუნიას ბოლშევიკური რუსეთი, უკეთუ მან დროზე მოასწრო ყველა თავის ექსპანსიებისა და „პლანეტარულ" ზრახვათა განაღდება...

გარნა ბოლშევიკურ - კომუნიზმის რეალ, სახელმწიფურ არსებობას (და ისიც იმგვარ გეოგრაფიულ და ბუნებრივ შესაძლებლობით, რასაც შეიცავს რუსეთი) უკვე აქვს ოცი წლის ისტორია, და მთელი ამხნის მანძილზე მისი მყუდროება არამცთუ არავის შეუშფოთებია გარეგან, პირიქით უმრავლესობის ყოფაქცევა მეტნაკლებობით მუდამ იმგვარ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს **tacito consensu** გარდაწყვეტილიყო ყოველნაირათ ხელისშეწყობა მოსკოვურ ექსპერიმენტების განხორციელებისათვის, ანუ — სხვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიტყვებით და უფრო კონკრეტულათ: ევროპა პილატესამებრ ხელ-გადაბანილი განზე იდგა, როცა ბოლშევიკები კალიასმსგავსად მოედნენ და აოხრებდნენ როგორც თავისას, აგრეთვე დაპყრობილ ხალხთა დოვლათსა და სამკვიდრებელს; როცა მათ ხელმეორეთ მონობის უღელში შეაბეს ისის იყო განთავისუფლებული თვითმმართველი მცირე ერები; როცა კრემლის ინტერნაციონალი მთავრობა აღვიებდა ისეთი სახის რუსულ იმპერიალისტურ სულისკვეთებას, რომლის მსგავსი ძველათაც არ უწყოდა სამეფო რუსეთმა; როცა ბოლშევიკ - კომუნისტებმა დაამხეს და დაეუფლნენ ევროპის მიერ იურიდიულათ ცნობილ სახელმწიფო ერთეულებს; როცა მოსკოვის წითელმა ჯარებმა ევროპის დიპლომატიურ კორპუსის თვალწინ წააქციეს და შემუსრეს საუკუნოების სიღრმიდან აღმოტანილი საქართველოს სახელმწიფური სახეობა... ყველა ამ ამბებს ევროპა ან ვერა ხედავდა, ან — უმჯობესი ითქვას — არა ჰხედავდა!

ამასობაში - კი აწოიკებულ ხალხთა მოთქმა და ზახილი ცასა სწვდებოდა! გაცამტვერებულ, გავერანებულ და გაუდაბნოებულ დაბა - სოფლებში განადირებულ ძაღლთა ღმუილი და გადაბუგულ, მინგრეულ - მონგრეულ ქოხთა საზარელი ჩონჩხი მხოლოდ - ღა ჰმოწმობდნენ კომუნისტურ საბჭოთა სატრაპიის სუპერ - ამერიკულ საზღაპრო მიღწევათაზედა...

მაგრამ იტყვიან, სხვებმა რაზე უნდა იწუხონ და იტეხონ თავი, როცა ამა საგნებზე ზრუნვაცა და გარჯაც ჰმართებთ თვით რუსებსა და კიდევ იმათ, ვისაც ეს რუსული ზარი თავზე დაეცათ?!

თვითეული ერი იღწვის, უვლის და ჰპატრონობს თავის საყოფელს იმ ყაიდით, როგორათაც ეს მის ბუნებას, კულტურულ დონეს, ფსიქიურ მიზიდულობასა და ინტელექტუალურ განვითარებას შეეფერება და შეეთვისება: ყველა ღირსია თავისი ხელისუფლებისა და რეჟიმისა. ერთი შენიშვნა მაინც საჭირო არის: ქართველმა ხალხმა მრავალი მაგალითებითა და ზღვა სისხლით დაამოწმა, რომ მისი შერიგება შემოსეულ უზურპატორებთან არასდროს მოხდება! თავისი ყოფაქცევით მან ისიც გამოაჩარავა, რომ ის ღირსია სხვა სახისა და არსების წესწყობილებისა!

საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ მოსახლეობის დრტვინვას აკვირდებოდნენ შორიდან იმ დაუფარავი სიამოვნებით, რაიცა ახასიათებს კარგს, ნორმალ პირობებში მცხოვრებთა სულიერ განწყობილებას: რა კარგია, რომ რუსეთი — არავის მსგავსი და უცნაური ქვეყანა — მოშორებით იმყოფება და ამისა გამო ბოლშევიკური სენი და სუნი ჩვენამდის ვერ მოუწევსო... ვულგარულათ ეს ეგო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცენტრიზმი, ანუ სირაქლემას პოლიტიკა ასე გამოიხატება: მე კი აქ არაფერი დამიშავდეს, თორემ იქ თავში ქვა იკრან და მუცელში სამართებელიო!...

ამიტომაც იყო, პირველშეხედვით აი ასეთი უცნაური თავაზიანობა საბჭოთა რუსეთისადმი: ამ მომენტით შეიძლება აღინიშნოს ევროპა - რუსეთის მიმართებანი 1924 წლიდან მოყოლებული, როცა ინგლისმა და იტალიამ „ნავსი გატეხეს", იცნეს იურიდიულათ საბჭოთა რუსეთი და ᲔᲛ ᲘᲡᲢ მისი სუვერენიტეტი კავიშრის ტერიტორიაზე (ქართველი ნაღლით გაიხსენებს, რომ ეს მერკანტელი პოლიტიკა ეწყობოდა სწორეთ მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ შემშრალიყო აჯანყებულ საქართველოს მებრძოლთა სისხლი). ვთქვი, ნავსი გატყდაო — განზრახ, იმის აღსანიშნავათ, რომ ბევრნი მართლაც მოუთმენლათ ელოდნენ ასეთს ნაბიჯს საერთაშორისო პოლიტიკის ხელმძღვანელ დიდ სახელმწიფოთაგან, რათა შემდგომ თავათ მიჰყოლოდნენ გაკვლეულ ბილიკს „ოქროს მთების" - გალლუციანაციობით...

ეს ხანა იყო საბჭოთა რუსეთის გავლენისა და ავტორიტეტის შეუჩერებელი ზრდისა იმ ამაღლებამდე, როცა დიდსა და პატარა სახელმწიფოებს ერთგვარი შეჯიბრება გაემართათ, მოსკოვის ბრძანებლებისადმი პატივისა და, თუ გნებავთ, მოკრძალების სადემონსტრაციოდ; „ფალშივომონეტჩიკი" - ლიტვინოვი უცებ ყველას მეტტერნიხად წარმოუდგათ: დამსწრენი ამბობენ, რომ ერთა ლიგის სასახლის კორრიდორებში დიპლომატები ერთმანეთს ფეხსადგამდნენ, ჰა თუ, ვინ უფრო დაასწრებდა მისასალმებლათ დიპლომატთა შორის ყველაზე სპეტაკ სხივოსანს! უმატებენ იმასაც, თითქოს ზომიერ წინამხდომ პატარა სახელმწიფოს დელეგატს განებივრებული და გაამპარტავნებული ალმატებულება ორი თითის გაწვდით აბედნიერებდაო!

იმ ხანებში რუსეთის პრესტიჟი უდავო შეიქმნა, ხოლო მთელ რიგ სახელმწიფოთა ილლუზიური გატაცება — ბოლშევიკებთან მჭიდრო სააღებმიცემო საქმიანობისა და საზოგადოთ ეკონომიურ კავშირის პერსპექტივებით — იქამდისაც - კი მივიდა, რომ ყველგან, სადაც წესწყობილების სისტემის მიხედვით შესაძლებელი ხდებოდა, — მოსკოვის ხელისუფლების მოქმედებათა კრიტიკა წერითა, თუ სიტყვით, სასტიკათ აკრძალული იყო.

ეს ის დრო იყო, როცა ეგრეთ წოდებული სხვათა საქმეთაშინა ჩაურევლობის პრინციპი (იტალ.: **il principio di non intervento**) უდავო, რაღაც სამარადისო დოგმათ გაჰხადეს: თანამედროვე საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

თაშორისო პოლიტიკის ერთი უდიდესი „ქურუმთაგანი“ იმავ ხანებში ხაზგასმით შეჰნიშნავდა, რომ სახელმწიფოთაშორისო მიმართებანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ექვემდებარებოდნენ სუბიექტიურ გრძნობებს უცხოთა შინაწყობილებისადმი; მიმართებანი უნდა ემყარებოდნენ სინამდვილეზე, რეალ ინტერესებზე, ოგნი განიზომებიან თავდაპირველათ ობიექტიური მოსაზრებებით, მშრალი პირუთვნელი ციფრებით, რომელნიც თავის წიაღში იმმანენტურათ აღვიებენ და აცხოველებენ კაცობრიობის ცხოვრების მ
მნიშვნელობის ღერძს, — სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიო ურთიერთობას... იგივე უწარჩინებულესი პიროვნება ეი კიდევ რასა სწერდა, ეხლა უკვე სპეციალად საბჭოთა რუსეთზე (1934 წელს): იქნებოდა გულუბრყვილობა, თუ არა მოლათ უჰაზრობა გვერდი აეხვიოს 170 მილიონიან ხალხს, რომელიც დაბოლოს მიჰმართავს თავის ცხოვრებას ისე, როგორც ეს მას ესმის და ენუკვება... პირიქით, სავალდებულოა და აუცილებელი მისი შემოწვევა ევროპიულ კონცერტში.... ევროპის აშლილ ცხოვრებას ვერასდროს ეღირსება მოწესრიგება, თუ რუსის კოლოსსი სულ კიდევ განზე იდგება...

ამ შეხედულების თანამოზიარენი მრავლათ და მრავალგან აღმოჩნდნენ: მობოლშევიზნო გვამთაშორის ადგილათ წააწყდებოდით (და არც თუ ამკამად დალეულან) — ბურუუას, მეცნიერს, სახელმწიფო მოღვაწეს, პუბლიცისტს, მოხელეს, არისტოკრატს, ლიტერატორს, მღვდელს, მაკლერს, სპეკულანტს, სხვადასხვა წრიდან ამოსროლილ ინდიფერენტ (უფრო ხშირათ მეტიჩარა) „სნობებს“...

ნიადაგი — შეიძლება ითქვას — მზადდებოდა ინტენსიურათ, ამავე დროს დიდი ცდა იყო იმისა, რომ ევროპაში „სათანამშრომლოთ“ მოხმობილ ბოლშევიკებს არავითარი წყენა მიჰყენებოდათ, ამიტომაც ყენევაში მყისვე ჩაასამარეს მოსკოვის ვერაგობის მამხილებელი ყოველნაირი დოკუმენტი და აქტი!

არ იქნება გადამეტებული, თუ ვიტყვით, რომ უკლებლივათ სრული კომპლექსი იდეებისა, რომელთა განაარსებისათვის ერთა ლიგა არის მოწოდებული და რომელნიც მის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენენ, დაიფუძნენ და დაიმარხნენ იმ დღეს, როცა მის სავარძლებში წოთელი იმპერიალიზმის ემისრები, თუ დამქაშები წამოიჯიმნენ: იმ დღიდან განიავდნენ მრავალთა იმედები! უკუიქცნენ განმზადებული საჭირბოროტო ამოცანები! შეირყა რწმენა დაჩაგრულ შეიწროებულ ხალხთა! შეშფოთდა სინდისი მნატვრელთა და მინდობილთა!..

მასუკან მოყოლებულმა სანახობამ არ აღამაღლა არც ერთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგა და არც მასთან გადაბმული პოლიტიკა. მიჰხვდნენ ყველანი (სნობების გამოკლებით), რომ ახლადმოსულ, ანუ უკეთ, მოპატიჟებულ „თანამშრომლისაგან“ სახეირო არაფერი გამოვა, — პირიქით, ადრევე დამტკიცდა, რომ ისედაც აწეწილი და გართულებული საკითხები კომუნისტების ხელისფათურით ერთიანად აიწეწნენ. მართალი. უთქვამ ჩვენ ხალხს: მგლისაგან შეწყალა არ გაჰოვა, და ქურდისაგან წმიდანო...

აი ეს რუსული ბოლშევიზმი — ევნევაში მოკალათებული და ამისა გამო უკვე არამც თუ ლეგალათ ამოქმედებული, არამედ დიპლომატიურ ვიზებითაც გამაგრებული, — უმალვე მისაბაძ უნარითა და ენერგიით შეუდგა თავის სტიქიონის აღსრულებას; დინჯათა და გამოანგარიშებით, აჭიე კომუნისტურ რევოლუციების მოწყობას და, სადაც ამის შესაძლებლობა ნაკლებათ არის, პარტიებისა და საერთოთ სოციალ ელემენტების წაკიდებისა და ერთმანეთზე მისისებას.

ესპანია დიდი ხანია იპყრობდა კომინტერნის ყურადღებას. რაკი ყოვლად განვითარებულმა და ყოვლად განათლებულმა გერმანიამ კომუნისტებს „სამოთხის“ კარი მიუბრახუნა და თავისიანებს მუნ შესვლა აღუკრძალა, მესამე ინტერნაციონალმა გადასწყვიტა ყვავილოვან ბაღის მოსახლობა მიენიჭებინა ინდუსტრიულათ და სხვაფრივაც ჩამორჩენილსა, ტორრეადორების ქვეყნისათვის.

წელიწადი უკვე შეუსრულდა ესპანიაში ამტყდარ სისხლის დენას. თავდაპირველად თითქოს ყველაფერი ქლეტის ინსპირატორებისათვის სასარგებლოთ ეწყობოდა, წითელ ფრონტს პირი ჰქონდა აშკარა მოგებისა და გამარჯვებისაკენ, მაგრამ... აქ უკვე შეინძრა ევროპა, ამოძრავდა კულტურის ხანდასმულობა, შეშფოთდა კათოლიკური საყდარი! ახალი ჰეკატომბები აღარ შეიწყნარა ევროპის შემეცნებამ...

რამდენათაც დაშორებულიიყვნენ რუსული ამბები და რამდენათაც ისინი მხოლოთ ოდნავ და გადაკვრით ეხებოდნენ და ედებოდნენ ევროპიელებს, იმდენათ ესპანიის ვაიგალახურ ვითარებას მტკივნეულათ შეიგრძნობენ სახელმწიფონიცა და საზოგადოებრივი წრენიც. განსაკუთრებით ისინი, ვინც ხმელთაშუაზღვას ეკვრიან. ესპანიაში სამოქალაქო ომის გახანგრძლივება სასიკვდილო ხიფათს უმზადებდა ევროპის მყუდროებას (თუ ეს ეპიტეტი მოუხდება ამქამინდელ ურთიერთობას). შეიქმნა ალარმი, ალიაქოთი! შეტრიალდნენ მცნებანი, გადაყრიავდნენ დოკმები, დაიმსხვრნენ კერპები....

ესპანიის დასაწყნარებლათ მიუცილებელი გახდა ინტერვენცია: გარნა უცნაური, კერძო, ჩუმი, არალეგალი, ხოლო ამავე დროს ნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადართული; სახელმწიფურ დასტურის გარეშე მყოფი, ერთისადა-იმავე დროს - ეი სახელმწიფოთა ხარჯგაწევითა და სახსრით განა-არსებული და ამოქმედებული. ფორმალურად ესპანიის ინტერვენ-ცია არის აქტი საზოგადოებრივ ემოციის განსახიერებისა, ნამდვილ შინაარსით - კი, ის არის ჩარევის ტიპიური ნიმუში; თუმცა საამისო იურიდიულ აქტს ადგილი არა ჰქონია, არც სათანადო ორგანოთა ამათუთად დადგენილებას, მაგრამ ყველა ეს დავთარხანული ფორმა-ლობაა, ისე კი ვინ არ იცის, რომ ესპანიაში ავარდნილი ხანძარი სჭექს და ელვარებს უცხოთა აქტიური მონაწილეობითაც და თაოს-ნობითაც. შეიძლება კითხვა აღიძრას შესახებ იმისა, თუ ვის უფრო მეტი მუგუზალი მიაქვს ცეცხლის გასაღვივებლათ, და ეს — ხომ ჰხედავთ — უკვე პროპორციის გამოკვლევას ემსგავსება...

ხალხთა და სახელმწიფოთა **შორის რომ არსებულიყო** ნორმა-ლი ურთიერთობა, ესპანიისა და ბევრი სხვა საკითხებიც სრულებით ბუნებრივათ გადავიდოდნენ და გადაწყდებოდნენ ერთა ლიგაში: ეს საკითხები არამც თუ ეგუებიან მის კომპეტენციასა და შეადგენენ ლიგის სტატუტის ძირითად თვისებებს, — ერთი ლიგას მათი გვერ-დზე აზვევაც - კი არ შეეძლო, თუ არ მოისურვებდა ასცდენოდა თავის არსებობის ქვაკუთხედს; მაგრამ რათ მოხდა ეს' რამ გამოიწ-ვია გზაბნეულობა? რისათვის კიდევ ზედმეტად შეუქციეს ზურგი ამ უმაღლეს საკაცობრიო ორგანოს?

ერთი ლიგას დაარსებიდანვე შავი ყორანი თავსევლის და უთხ-რის მიწას! მისი ორგანიული დეფექტები აძაბუნებენ მას და აცლი-ან ავტორიტეტს; მისი აგებულობა არავის ანჭებს გარანტიებს, საფ-რთხესა და საშიშროებას მრავლათ უმზადებს... მოკლებული ძალდა-ტანებისა და დამსჯელ აპარატს, ერთა ლიგა ვერავის აიძულებს დაექვემდებაროს მის დადგენილებებს: საკმარისია რომელიმე სა-ხელმწიფოს ჭკუაში არ დაუჯდეს მისი განაჩენი, და ის დაუყოონებ-ლივ სეცესსიას ახდენს: ასე **ჩაიდინეს იაპონიამა და გერმანიამ**; ნ-ლერას ვიტყვით სამხრეთ - ამერიკის რესპბლიკებზე, ამ შესვლა - გამოსვლას რომ სწორედ მასხრული სახე მისცეს!... ეთიოპიის ამ-ბებმა საკმაოდ ნათელჰყვეს ერთა ლიგის შეუწევნელი შესაძლებ-ლობანი საერთაშორისო პოლიტიკის დიდ საკითხებში: სანქციების ეპოპეიამ ანდერძი აუგო ერთა ლიგის იპერფენომენობას. ლიგას ემუქრებიან დამსხვრევით მის გარეთ მყოფნიცა და, რაც უფრო სა-ოცარი და სავალალოა, ბევრნი შიგმსდომნიცა, თქმისა არ იყოს: ყველა ბებიას სცემდა, ერთი მეც წავუქნიეო!

თანამედროვე მღელვარე საერთაშორისო მდგომარეობა მაინც უნდა რამენაირათ შეიცვალოს, გადახალისდეს, — ამაში ორი ჰაზ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი არ არსებობს; წყლულს მალამო მოუხდება, მაგრამ რას იზამ? ჟენევის აქიმბაშს ნდობა წაუხდა...

საქმის საშველად დაწესდა ახალი ყრილობა სპეციალათ ესპანიის გარემოებათათვის: ლონდონის ჩაურევლობის კომიტეტის მუშაობამ თავიდანვე გამოარკვია, თუ რაზომ ღრმათა ყოფილა გამჯდარი საზოგადოებრივ სხეულში განხეთქილებისა და სიძულვილის პროცესსი, ფაშიზმისა და ბოლშევიზმის შუა მდგომი სახელმწიფონი ერთხანათ ოცნებობდნენ, ორთავე მხრიდან დაიმობების საშუალებით, „კვდარი წერტილის“ შერყევას, მაგრამ მოკლე ხანშივე გამოირკვა ამგვარი ცდის სრული უნაყოფობა: შეურიგებელ პრინციპებს ვერავინ შეარიგებს; ცეცხლსა და წყალსა ვინ მოაქცევს ერთათ? შეიძლება ანტიპოდების შემტკიცება?! ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ მიმართულებათა ბუნება ურთიერთისადმი უკიდურესი მტრობით არის ნიშანდობლივი. ამიტომაც დაბოლოს ირკვევა, რომ ლონდონის კომიტეტი საქმის მოსაგვარებლათ იმავ გზის გამონახვას დაადგება, როგორც ეს მუდამ სჩვევია კაცობრიობას: თავის ჰაზრსა და გადაწყვეტილებაზე რომელიმე ძლიერი და მნიშვნელოვანი სახელმწიფო უმრავლესობას შემოითახმებს და, მაშასადამე, წონასწორობაც დაცულიქნება. უკანასკნელი ცნობებით (19 მკათათვე) ამისკენ იხრება ინგლისი და, საფიქრებელია, რომ მისი ტრადიციული პრესტიჟის მეოხებით „გორდის კვანძი“ გაიხსნება, ეკვილიბრობა მოიწყობა.

ამრიგათ მომავალი სახე ევროპისა, მისი პოლიტიკური და ამასთან დაკავშირებით და უფრო სოციალი ბედი მეტწილათ დამოკიდებული არის იმაზე, თუ როგორ დამთავრდება ესპანიის ტერიტორიაზე ამტყდარი მრისხანე შეტაკება, მაგრამ ამას სხვა პირველხარისხოვანი მნიშვნელობაც ემატება: თუ კომუნისტ - ბოლშევიკურ - მასონური ბლოკი დამარცხდა (რაც ადვილი მოსალოდნელია), რუსეთში შექმნილი სიტუაცია უარესათ დართულდება და შეუძლებელი არ არის, რომ გარეთ დამარცხებულ მოსკოვის მთავრობას უფრო გაბედულათ დაჰკრან აწ ამოქმედებულმა ელემენტებმა; არც ის შეიშლება ჩაითვალოს გამორიცხულათ, რომ ამ შემთხვევაში ნაკლებათ აქტიური და ნაკლებათ გაბედული ნაწილებიც ატოკდებიან ესე იგი ბრძოლაში ჩაებმება თვით ხალხი, მასსიურათ.

რაღა თქმა უნდა, რომ თავისუფლებისათვის თავგანწირული მცირე ერები არ დაიყოვნებენ ისარგებლონ რუსეთში მომხდარ არევდარევით, რომ შეჰქმნან ხელსაყრელი პირობები და იქითკენ შეაქანონ საკუთარი ბედის მოჭედა.

უკანასკნელ კუკუმათ წყვდიად წლების შემდგომ ჰორიზონტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ჩნდება შუქი. აი სწორეთ ეხლა არის საჭირო ნაციონალი ძალების უფრო შემტკიცებითა, უფრო ერთობლივათ ამოქმედება და დარაზმვა. მასთანვე პრაქტიკულად აუცილებელი ხდება მეზობელ ერებთან შეთანხმება და შეკავშირება. ქართველობის ასე და ამგვარი ცდით შორიდან გამოჭვერეტი შუქის სხივი ჩვენს ცასაც მოჰხვდა.

პასუხისმგებლობით არის დატვირთული ქართველობის ყოფაქცევა გარეთაც. აქ — ევროპაში: მრავალი წლის დაკვირვებამ საკმარისად დაგვანახა და დაგვიმტკიცა, თუ როდენ დელიკატურია მოქმედების ეს სფერო და როგორი სიდინჯე, წინდახედულობა და გონიერება ჰმართებს ქართველ მოღვაწეს უცხო პირებთანა თუ დაწესებულებებთან წარდგომისას. სასირცხო და მიუტევებელია ამ-ტომ, როცა ქართველის ნათქვამი თუ ნაწერი უცხო ენაზე აშენებული არის ღვარძლზე, ეგოისტურ მოტივებზე, შურზე.

ბოლო ხანებში თავი წამოყეკეს სხვადასხვა ჯურის მეშორე და მუზმუზელებმა; ვინ არიან ეს ხალხი, დღემუდამ დაძრწიან? დღეს აქ არიან, ხვალ იქ? დღეს ამათთან ჭლოკავენ ტაფას, ხვალ იმათთან? ვისთან არიან? რა უნდათ? რას ემსხურებიან? ამ „არამკითხე მოამბეებმა“ ერთგვარ ხელმათ გადიქცეს საქართველოს ახლო წარსულის შინაცხოვრებისა და იმდროს არსებულ ზოგირამ ნაკლისა და მოუწესრიგებლობის, ბოხჩასავით გადაშლა უცხოელების გასცნობათ; ესენი ყველაფერს წუნსა სდებენ, ჰგმობენ, მიწასთან ასწორებენ, ასასაცილოებენ, — ვერ კი ჰგრძნობენ (თუ რასაკვირველია გულწრფელათა ჰთხზავენ). თუ რამდენად ამცირებენ ქვეყნასაცა და საკუთარ თავსაც. ზოგიერთ თავხედს საამაყოდაც მოაქვს აჩემებული ხელობა! დამსახურებათ მიითვლიან ისტორიაში ტრაღიკულათ გადასულ დღეთა სხვათა წინაშე გაქექ - გამოქექვას: არ გამოდგეს ყვავი ქორათ, არც უგვარო — გვარის სწორათ...

საქართველოს თავგადასავლიანი ისტორია უამრავ ისეთ მასალას შეიცავს, რომლის გაცნობით უცხოელს უნებლიეთ აღეძრება ჩვენი ერისადმი დიდი ნდობა და პატივისცემა.

საქართველოს მთლიანი და ერთსულოვანი, ძლიერი ნებითა და ზეაპყრობილი სულით, — აი ასეთი სახიანობით უნდა გამომზეედეს უცხოთა წინაშე, და არა დაქსაქსული და პარტიული ქიშპობაში ჩაფლული, სასმიხდილი და თავჩაქინდრული.....

დიდი ამბები მოდიან, მოჰქუხავენ: ვის უქადიან წალეკით, ვის უმზადებენ განგოზილ სამკვიდრებელს'... ეამნი გამოზომილნი არიან... მადრიდში სწყდება არა მხოლოდ ესპანის ბედი!... განა ის კი შეუძლებელია, რომ დასავლეთის იბერიამ განთავისუფლება შესძინოს აღმოსავლეთის ივერიას?!...

რ. ინგილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე დიდის ანდერძი
და
ისტორიის განაჩენი

რუსეთის უბედურება ის არის, რომ მას გადაჭარბებული დიდი მადა აქვს და დიდი იმპერიალისტური მიზნები. მას არ აქვს ამ დიდი მადის შესაფერი მაგარი კუჭი და ამ დიდი იმპერიალისტური მიზნებისათვის — მაგარი ხერხემალი. მისი ეროვნული სულიერი და ფიზიკური რაობა სრულიად არ უპასუხებს მის მიერ დასახულს ამ დიდს იმპერიალისტურს მიზნებს. ერმა, — რომელსაც თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარება და განვითარების უნარიც კი არ აქვს, ერმა, — რომელიც თავის საკუთარს თავს ვერ უვლის, — მიზნად დაისახა არა მარტო სლავიანური ხალხების, არამედ აზია - ევროპის ერების ა და სახელმწიფოების დაპყრობა და მათზედ ბატონობა. ჯერ კიდევ ნახევრად ველური იყო რუსის ხალხი, რომ ასეთი ფანტასტიური მიზანი დაისახა და საკუთარი ეროვნულ - სახელმწიფოებრივი განვითარების ბუნებრივ გზას ასცდა.

1709 წელს პოლტავის ბრძოლაში პეტრე დიდმა კარლო მე - 12-ის ჯარები დაამარცხა. ამ შემთხვევითი გამარჯვებით გათამამებულმა პეტრე დიდმა კალამი აიღო და საველე კარავში დასწერა სამეფო ანდერძი, რომლის ასლიც აღმოჩენილ იქმნა პირველად 1757 წელს საფრანგეთის დიპლომატიურს არქივში, და რომელსაც ცხოველი ყურადღება მიაქცია საფრანგეთისა და ინგლისის კაბინეტებმა. მაგრამ საზოგადოების ფართე წრეებისათვის ის უცნობი დარჩა. საჭიროდ მიგვაჩნია ამ ანდერძის ზოგი დამახასიათებელი ადგილები მოვიყვანოთ:

„მაღალი ღმერთი, რომლის ნებიდანაც გარდმოდის ჩვენი არსებობა და რომლის მიერ ნაკურთხი გვირგვინი ჩვენს თავს ამკობს, ღვთაებრივის შუქით გვინათებს წინამდებარე გზას, რაც ჩვენ გვაძლევს საშუალებას სისწორით განსჭვრიტოთ მომავალში რუსის ერის უდიდესი დანიშნულება — მისი ევროპაზედ გაბატონებისა. ეს ჩემი წინასწარმეტყველობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ევროპის ერებმა მიაღწიეს მოხუცობისა და დაკნინების ხანას, რომლისაკენაც ისინი ჩქარის ნაბიჯით დაექანენ. აქედან ვამომდინარეობს, რომ ეს ერები ადვილად შეიძლება დაპყრობილ იქმნან ახალი და ახალგაზრდა ხალხის მიერ, როცა ეს უკანასკნელი მიაღწევს მთელს მის სულიერსა და ფიზიკურს განვითარებას. მე მრწამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ჩრდილოეთის ერის მიერ დაპყრობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისა, თანდათანობით ზეგარდმოხული სასწაულისა და კურთხევის წყალობით, ისევე როგორც რომის იმპერია დაემხო ბარბაროსთა მიერ დაპყრობით. მე რუსეთი მივიღე როგორც პატარა ნაკადი; მე მას ვტოვებ, როგორც დიდს მდინარეს, ჩემი მემკვიდრენი გარდაქმნიან მას დიდ ზღვად, რომელმაც გაღატაკებული ევროპა უნდა გაანოყიეროს. ამ დიდი ზღვის ტალღები გადალახავენ სუსტის ხელით აგებულს ჯებირებს, თუ ჩემს მემკვიდრესთ ეცოდინებათ მათი ხელმძღვანელობა".

წინასწარმეტყველი მეფე ამ მიზნის განხორციელებისათვის საწარმოო პოლიტიკის მთავარს დებულებებსაც უანდერძებს მის მემკვიდრესთ:

„იყოლიეთ რუსის ერი განუწყვეტლივ საომარს განწყობილებაში, რომლითაც შეგეძლებათ გეყოლოსთ მუდამ ჯარის კაცი გაწრთვნილი და ვაჟკაცი. ერი დაასვენეთ მხოლოდ სახელმწიფო ფინანსების გასაუმჯობესებლად , და ჯარის გარდასაქმნელად. უთვალყურეთ და შეარჩიეთ დრო შეტევისათვის. ამგვარად ამსახურეთ მშვიდობიანობა ომსა და ომი — მშვიდობიანობას, რუსეთის გაძლიერებისა და განდიდებისათვის"

„ხელიდან არ გაუშვათ შემთხვევა და ჩაერიეთ ევროპის სახელმწიფოთა საქმეთა გართულებაში".

„გაჰყავით პოლონეთი და ჩააგდეთ მათ შორის შური და მტრობა".

„შესთავაზეთ, ძლიერ საიდუმლოდ, ჯერ ვერსალის სასახლეს, შემდეგ ვენის სასახლეს მთელი მსოფლიოს ორად განაწილების გეგმა. თუ რომელიმე მათთაგანი ამაზედ დასთანხმდა, მისი საშუალებით გაანადგურეთ მეორე მათთაგანი; შემდეგ თქვენ თვითონ გაანადგურეთ და დაიპყრეთ ეს თქვენი მოკავშირე. რუსეთს, რომლის ხელქვეით იქნება ამ დროს მთელი აღმოსავლეთი და ევროპის დიდი ნაწილი, ეს არ გაუჭირდება".

„თუ არც ერთი ამ სახელმწიფოთაგანი არ დასთანხმდა თქვენს მიერ შეძლეულს კავშირს, უნდა შესძლოთ მათს შორის შურისა და დავის ჩაგდება, და მათი ურთი - ერთს ომში დაუძლურება".

უნდა აღინიშნოს, რომ ვერსალის სასახლე ხომ დღევანდელი საფრანგეთია და ვენის სასახლე კი დღევანდელი ჭერმანეთი და ავსტრო - უნგრეთი.

აი ეს დიდი ფანტასტიური გეგმა, რომელიც პეტრე დიდმა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსახა ტყიდან გამოყვანილსა და ძალად თმა და წვერ გაკრეჭილს რუსის ხალხს. პეტრე დიდმა ქვეშა წაყარა რუსეთის მეტად ჩამორჩენილს შინაურს ცხოვრების ხავს მოდებულს ტბას, ზოგიერთი ევროპიული რეფორმები შემოიღო; რუსის სული და გონება ძველს ველურს მდგომარეობაში დასტოვა, ხოლო თმა და წვერი გაჰკრიჭა, რომ გარეგნულად ევროპიელისთვის დაემსგავსებინა. იქნება ფიქრობდა, რომ წვერ გაკრეჭილი და ევროპიულად ჩაცმული რუსის მოქიკი უფრო შეუმჩნეველად და ადვილად შემოეპარებოდა ევროპიელებს, დაიპყრობდა და დაანგრევდა ევროპას ისე, როგორც ბარბაროსებმა დაანგრიეს ძველი რომის იმპერია.

პეტრე დიდის ეს სამეფო ანდერძი გახდა მის მემკვიდრეთა პოლიტიკის ზრუნვის საგნათ. ეს ის ღერძია, რომლის ირგვლივ დღემდე ტრიალებს რუსეთის პოლიტიკა. პეტრე დიდის მემკვიდრენი სხვა და სხვა ეპოქაში სხვა და სხვა გზებითა და საშუალებებით ცდილობდნენ ამ ანდერძში დასახული რუსული იმპერიალისტური მიზნების განხორციელებას: მთელი რიგი მეზობელ ქვეყნებისა თანდათანობით სხვა და სხვა საშუალებებით დაიპყრეს; ამ დაპყრობილი ერების სისტემატიური რუსიფიკაციის ძლიერი პოლიტიკა შეჰქმნეს; აღმოსავლეთ ევროპის სლავიანურს ქვეყნებშიაც პანსლავიანური მოძრაობა გააჩაღეს, ამ ერების საბოლოოდ დაპყრობისა და გარუსების მიზნით; ევროპის ქვეყნებისა და ევროპის პოლიტიკისადმი ყურადღება გააცხოველეს და არც ერთი შემთხვევა არ გაუშვიათ, ევროპის პოლიტიკურს ცხოვრებაში, რომ არ გამოხმაურებოდნენ და შიდ უშუალოდ ან სხვისი საშუალებით არ ჩარეულიყვნენ.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ალექსანდრე პირველის აქტიური როლი ევროპის პოლიტიკურს საქმეებში, ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის წარმოება და შემდეგ საფრანგეთის შინაურს საქმეებში ჩარევაც ამ რუსული იმპერიალისტური გეგმით ხდებოდა; ამ უკანასკნელ მსოფლიო დიდს ომში რუსეთის ჩარევაც ხომ რუსეთის აშკარა იმპერიალისტური მიზნებით იყო ნაკარნახევი. რუსეთმა პეტრე დიდის ანდერძის თანახმად დიდათ შეუწყო ხელი გერმანეთისა და ავსტროუნგრეთის იმპერიის და საფრანგეთის შორის სადავო საკითხების გამწვავებას. როცა სახელმწიფოთა შორის ომი გაჩაღდა, თვით საფრანგეთის და მის მოკავშირეთა მხარზე დადგა, რომ ჯერ მისთვის ყველაზე საიშიშ მტერი გერმანეთის და ავსტროუნგრეთის იმპერია წაექცია, საფრანგეთ – ინგლისის საშუალებით, და მათს ფარგლებში მომწყვდეულს სლავიანურს ქვეყნებში ფეხი შემოედგა; თანაც ოსმალეთის იმპერიაც წაექცია და რუსეთის იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიის საზღვრები შავი ზღვისათვის გამოეცალებინა, და კონსტანტინეპოლის შუბლზედ რუსეთის იმპერიის დროშა აეფრიალებინა.

ასეთი იყო რუსეთის ტახტის სურვილი და განზრახვა, მაგრამ ისტორიის განგებამ სულ სხვა ინება: ომში ჩაბმული რუსეთის იმპერიაში რევოლუციამ იფეთქა; ამ ომში დიდ მსხვერპლის გაღებულს რუსეთს გამარჯვების შედეგი ასცდა; დიდს ომში ოთხი წლის განმავლობაში გაწეული ხარჯი და დაღვრილი ზღვა სისხლი აუნაზღაურებელი დაეკარგა: მოკავშირეთაგან დაპირებული კონსტანტინეპოლი კვლავ რუსის სიზმრის საგნად დარჩა. იმპერიის ტერიტორიიდანაც საგრძნობი ნაწილი დაჰკარგა: პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და ფინლანდია საბოლოოდ გამოეყო რუსეთს და ევროპის საზღვარზედ ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღდგენით გზა შეუფერხდა რუსული სლავიანიზმის ევროპისაკენ ლტოლვას. დარჩენილს ტერიტორიაზედ რევოლუციის ცეცხლმა, ოცი წლის განმავლობაში რომ რუსეთის წითელს იმპერიას კიდით კიდემდე უკიდია და ბოლო არ უჩანს, სახელმწიფოებრივი ცხოვრება დაუნგრია, ხალხის საუკეთესო ნაწილი ფიზიკურად გაჟლიტა, დანარჩენი მატერიალურად გაანადგურა და სულიერად გარყვნა. რუსეთი ვარიაგ - რიურიკის დროს დაუბრუნა და მის მიერ დაპყრობილი პატარა ერის შვილი დიქტატორად დაუსვა. რუსეთი რომ ეროვნული სახელმწიფო ყოფილიყო, საკუთარს ეროვნულს ბაზაზედ დაფუძნებული, საკუთარის ეროვნულის სულითა და გონებით წარმართული, ეს უბედურება თავიდგან ასცდებოდა, და ომში გამარჯვებული, რევოლუციას არ მოახდენდა, ისევე როგორც ეს არ მოუხდენია არც საფრანგეთს, არც ინგლისსა და არც იტალიას. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ რუსეთის რევოლუცია მოამზადა და მოახდინა რუსეთის იმპერიის უღელის ქვეშ მყოფმა ერებმა და არა რუსის ერმა. ეს ერები, რომელთა პოლიტიკური პარტიები და ძალები რუსეთის რევოლუციას დიდი ხნიდან ამზადებდნენ, 1914 წელში დაწყებულ საერთაშორისო ომზედ ამყარებდნენ თავიანთი ეროვნული განთავისუფლების იმედებს; რუსეთის მოპირდაპირე მტერთან გერმანეთთან ფარულს კავშირში იყვნენ, და რუსეთის ზიგნით რევოლუციას ამზადებდნენ. რუსეთის რევოლუციის დასაწყისიდან რევოლუციის ხელმძღვანელთა როლებში დაჩაგრულ ერების შვილნი გამოჩდნენ: განსვ. კარლო ჩხეიძე, ირ. წერეთელი, აკ. ჩხენკელი და ევ. გეგეჭკორი მნიშვნელოვას როლებს ასრულებდნენ რევოლუციის დასაწყისში. თვით რუსმა კერენსკიმ ერთი წელიწადიც კი ვერ დაუჭირა სადავე რუსეთის რევოლუციას. შემდეგი რევოლუციონური რუსეთის ხელმძღვანელსა და ბელადს რუსს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინს ორი წლის განმავლობაში ტვინი გაუთხელდა და ამით მოკვდა; თუმცა ეს ავადმყოფობა დიდი ხნიდან ჰქონდა მას შეყრილი, თორემ რომელი ტვინ სქელი გონიერი რუსი გაეგზავნებოდა მისი ერის მტერს გერმანეთს რუსეთში რევოლუციის მოსახდენად და გამარჯვებული რუსეთის დასანგრევად და დასამარცხებლად. არა რუსი პატარა ერის შვილი ჯუღაშვილი, სტალინის სახელი რომ გაამართლა, თექვსმეტი წელია რაც რუსეთის რევოლუციას ხელმძღვანელობს და მარჯვნით და მარცხნით მუსრს ავლებს მისადმი უგულოსთ და ურჩსთ.

რევოლუციონური რუსეთის ხელმძღვანელნი თავისუფლების ქადაგებით მივიდნენ ხელისუფლებამდე. მათთვის სავალდებულოც იყო შეეგნოთ ერთა თავისუფლების იდეა, უკანასკნელი საუკუნოების მანძილზედ, რომ ნელის, მაგრამ საიმედო ნაბიჯით წინ მიდის და ხორცს ისხამს. აგრედვე მათთვის სავალდებულო იყო შეეგნოთ რუსეთის სახელმწიფოს მის ეროვნულს კალაპოტში ჩაყენების სარგებლიანობა და აუცილებლობა. მაგრამ ძველი და რეგრესიული სოციალურ - ეკონომიური იდეებით მისულთათვის გაუგებარი დარჩა და მიუღებელი შეიქმნა ახალი დროის პროგრესიული, ეროვნებათა თავისუფლების იდეები. მათაც სისხლის ზღვაში ჩაახრჩვეს რუსეთისაგან განცალკევებული თავისუფალი ერები; ამ დალექილ სისხლს ქვიშა წაყარეს და კვლავ ზედ დააფუძნეს რუსეთის დიდი წითელი იმპერია. ასეთს საფუძველზედ ცხადია ვერ აშენდება მყარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება და წყობილება. ასეთს ქვიშაზედ აშენებული სახელმწიფო ვერ გაუძლებს ვერც ქვენა და ვერც ზენა ქარს.. ყოველი საშინაო თუ საგარეო გართულება მას აშკარა ხიფათის წინაშე აყენებს.

**
*

სახელმწიფო იმდენად უფრო მყარია და მაგარი, რამდენადაც ის ერთს გამოკვეთილს ეროვნულს შემადგენლობას ეყრდნობა, ვინაიდან ერი საუკუნოებით შექმნილი ერთობაა — სისხლის, სულის, აზროვნების, კულტურის, ხასიათის, ზნე-ჩვეულების და ტრადიციების. საუნოების მანძილზედ ბუნებრივის განვითარებით გამოკვეთილი ასეთი ეროვნული ერთობის ფუძე მაგარი და საიმედო დასაყრდენია სახელმწიფოსათვის.

აი სწორედ ეს დასაყრდენი აკლია იმ რუსეთის წითელს იმპერიას, რომლის ძლიერებაზედ ლაპარაკი დღეს მოდაშია შემოსული. სახელმწიფოს ვერას არგებს რევოლუციონური სულის ერთობა, თუ მის შემადგენელ ნაწილთა შორის ეროვნული სულის ერთობა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს. რა საერთო ეროვნული აქვს თავისი ეროვნული მეფე მირიანის მიერ სახელმწიფოს საფუძველ ჩაყრილს, ვახტანგ მეფის. დავით ალმაშენებელის და თამარ მეფის ერს, აღზრდილს ზოთა რუსთველის ვეფხის ტყაოსანზე, - უცხო ვარზაგი-რიფრიკის მიერ სახელმწიფო საფუძველ ჩაყრილ „ილია ჭავრავეცის“ ოდებზე აღზდილს და იოანე მრეხანის მშობელ რუსის ერთან! რა საერთო სისხლი ან სული, რა საერთო ზნე და ახსიათი, რა საერთო ტრადიციები, რა საერთო კულტურა, ან რა საერთო ისტორიული წარსული, ან რა საერთო მიზანი და მისწრაფება აქვს ქართველს ერს ჩრდილოეთის რუსის ხალხთან, რომ მასთან ისტორიულს ულელში შეებას. ? ბუნების მიერ ამ ორ ხალხთა და მიწაწყლის შორის დადებული კავკასიონის მყინვარის მთის თვალმიუწვდენელი სიმაღლე ჰყოფს მათ არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ რასიულად და სულიერადაც. ასევე მეტად თუ ნაკლებად განსხვავდებიან რუსებისაგან საბჭოთა ფარგლებში ძალად დამწყვდეული სხვა ერები: უკრაინელები, ყაზახები, მთიელები, სომხები, აზერბეიჯანელები ,თურქები და სხვანი. მათ არავითარი ერთობა არც წარსულში და არც აწმყოში არ აკავშირებსთ რუსის ხალხთან. ყოველი ამ ერთიანი ფიზიკური ძალით არის დაპყრობილი ველიკორუსების მიერ. ყველა ეს ერები იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ცალცალკე და ერთად. საბჭოთა რუსეთში ამ უკანასკნელს ხანებში ოფიციალურად გადვიძებული პატრიოტიზმი არ არის მარტო რუსული, ეს არის პატრიოტიზმი მთელი რიგი იმ ერების, რომელნიც დღეს მოსკოვის უღლის ქვეშ გმინავენ. საბჭოთა რუსეთის აღდგენის პირველი დღეებიდან დაიწყო ეროვნული ხასიათის ბრძოლები: უკრაინაში. ყაზახეთში, საქართველოში, სომხეთში, აზერბეიჯანში. და სხვაგან. ამ ერთიანან ზოგმა რამოდენიმე ეროვნული აჯანყება მოახდინა. ყველა ეს ეროვნული აჯანყებები, რომელთაც საბჭოები მენშევიკურ და კონტრევოლუციურ აჯანყებად ასაღებდენ, სისხლის ზღვაში იქმნა ჩახრჩობილი. მაგრამ ამით ვერ დასთრგუნეს ეროვნული თავისუფლების ძლიერი იდეა, რუსეთის მიერ დამონებულსთ ათეულს ერებს რომ ასულდგმულებს და ამოძრავებს. დღეს ეს იდეა იმდენად მომწიფდა და მომაგრდა, რომ საბჭოთა რუსეთის ერთად ერთ ერთობის გამომსახველს კომუნისტურს პარტიასაც კი მოედო. პატარა ერთა კომუნისტებმა, რომელთაც წინ წამოუძღვენენ რუსის წითელ ჯარებს და თავიანთი ერები რუსეთს დააპყრობინეს, დღეს შეიგნეს თავიანთი ისტორიული შეცდომა.ზოგმამათთაგანმა თავი მოიკლა, უმრავლესობამ კი თავიანთი ეროვნული ცოდვების გამოსყიდვა აირია და მოსკოვის დიქტატურას აუმხიდრდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ფართე და აქტიურს წრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იშვიათად თუ ვინმე შერჩა მოსკოვის ერთგულებას; მათში რუსული კომუნიზმით მომბრჭვალი ეროვნული სული აცოცხლდა. სამშობლოსი და ერის სიყვარული, რომელიც ყოველს ქართველს უძღვს გულის სილრმეში, მიუხედავად მისი პოლიტიკური თუ სოციალური რწმენისა, დაეუფლა მათ გონებას, და წინაპართაგან ნანდერძევი ეროვნული მიზნები უკარნახა. ეს წრეები გადაუდგა წითელს მოსკოვს; ბევრი მათგანი, რომელთაც დიდი და პირველი ადგილები ეჭირათ მთავრობასა და მმართველობაში, რუსეთის ციხეებში და საკონცეტრაციო ადგილებში მოათავსეს, შემდეგი წყება კი, ახლად დატუსაღებულნი, გაასამართლეს და დახვრიტეს, ხოლო ისინი, ვინც ჯერ თავისუფალნი არიან და თანამდებობებს ასრულებენ, დატუსაღებას ელოდებიან.

კომუნიზმისა და მსოფლიო რევოლუციის იდეებით აღგზნებულ საბჭოთა რუსეთის მმართველი კომუნისტური პარტია იყო რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა საბჭოთა ოფიციალური წრეების ერთად ერთი გამაერთიანებელი ძარღვი. დღეს ეს მთლიანობაც დაირღვა; მსოფლიო რევოლუციის მოხდენის შესაძლებლობაზედ ბევრი კომუნისტი დაეჭვდა. იმედი დაეკარგათ თვით რუსეთის ფარგლებშიაც კომუნისტური რეჟიმის განხორციელებისა. ამან გამოიწვია კომუნისტურს პარტიაში მერყეობა და სხვა და სხვა ხასიათის გადახრები. რუსეთის დიქტატორმა ჯუღაშვილმა ამ მერყევი წრეებიდან რამოდენიმე წყება დაიჭირა, გასამართლა და დახვრიტა; კომუნისტური ძველი გვარდიიდან იშვიათად თუ ვინმე შერჩა სტალინს, გარდა რამოდენიმე დამონებული და ხვალინდელი დაჭერისა და დახვრეტის შიშით შეპყრობილისა. დაირღვა რუსეთის კომუნისტური მონოლიტური პარტია.

საბჭოთა რუსეთის მთელი შესაძლებლობა ამ ოცი წლის განმავლობაში ჯარის შექმნას მოხმარდა. მათი მიზნების განხორციელებისათვის სამხედრო ძალა იყო ერთად ერთი საშვალება. დღეს ამ ჯარის სისუსტეც გამოაშკარავდა: არც ეს ჯარი ყოფილა საიმედო დასაყრდენი საბჭოთა რუსეთისათვის. მარშალი ტუხაჩევსკისა და შვიდი დიდი ღენერლის ჯაშუშობისათვის დახვრეტა აამკარავებს წითელი ჯარის ბუნებასა და საიმედობას. საბჭოთა რუსეთი, მისი არსებობის მეოცე წელიწადში, მას შემდეგ, რაც უშედეგოდ ებრძოლა ცხოვრების სინამდვილეს, დიდი კრიზისის წინა სდგას. ის პერმანენტული დატუსაღებანი და დახვრეტანი, რომელსაც რუსეთის დიქტატორი ჯუღაშვილი აწარმოებს მარცხნით და მარჯვნით ადმინისტრაციის, კომუნისტური პარტიის, თუ წითელი ჯარის მეთაურთა შორის, მაჩვენებელია იმ დიდი კრიზისისა, რომელსაც ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

ღარ გადაურჩება რუსეთის წითელი იმპერია. რუსეთს ახალი რევოლუციისა ელის. ეს რევოლუცია წმინდა ეროვნული რევოლუცია იქნება, რომელსაც მოსკოვის მიერ დაპყრობილი ერები ამზადებენ. შესაძლებელია ამ რევოლუციას რუსეთის საგარეო ომმა დაასწროს და მას გზა გაუკაფოს. დღეს თუ ხვალ, ეს ორი მოვლენა მოსალოდნელია და აუცილებელიც. ისტორიის განაჩენი უნდა აღსრულდეს, რუსეთის იმპერია უნდა დაინგრეს. რუსეთის ფარგლებში თავისუფლებისათვის მებრძოლ ერთა ცაზედ განთიადის ვარსკვლავი უკვე გამოჩნდა.

***

პეტრე დიდის ფანტასტიური იმპერიალისტური გეგმის მსხვერპლი გახდა რუსეთის იმპერატორთა ტახტი და რუსეთის უკანასკნელი იმპერატორიც. ბოლშევიკებმა დახოცეს და დასწვეს რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი და მისი შთამომავლობა, მაგრამ პეტრე დიდის ეს ანდერძი, მეფის რუსეთის პოლიტიკის ღერძად რომ იქცა, ნიკოლოზ მეორეს ჯიბიდან ამოაცალეს და თავიანთი რუსული პოლიტიკის ქვა-კუთხედად გაიხადეს. ლენინმა პანსლავიანიზმს ახალი საშუალება დაუმატა რუსის მსოფლიოზედ გაბატონებისათვის. მან მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის გეგმა დასახა. ამ რევოლუციის ცეცხლი რუსეთის კერაზედ გაანთო, რევოლუციის არტილერია რუსეთის საზღვრებზედ დასდგა და კულტურულს მსოფლიოს რევოლუციის ბაცილებით გატენილი ყუმბარები დაუშინა. ლენინიც მოკვდა, მაგრამ ამ რუსული იმპერიალიზმის რევოლუციონური არტილერიის ცეცხლი დღემდე გრძელდება. საბჭოთა რუსეთის შინაურსა და საგარეო პოლიტიკას რომ ღრმად ჩაკვირდეთ, პეტრე დიდი ამ პოლიტიკის მთავარი დებულებების მომცემად წარმოგიდგებათ და სტალინი და ლიტვინოვი პეტრე დიდის პოლიტიკის ტეხნიკურ აღმსრულებლებად. რატომღაც ეს ქართველი ჯუღაშვილი და ებრაელი ლიტვინოვი მუხლობრივ ანხორციელებენ რუსეთის იმპერატორ პეტრე დიდის პოლიტიკურს პროგრამას: რუსის და მის მიერ დაპყრობილი ხალხები მუდმივ სამხედრო მზადებისა და საომარს მდგომარეობაში ჰყავსთ და მსოფლიოს და განსაკუთრებით ევროპის სახელმწიფოთა შინაურს პოლიტიკაში თუ მათი ურთიერთის პოლიტიკაში აქტიურად ერევიან, არც ერთს ხელსაყრელს მოვლენას ხელიდან არ უშვებენ, რომ მათ შორის უთანხმოება ჩამოაგდონ და გაამწვაონ; ამ გზით ომი გამოიწვიონ, და ამ ომის საშუალებით დაანგრიონ ევროპის სახელმწიფოები და მათ ნანგრევებზედ რევოლუციის გაჩაღებით რუსეთის ბატონობა დაამყარონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ევროპის სახელმწიფოებს და განსაკუთრებით ინგლისს, საფრანგეთს და ჩეხოსლოვაკიას ჯერაც ვერ აქვს შეგნებული საფრთხე დიდი რუსეთის არსებობისაგან რომ გამომდინარეობს. მსოფლიოს მეექვსედზედ ფეზგადგმული რუსის ერი, სლავიანური მესიანიზმით და მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის რწმენით, უაღრესი იმპერიალისტური მიზნებით, ემუქრება მსოფლიოსა და განსაკუთრებით ევროპას, რომელსაც ჩრდილოეთიდგან თავზედ წამოდგომია. სჩანს მათ განკარგულებაში მყოფ განუსაზღვრელ საშუალებათა მიუხედავად, ეს სახელმწიფოები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იცნობენ რუსის ხალხის სულსა და გონებას და ვერც მათს მიზნებს. თითქოს ამ ერებისათვის უცნობი იყოს უკანასკნელი საუკუნეების ისტორია და საბჭოთა მოსკოვის თანამედროვე მოქმედებანი, რომელნიც მდიდარია დამფიქრებელი გაკვეთილებით. თუმცა ამ უკანასკნელს ხანებში ევროპისა და საფრანგეთის ნაციონალისტური წრეები ძლიერ ჩაფიქრა რუსეთის საფრთხემ.

ამ **რამოდენიმე** წლის წინად ახლანდელმა დეპუტატმა ბ. დე - კირილისმა ზედმიწევნით გამოსთქვა რუსეთის საფრთხე: „დღევანდელი რუსეთი, ისევე როგორც ძველი, მუდამ მსოფლიოს შთანთქმაზედ ოცნებობს. რუსის ეს სიმსუნაგე არასოდეს დაკმაყოფილებულა. ეს ხალხი, რომლის ტერიტორია მსოფლიოს მეექვსედს ნაწილს შეიცავს, წყნარს ოკეანეს ბალტიის ზღვასთან და აზიას ევროპასთან აერთებს, რომელიც საზღვრავს ორმოცდათს ქვეყანას და შთანთქამს ასეულ სხვას, თავის ზრახვებს არასოდეს იმჩნევდა დაკმაყოფილებულად. ხან შორეულს აღმოსავლეთისაკენ იწევდა, ხან სპარსეთისაკენ, ხან შვეციისაკენ, რომ ატლანტიურ ოკეანემდე მიეღწია, მუდამ სტამბოლს მოითხოვდა, მუდამ სამხრეთის სლავიანებს შთანთქმით ემუქრებოდა. რუსეთი არასოდეს ყოფილა გამაძღარი და არც არასოდეს იქნება გამაძღარი". შეუძლებელია უკეთესად გამოთქმა რუსეთის საფრთხისა. ამას დაუმატოთ საგარეო საქმეების ზედმიწევნით მცოდნე, ცნობილი ჟურნალისტის ვლადიმერ დორმესონის აზრიც: „მონარქიული თუ საბჭოთა რუსეთი მუდამ იყო, არის და იქნება ევროპის დაშლისა და აღრევის მიზეზი თავისი მესიანურის ამბიციებით, იმ დიდ შესაძლებლობათა გამო, რომელიც მას გააჩნია და იმ ილიუზიების გამო, რომელთაც ის ბადებს"-ო. ამ ჭეშმარიტი და რეალური აზრების შემდეგ გაუგებარია, თუ რა აზრი აქვს და რა გამართლება საფრანგეთისა და ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა მიერ რუსეთის დაცვის პოლიტიკას?

ევროპის სახელმწიფოებმა თავი უნდა დანებონ რუსეთის იმპერიის მეგობრობასა და დაცვას; მათ ხელი უნდა შეუწყონ ამ იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიის დარღვევას და დანაწილებას, ეროვნებათა მიხედვით, რომ ამით თავიდგან აიცილონ ის დიდი საფრთხე, ევროპას რომ ემუქრება ჩრდილოეთიდან თავზედ წამოწოლილი დიდი რუსეთის სახით.

საფრანგეთმა და მისმა მეგობრებმა რუსეთის წითელი ჯარის მეთაური მარშალ ტუხაჩევსკისა და ზვიდი ღენერლის ჯაშუშობისათვის დახვრეტის შემდეგ მაინც უნდა დაინახონ, თუ რა ღირებულება აქვს მათს კავშირს რუსეთთან. საფრანგეთისათვის სავალდებულოა ახსოვდეს, რომ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი იყო, რომ მოკავშირეთა ჯარების საშუალებით შემოვიდა პარიზში 1814 წელს, მარტის 29-ს და ნაპოლეონის მიერ რამოდენიმე თვის წინ ნაჩუქარი რუნი ცხენით გაიჯირითა რუსეთის იმპერატორმა პარიზის გულზედ, იქ, სადაც დღეს „ეტუალია“ და ერის სიმბოლიური ალი ყოველ საღამოს ამოდის ეროვნულ სიამაყის საფლავიდან. პარიზის ხალხი ოვაციებით შეხვდა მათს „განმათავისუფლებელს“ რუსის იმპერატორს. სულ 103 წელია ამდღიდან და ამისი დავიწყება არ ეპატიება დიდი ფრანგის ერს. მოსკოვის დღევანდელი დიქტატორიც ხომ ჰპირდება საფრანგეთისა და პარიზის აალხს განთავისუფლებას და წითელ მოსკოვთან დადებული ხელშეკრულობა, ის რუნი ცხენია, რომლის რუსული ნალი შეიძლება კვლავ იხილოს პარიზის გულმა.

პარიზში შემოსულმა გამარჯვებულმა ალექსანდრე პირველმა ბიუტ - შომონის მაღლობიდან გადმოხედა პარიზს და სთქვა: „ამგვარად ღვთიურმა სასწაულმა ინება, რომ ეს ჩემის ხელით აღსრულებულიყო“-ო.

ალბად ეს ღვთიური სასწაული იგივე ღვთიური სასწაული იყო, პეტრე დიდს რომ რუსის ერის მომავალ გზას უნათებდა მის მიერ სამეფო ანდერძის დაწერის დროს.

„პეტრე დიდის ცნობილი ანდერძი კომპასად უნდა გამოადგესთ ევროპის სახელმწიფოთა კაბინეტებსა“-ო, სთქვა 1867 წელს პოლონეთის ცნობილმა ისტორიკოსმა შოდკომ. და ეს კომპასი არასოდეს ისე საჭირო არა ყოფილა ევროპის კაბინეტებისათვის, როგორც დღეს, მსოფლიო აღრეკილა და უდიდესი ღელვის დროს.

ელ. პატარიძე

1937 წ. ივლისის 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული გაერთიანებისათვის

დღეევანდელს არევდარევას აქვს მრავალი საზოგადო და კერძო ხასიათის მიზეზები.

კაცობრიობა განიცდის მრავალნაირს რევოლუციას : პოლიტიკურს, ეკონომიურს, სოციალურს და მორალურს.

ჩვენს თვალ წინ ქვეყანა თითქოს ინგრევა და თანაც შენდება.

დასავლეთის ერები, რომელნიც მე - 15 საუკუნიდგან ჩვენს მასწავლებლად მიგვაჩნია, თვითონაც ვერ ჰპოულობენ გამოსავალს.

ამ ჩემს პირველ გამოსვლაში ქართველი მკითხველის წინაშე, მე ვეხები მხოლოდ ზოგი - ერთს მიზეზს, რომელიც, სხვათა შორის, საუბედურო გამოდგა ჩვენი სამშობლოსათვისაც.

ყველა მოვლენას აქვს თავისი საძირკველი წარსულში, და მხოლოთ იმ აზრებს და მოქმედებას აქვს გამარჯვება, რომლის ფესვები იმარხება ამ ისტორიულს წარსულში.

საუკუნოები დასჭირდა, მანამ ბუნების კანონის ძალით, ხალხის ბრბო ჯერ ჩამოყალიბდა პრიმიტიულ პოლიტიკურ საზოგადოებაში და მერე მიიღო სახელმწიფოს ფორმა.

ისტორია, როგორც ბუნება, ემორჩილება თავის განვითარების კანონებს და არ არის შედეგი მარტო ადამიანის სურვილისა; ის არის მძლავრი გამონასახი ქვეყნის სულისა და მუდმივი პოემა ღვთის გონებისა.

სახელმწიფო, რასან დაარსდა, იზრდება და ვითარდება, როგორც ყოველი ცოცხალი არსი!.

თეორია, რომელიც ერსა და სახელმწიფოს ადარებს ცოცხალ ორგანიზმს, ძველია, როგორც ეს ერი და სახელმწიფო.

—სახელმწიფო მით უფრო განვითარებულია, რაც მეტად უდგება პიროვნებას"! — ამბობდა უკვე პლატონი. სოლსბერი, მეთორმეტე საუკუნის მწერალი, ემყარება პლუტარხის ნაწერებს და ახასიათებს სახელმწიფოს, როგორც ორგანიზმს, ადამიანის სხეულის მსგავსს.

„სახელმწიფო სრული გამოსახულებაა ადამიანის ორგანიზმისა" — სწერდა ბლუნჩლი.

წარდგება სახელმწიფოსი ადამიანის სხეულთან არის ძალიან გავრცელებული ევროპიულ პოლიტიკურ ლიტერატურაში მე — 14 — 15 საუკუნეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შოთა რუსთაველიც ამ აზრისა იყო, ამის დასამტკიცებელი მრავალი საბუთი მოიპოვება მისს —ვეფხის ტყაოსან"-ში.

თითქოს ბუნების მეცნიერების განვითარებასთან ერთად ეს აზრი უფრო მეტად უნდა დამკვიდრებულიყო, მაგრამ მე - 18 საუკ. დასაწყისიდან ჩვენ ვხედავთ სულ სხვას. და მე - 19 საუკუნეში სახელმწიფოს სახავენ არა როგორც ორგანიზმს, არამედ როგორც უსულო მექანიზმს.

ჰობსი, ატეისტი დელამეტრი და სხვა ჩამომავალნი მატერიალიზმისა, არ ხედავენ არავითარ განსხვავებას ადამიანის და მანქანის შუა.

ჟ. ჟ. რუსო, რომელიც მთელს კაცობრიობას ასწავლიდა ბავშვების აღზრდის მეცნიერებას და საკუთარი შვილები კი სამოწყალო სკოლებში მოათავსა, სახელმწიფოზე ასეთი აზრის იყო:

„სახელმწიფო იყო დაარსებული მდიდარ და ძლიერი წრის მიერ, რომელმაც დაარწმუნა მოქალაქენი დაემორჩილონ კანონებს და ხელისუფლებას".

ვოლტერი ქადაგებდა: „თუ გინდათ იქონიოთ კარგი კანონები, დასწვით ძველი და დასწერეთ ახალი"-ო.

ამის შემდეგ, რა გასაკვირველია, რომ მრავალი ეხლანდელი პოლიტიკური მოღვაწენი უარყოფენ ოჯახს, ერს, სამშობლოს და სხვ.

ასეთი შეხედულება სახელმწიფოზე შემცდარია; შემცდარია, რადგანაც დაფუძნებულია ავათმყოფურ ფანტაზიებზე ჰობსისა, დელემეტრისა, გოლბახისა, ჟ. ჟ. რუსოსი, ვოლტერისა, შლეცერისა, მარქსისა და იმათი ამყოლებისა; შემცდარია იმიტომ, რომ არ უწევს ანგარიშს კაცობრიობის მრავალ საუკუნოვან ისტორიულ წარსულს, ბუნების კანონებს, და კიდეც იმიტომ, რომ მან ვერ გასძლო ერთი საუკუნე და ჩვენს თვალ წინ კაცობრიობა ჩაადგა ფრიად მძიმე მდგომარეობაში. აშენება სახელმწიფოსი ადამიანის ფანტაზიით შეუძლებელია, ისევე, როგორც ხელოვნურად შექმნა ცხოველისა.

მე - 18 საუკ. ჰუმანისტების მიერ ეკლესიის გავლენიდგან განთავისუფლებულმა პიროვნებამ გადაეჭარბა თავის ძალას და ირწმუნა თავის უსაზღვრო ძლიერება.

ადამიანმა დაივიწყა, რომ, როგორც ამბობს შელინგი, „რაღაც უმაღლესი ძალა ბატონობს კაცის სურვილებზე".

კი არ უნდა დავანგრიოთ ის, რის აშენება ჩვენ არ შეგვიძლიან, არამედ უნდა დავიცვათ, განვავითაროთ და ავაყვავოთ ეროვნული სახელმწიფო, ე. ი. შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა: ყურადღებით შევისწავლოთ ადამიანისა და საზოგადოების ბუნება, მისი განვითარების გზები და მიჰყვეთ მის კანონებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა მ ‿ შ ო ბ ლ ო

ორგანიული თეორია სახელმწიფოზე არ არის ახალი, დაახლოებებით 150 წელიწადია, რაც მისი განვითარება შეჩერებული იყო მხოლოდ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, მის ნაცვლად გავრცელებული მარქსიზმი თავის ფორმულით „კლასთა ბრძოლა" — უკვე საბოლოოდ გაკოტრდა.

დღეს უკვე საყოველთაოთ მიღებულია, რომ დღევანდელი საზოგადოებრივი წესი - წყობილება არაფრად არ ვარგა, არავინ აღარ კამათობს იმაზე, რომ მას შესწორება სჭირია, კამათი არის მხოლოდ იმაზე, თუ როგორი გზით, ანუ მიმართულებით უნდა მოხდეს ეს შესწორება.

ამ 150 წ. განმავლობაში ბევრი რამე მოხდა და გამოიცვალა : მეცნიერება წინ წავიდა, ახალი მოძრაობანი დაიბადა — ეროვნული და სხვა.

ეს ორი მოვლენაც საკმარისია, რომ ჩვენს თავს ნება მივცეთ და ზოგი ერთი შესწორება და დამატება შევიტანოთ იმ ძველ თეორიაში, რომელსაც მხედველობაში ჰყავდა მხოლოდ სახელმწიფო. ერს კი არ ხედავდა და არ ამჩნევდა, ვითომც სახელმწიფო ერიდგან დამოუკიდებელი ცალკე რამე იყოს.

სიტყვა „სახელმწიფო"-ს დღეს ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ „ერი" და ორივე ერთად, როგორც ერთი რამ, მთლიანი, შევადაროთ ადამიანის სხეულს.

ბუნების მეტყველობა იმდენად წინ წავიდა, რომ გვიადვილებს ასეთს შედარებას.

მაშასადამე, „სახელმწიფო — ერი" ანუ „ეროვნული სახელმწიფო" ანუ კიდევ „ერი ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივს ფორმაში", არის ორგანიზმი.

სახელმწიფო არის მისი სული, ერი კი — სხეული.

უკვე პლატონიც ადარებდა სახელმწიფოს სულს და ამბობდა:

1. როგორც სულს აქვს გონება, აგრეთვე სახელმწიფოს ჰყავს გამომხატველნი გონებისა — მმართველნი.

2. როგორც სულს აქვს გრძნობა. აგრეთვე სახელმწიფოს ჰყავს გამომხატველნი ძლიერებისა — ჯარი, მეომრები.

3. როგორც სულს აქვს მოთხოვნილებად სურვილი, აგრეთვე სახელმწიფოს აქვს მრეწველობა, ამქრობა და მეურნეობა.

სულის სიმშვიდისათვის აუცილებელია ამ სამივე ელემენტის ჰარმონიული თანხმობა. ამნაირივე მათი თანხმობა აუცილებელია სახელმწიფოს განვითარებისათვის.

როგორც სულის სიმშვიდისათვის საჭიროა ნებისყოფა, აგრეთვე სახელმწიფოსათვის — ხელისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

თუ კი ერი არის სხეული, ცალკე ადამიანი არის მისი ატომი; ოჯახი კი — მოლეკულა, უჯრედი.

განსხვავება ერისა და ორგანიზმის შუა ის არის, რომ პირველში ყოველი ინდივიდუმი დამოუკიდებელია, არავითარი გარეგნული ძალით არ არის შეკრული. მეორეში კი ყველა ატომები და მოლეკულები ურღვევად დაკავშირებულნი არიან ერთი მეორესთან.

სხვა ნივთების მსგავსად ერსაც შეუძლიან იმყოფებოდეს სამს სხვა და სხვა მდგომარეობაში: მაგარს, სითხეს და ორთქლეულს.

სამშობლოს სიყვარული და მტრის სიძულვილი არის ის დადებითი და უარყოფითი ძალა, რომლითაც უნდა იყოს განმსჭვალული ყოველი ადამიანი.

მარტო ამ ძალას შეუძლიან დაიკავოს ერი იმ მაგარ მდგომარეობაში, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ — პატრიოტიზმს — და რომელიც შეედრება ნივთის დამაგნიტებას.

ყოველივე სხვა მდგომარეობას ნივთის თხელ და ჰაეროვან მდგომარეობას ჰგავს და მიჰყავს ერი რღვევისაკენ.

ერს ჰქმნის ადათები და ჩვეულებანი და არა ერთიული, ადამიანი, გინდაც რომ დიდი ნიჭის პატრონი იყოს. პიროვნების მიერ შექმნილი სახელმწიფო — ხელოვნურია, ყალბი სახელმწიფოა და, როგორც ასეთი, კედება, ადრე თუ გვიან. დიდს დამპყრობლებს მრავალი დიდი სახელმწიფო და იმპერიები შეუქმნიათ მსოფლიო ისტორიის მანძილზე და ყველას ასეთი ბედი სწვევია.

არც ერთს ერს არ შეუძლიან იარსებოს, თუ ის მტკიცედ არ არის დამყარებული თავის ადათებზე და ჩვეულებებზე.

ოც საუკუნეზე მეტია საქართველოს სამეფო არსებობდა და ვითარდებოდა ძლიერი მორალური დისციპლინით. ქართველი ერი ცხოვრობდა იმ კანონებით და ტრადიციებით, რომელნიც ამ ხანაში ე. ი. 2000 წლის განმავლობაში, ერთ თაობიდან მეორეზე გადადიოდა.

რომელმა სხვა ერმა შესძლო ასე ხანგრძლივად, და ასეთს საშინელს პირობებში შენახვა არა მარტო ენის, ეროვნულ ჰანგების, ზნე-ჩვეულების, არამედ უამრავ მოგონების თავის დიდებულ წინაპრებზე?

თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის სული დღემდის ამხნევებს და ამაგრებს ქართველ ერს.

კავკასიის მთებში და საქართველოს არე - მარეზე დღესაც ისმის ჰიმნი მზე და მთვარეზე და მრავალ მორალურ თემებზე, რაც შედუღდა, მაგრამ არ გაითქვიფა შემოღებულ ქრისტიანულ ეკლესიურ გალობებში და აზრებში. თითქოს დიდებულ კავკასიის მთებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კლდეებს აქვთ თვისება შეინახონ და გადასცენ მომავალ თაობებს ეს თვისი სული. განცდა და კილო.

ქართველი ერი არის ერთი ოჯახი. არც ბურჟუაზია, არც კაპიტალისტები, არც პროლეტარები, ევროპიულ შეხედულებით, ჩვენში არ შექმნილა და არ არსებობდა. ჩვენი წოდებრივობაც, სულ სხვა იყო, ვიდრე სხვა ერებისა.

ხელოვნურად დაარსებული, უცხო ქვეყნიდან გადმოსახლებული რუსული არისტოკრატია რუს ხალხს არ უყვარდა, — ქართული თავად - აზნაურობა კი ქართველ ხალხის სისხლიდან წარმოიშო და იყო მისი ხორციელი ნაწილი.

ეს იყო შედეგი შერჩევისა ბრძოლებსა და სახელმწიფოებრივ სხვა საქმეებში. ქართველთ შუა არ არსებობს არც ეკონომიური, არც ფსიქოლოგიური მიზეზები სიძულვილისა. ამაყ ქართველ ერში ფრიად განვითარებული იყო თავისებური შეჯიბრება პირველობაში: სილამაზისა, სიმამაცისა, ჭკუისა და მასპინძლობისა, და აი ამით აიხსნება, რომ გარეგნულად ყველა ქართველი, სხვებთნ შედარებით, არისტოკრატად გვეჩვენება.

ქართველ ხალხს არამც თუ არ სძულდა წინ წაწეული წოდებანი, არამედ ამაყობდა მით და ეს სიყვარულით აღნიშნა მან თავის ისტორიაში და ლეგენდებში. მახინჯებსა და ბოროტებს ჩვენი ერი ყველა წოდებაში ჰპოულობდა და გმობდა და არასდეს მხოლოდ ერთში.

სიძულვილი და მტრობა გარედან შემოტანილია. ქართველთა შუა, რუსების მიერ, განსაკუთრებითი მიზნით და 100 წლის განმავლობაში დასთესეს იმდენი სიბოროტე, რაც ვერ შესძლო, ვერც მონღოლმა, ვერც ოსმალომ, ვერც სპარსმა რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში.

„კლასთა ბრძოლა“ არის დასავლეთ ევროპის ავათმყოფობა და სრულებით უცხოა საქართველოსთვის და საზოგადოთ მთელი კავკასიისთვის.

როგორც ექიმი იძულებულია სწავლის მიზნისთვის შეჰყაროს ავათმყოფობა პირუტყვს, ისევე ჩვენმა სოციალისტებმა შეჰყარეს ქართველებს მარქსიზმი და შეჰქმნეს ხელოვნურად საქართველოში ატმოსფერა „კლასთა ბრძოლისა“.

როგორც ყოველ ცხოველს, აგრეთვე ერსაც აქვს ეროვნული თავდაცვის ინსტიტუტი. ის მოვლენა, რომ მე - 19 საუკ. ბოლოდან, 30 წლის განმავლობაში, ერთი ნაწილი ქართველი ინტელიგენციის მიჰყვა მარქსიზმს და ამ უცხო მოვლენამ საქართველოში ნიადაგი მოიპოვა, აიხსნება სწორედ ამ ინსტიქტით, რადგან ბევრს ეგონათ, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ერის შენახვა, როგორც ერთდროს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამავე გრძნობამ მეფე და თავად აზნაურობა რუსეთის დაახლოების გზაზე დააყენა.

ჩვენ უკვე კარგად ვიცით, რა ძვირად დაუჯდა სამშობლოს ეს შეცდომები.

როგორც მეფე ერეკლე და თავად - აზნაურობა მოატყუა რუსულმა არისტოკრატიამ, აგრეთვე ქართველი სოციალისტები მოატყვილეს რუსის მსოფლიო სოციალისტებმა.

არც ჯავრობა მეფეებზე და თავად - აზნაურობაზე, არც ლანძღვა სოციალისტებისა ჩვენ საქმეს არაფერს უშველის და ხელს კი შეგვიშლის გაერთიანებისათვის.

ყველა ქართველს ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს: ნაწამებ ერის გაერთიანება და მით ერთსულოვან ორგანიზმის შექმნა.

ჩვენი ეროვნული არსის ორქლეულ და სითხის მდგომარეობიდან გამოყვანა და მაგარი ერთეულად გადაქცევა.

ისტორია ჩვენ ბევრს რამეს გვასწავლის: გვაჩვენებს სიმამაცეს და დიდებას ბევრი ჩვენი წინაპრებისა და სხვების კიდევ შეცდომებსა და წვრილმანობას.

ჩვენი მოვალეობაა მივბაძოთ პირველთ.

ერმა უნდა იცხოვროს თავისი გმირებისა და მათი, ეროვნული კეთილდღეობისათვის თავგანწირულთა მოქმედების მაგალითებით.

კეთილდღეობა მთელი ერისა და ცალკე პიროვნებისა საერთოა, განუყოფელია.

თუ ნამდვილად ვისმეს სურდა სიკეთე მარტო მუშებისათვის, უნდა გაეუმჯობესებინა მათი მდგომარეობა ქართულ პირობებისა და ქართული სინამდვილის მიხედვით და არა უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ და ჩვენ ცხოვრებასთან შეუფერებელ გეგმებით.

ბევრს ქართველს ჰგონია, რომ საქართველომ უეჭველად უნდა აირჩიოს ევროპასა და ამერიკაში არსებული ესა თუ ის რეჟიმი.

ერთნი ფიქრობენ, რომ ყველა ქართველნი უნდა გახდენ ფაშისტებად, მეორენი — კომუნისტებად, მესამენი — რასისტებად და ზოგს კიდევ ჰგონია, რომ მარტო ის არის მშრომელთა ნამდვილი დამცველი, ვინც გახდა წევრი ს.-დ. პარტიისა.

ამ რიგად ამოსარჩევი მრავალია უცხო ქვეყნებში, მაგრამ ყოველი გონიერი პოლიტიკოსი თავის ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობის არჩევას უნდა იწყებდეს თავის ქვეყნის პირობებიდან, თავისი ერის წარსულ და აწმყო ვითარების შეგნებიდან და გაგებიდან.

არა! გვეყო უცხო მაგალითების ბრმად მიბაძვა, ბრმად გადაღება. საქართველო თვითონ გაიკვლევს თავის საკუთარს გზას დაუკვე დიდი ხანია თავის გზას გამონახავდა, თუ რომ არ ყოფილიყო ასეთი ზერელე მიმბაძველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ჩვენ არ გვჭირდება წითლად შეღებვა, რომ მოვეწონოთ ინტერნაციონალისტებს და არც შავი ანუ ლურჯი ხალათები.

მუდამ თავისუფალნი გულით და სულით, როგორც არწივნი. მაშინაც უკვე როდესაც სხვა ერები მონებად იმყოფებოდნენ, ჩვენ კოლხიდელნი, იბერიელნი და ალბანელნი მთელი კავკასიის პატრონები ვიყავით.

ჩვენ არ ვიცოდით არც რევოლუციები, არც რეაქციები და არც შინაური სამოქალაქო ბრძოლები.

ჩვენ ვიცოდით თავდადებული და თავგანწირული ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც დაემუქრებოდა ჩვენს ეროვნულ არსებობას, ჩვენს თავისუფლებას და ჩვენს სამშობლო მიწა - წყალს.

ასეთი ბრძოლებით შეინახა ქართველმა ერმა თავისი ეროვნული მეობა და ასეთი ბრძოლებისათვის უნდა დავრაზმოთ კვლავ, ჩვენი ერი ალსადგენად ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრივი არსებობისა.

ამით ვთავებ ჩემს პირველ გამოსვლას ქართველთა წინაშე და მივმართავ დაფანტულ ქართველ ერს მოწოდებით: გაერთიანდეს და გამაგრდეს ვით სალი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს მომავალი ძლიერი საქართველო.

ვახტანგ ციციშვილი

ბორდო, ივნისი, 1937 წ.

---

† ვასო მგალობლიშვილი

ვასო გარდაიცვალა შარშან, და ეს სამწუხარო ამბავი დაგვიანებით გავიგეთ, ჩვენ მისმა, სამშობლოს მოწყვეტილმა მეგობრებმა.

ვასო არ იყო ტრიბუნი და არც მწერალი. ამიტომ მას საკმაოდ არ იცნობს ფართე საზოგადოება და თვით ჩვენი პარტიული მასსაც. მაგრამ მას კარგად იცნობენ პარტიის ის აქტიური მუშაკები, რომლებმაც დაუვიწყარ ვასოსთან ერთად ორგანიზაციულად ჩამოაყალიბეს ეროვნულ - დემოკრატიული მიმართულება, და ორი - სამი წლის განმავლობაში იგი მძლავრ პოლიტიკურ დარაზმულობად აქციეს. ვასო იყო ამ საქმის ერთ-ერთი უმთავრესი მუშაკი, დაუღალავი და უნიჭიერესი ორგანიზატორი. ამით მან ფრიად საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი პარტიის ისტორიაში და სამუდამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსოვნა და სიყვარული მის თანამებრძოლთა გულში. მისთვის არ არსებობდა პირადი ინტერესები, ამბიციები და კარიერა საზოგადო საქმეში. ვასოსთვის არ არსებობდა მოუცლელობა, უქმი, დაზარება, დაღალვა; მის ენერგიას და გამძლეობას თითქოს არ ჰქონდა არავითარი საზღვარი. ყველამ ვიცით, რა ძლიერი იყო ბათუმის ოლქში ერ.-დემ. პარტიის გავლენა და ეს მხოლოდ და მხოლოდ ვასოს დამსახურება იყო. ეს მისი ნამუშევარი დიდათ იქმნა გამოყენებული როდესაც, ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, საქართველოს მტრებმა, ეს კუთხე საქართველოს წინააღმდეგ მუშაობის ბაზად გაიხადეს. დიდი იყო ვასოს როლი ბათუმშიდაც, ოსმალეთის, და შემდეგ ინგლისურ ოკუპაციის დროს, როდესაც უცხო ეროვნებათა წარმომადგენლები ცდილობდენ ბათუმის ხელში ჩაგდებას. ქალაქის გამგეობის წევრი, ვასო მგალობლიშვილი ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ბათუმში ქართული პოზიციების გამაგრებისთვის წარმოებულ მუშაობას.

ვასო მგალობლიშვილის განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭის მეოხებით იყო აგრეთვე ჩვენი პარტია რომ შეუმჩნეველად და მოხერხებულად შეიჭრა გურიაში და ის ორგანიზაციების ქსელით მოჰფინა. მაგონდება ვასოს მხიარული და კმაყოფილი გამომეტყველება, როდესაც ჩვენი პარტიის 1920 წლის კონფერენციაზე მიეგზავრებოდა, გურიაში შექმნილ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. მას თან მიჰქონდა ამ ორგანიზაციის წევრთა სიები და, მათ შორის, ლანჩხუთის ორგანიზაციისა, რომლის კომიტეტის 7 წევრში ხუთი ქორდანია იყო. ამით ვასოს მიღწეულად მიაჩნდა ჩვენი პარტიული ორგანიზაციული მუშაობის მტკიცედ დამკვიდრება საქართველოს ყველა კუთხეში, და ეს სიხარულით ავსებდა ჩვენი პარტიის ამ საუკეთესო და დაუღალავ ორგანიზატორის გულს.

დღეს, როდესაც ჩვენი პარტია თვალს ავლებს და აფასებს თავის 20 წლის მოღვაწეობას, მის წინაშე მთლიანად წარმოდგება დაუვიწყარო ვასო, მთელი შენი მოღვაეობაც, ასე უანგარო, დაუღალავი და ნაყოფიერი. და ის სამართლიანად მიგიჩენს ღირსეულს ადგილს პარტიისათვის თავდადებულ მუშაკთა პირველს რიგებში. ჩვენ კი, ძვირფასო მეგობარო, არასოდეს დაგვავიყდება შენი, განუზომელი ვაჟკაცობით და რაინდობით აღვსილი პიროვნება, ყველა ჩვენთვის სამაგალითო, გამამხნევებელი და ახალ ბრძოლისა და მუშაობისათვის წამახალისებელო.

დ. უგრეხელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას დღეები საქართველოში

დიდი ილიას დაბადების ასის წლის თავს საქართველოში დიდის ზეიმით იდღესასწაულებენ ენკენისთვეში. ამავე ხანებში აღნიშნავს ამ დიდს დღეს ემიგრაციაში მყოფი ქართველობა. მაგრამ ეს დიდი ზეიმი იქნება დაგვირგვინება იმ საუბილეო ხანისა, რომელიც უკვე მაისის დამლევიდან დაიწყო. საქართველოში უკვე გაიმართა მრავალი საიუბილეო კრებები — საბჭოთა მწერლების კავშირისა, თბილისის უნივერსიტეტისა, სამეცნიერო აკადემიის განყოფილების, ხელოვნების მუშაკთა სახლში, განათლების მუშაკთა სახლში და სხვ. ილიას დღეები იმართება საქართველოს ყველა ქალაქებში, დაბებში და ზოგან სოფლებშიდაც. კომუნისტური გაზეთები აღვსილია დიდი ილიას მოღვაწეობის ქება-ხოტბით, სადაც ილიას დიდი მოღვაწეობა თითქმის ისევეა დახასიათებული, როგორც ეს დაკანონებული იყო ქართულს ეროვნულს წრეებში.... — „ილია ქართველი ხალხის სიბრძნეა, ქართული ლიტერატურის სიამაყე", სწერს „კომუნისტი". — „მე 19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ - რევოლუციური მოძრაობის ყველაზე პოპულიარული საზოგადო მოღვაწე. ილია ჭავჭავაძე პირველად ჰპოულობს ღირსეულ დაფასებას ჩვენს დროში — სტალინური ეპოქის ბრწყინვალე პირობებში" („პრავდა") — „ილია სიცოცხლეში ვერ ეღირსა ჯეროვან დაფასებას. დაფასებისა და იუბილიეს მაგიერ მეფის მთავრობამ მას მუხანათურად გაუგმირა გული. ეხლა უკვე დადასტურებულია, რომ ილია მოჰკლეს მეფის ჯალათებმა. ილიას სიცოცხლეშივე განზრახული იუბილე მეფის მოხელეებმა ჩაშალეს იმის შიშით, რომ ის არ გადაქცეულიყო სახალხო ზეიმად, ცარიზმის საწინააღმდეგო ნაციონალურ - რევოლუციური მოძრაობის დემონსტრაციად". .. „ ილია, როგორც ნამდვილი ბრძენი, ერკვეოდა მთელი მაშინდელი ეპოქის სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობათა ურთიერთს ვითარებაში... ამის დამამტკიცებელია ილიას მხატვრული შემოქმედება, მისი პუბლიცისტიკა, მისი წერილები უცხოეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებზე, მისი ეკონომიური, ისტორიული ხასიათის შრომები და მიმოხილვები საქართველოს ცხოვრებდან..... მაგრამ რაც მთავარია, ილია ჭავჭავაძე იყო დიდი პროგრესისული პიროვნება, რომელსაც თავისი მოღვაწეობის ყველა სფეროში შეჰქონდა პროგრესიული - რადიკალური აზროვნება....

.... მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა როგორც ბატონყმობის რეჟიმს, ისე თვითმპყრობელობის ნაციონალურ პოლიტიკას. ვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დაყრდნობოდა ამ ბრძოლაში ილია? იგი ასეთ რეალურ ძალად მშრომელ ხალხს სთვლიდა. „უბრალო გლეხობა, ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენი ეროვნული იმედებისა“, სწერდა ილია გლეხობის შესახებ“ („კომუნისტი“).

განათლების კომისარი კ. ჭკუასელი სწერს: —

„მხოლოდ კლასიკური მემკვიდრეობისადმი ნიღილისტური და ეულგარული დამოკიდებულებით და უმეცრებით შეიძლება აიხსნას ის მტკიცება, თითქოს ილია ბატონყმობის მხოლოდ გაკეთილშობილებას მოითხოვდა. ეს ეულგარიზატორები და კონტრრევოლიუციური ტროცკიზმის აგენტები იქამდის მივიდენ, რომ ილია გამოაცხადეს რეაქციონერ ფეოდალებად, დესპოტად. გლეხების სიხსნის მსმელად და ბატონყმობის დამცველად.... ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება და პრაქტიკული მოღვაწეობა ბატონყმობის მოსპობის, პიროვნების განთავისუფლებისა და შრომის იდეების გამმხატველია“...

ასეთი აზრებით არის აღვსილი ქართულ და რუსულ კომუნისტურ გამოცემათა ფურცლები და ცნობილ კომუნისტების მოხსენებები. ყოველივე ეს განმარტებას აღარ საჭიროებს. დიდი ილიას აზრების და მოღვაწეობის წინაშე ქედი მოიხარეს ყველა იმათ, ვინც შეურიგებლად ებრძოდენ ამ უდიდესი ქართველის ყოველს იდეასა და საქმეს. ილიას იუბილე, მისი დიდი მოღვაწეობის უხილავი ტრიუმფია, ეს ქართული ეროვნული იდეის გამარჯვების დღესასწაულია!

„ერთად ერთი კონფედერატიული ორგანო“

ასეთად ასაღებს ბ. ბამატი თავის „კავკაზს“ და ამის ერთად ერთი საბუთი იმაში გამოიხატება, რომ ეს ორგანო დღიდან დაარსებისა, თანაბრად და კონფედერატიულად ასხამს ლაფს კავკასიის ერთა ყველა დაჯგუფებებს, მომქმედ ძალებს და პიროვნებებს, გარდა რამოდენიმე თავის თანამშრომლისა. მაგრამ ეს ვაუბატონი ამითაც არ კმაყოფილდება და უკანასკნელ დროს უხილავის აღვირახსნილობითა და ცინიზმით იწყებს ხელების ფათურს ქართველი ერის ისეთს მტკივნეულს საკითხებში, რომელთა უდიერად შეხება ჩვენი ერის ახლილ მტრებსაც არ უკადრებიათ. ბატონმა ბამატმა „კავკასი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის“ სამხრეთი საზღვრები“ და ბათუმი გაიხადა თავისი მოურიდებელი თარეშის საგნად, და ამას სჩადის ვითომდა ოსმალეთის დასაკმაყოფილებლად და ჩვენთვის მისი თანაგრძნობის მოსაპოვებლად. მაგრამ ეს წვრილმანი ბოროტებით გაბერილი ადამიანი რად არ ეკითხება თავის თავს, თუ ვინ არის ის, რომელიც საჭიროებს ამაში მის დახმარებას, და თუ ვინ აღჭურვა იგი ასეთი მისიით — ქართველმა ერმა, თუ ოსმალეთმა? ბ. ბამატს დიდათ სურს, რომ ის მივიჩნიოთ ოსმალეთის პორტ-პაროლად და მის ყურნალში ხშირად იხსენიება სიტყვა „თურქოფილობა“, რომელსაც თურმე მას სწამებენ. მაგრამ ბატ. ბამატმა უნდა იცოდეს, რომ ქართველებში და ჩვენს მეზობლებში ასეთი ბრიყვები ბევრი არ მოინახება. მისი ასეთი მოღვაწეობის „თურქულ ინსპირაციად“ დასახვა დიდი შეურაცყოფა იქნებოდა და მასხრად აგდება ოსმალეთის მეთაურობისა, რომლის საბაბი მათ არ მოუცია არც ჩვენთვისა და არც სხვებისათვის. ჩვენ ოსმალეთის მიმართ არც საზღვრებზე აგვიტეხია დავა და არც სხვა რამეზე. არც ოსმალეთისაგან ვხედავთ ასეთს რასმეს. ხოლო ოსმალეთს ასეთი ზრახვებიც თუ ექნებოდა, მას უთუოდ არ დასჭირდება მის გასანაღდებელად ბამატისებურ მატრაკვეცების მედროშეთ გამოყვანა. ბ. ბამატის ასეთი მოღვაწეობა თუ კიდევ დასჭირდა ვინმე სხვას, ეს უთუოდ მხოლოდ ისეთს ძალას, რომელიც მოწადინებულია ყოველ მხრივ დააბრკოლოს ოსმალეთის სახელმწიფოებრივი განმტკიცება და შეუქმნას მას მტრული გარემოცულობა. უთუოდ ამ ძალამ კარგად უწყის, რომ ქართველ ერს, და საერთოდ მთელ კავკასიას, თავისი, ანგარიშგასაწევი მნიშვნელობა აქვს ამ მოცულობაში, მიუხედავად ამ ერთა ეხლანდელი მძიმე მდგომარეობისა.

ბ. ბამატის „თურქოფილობა“ შეიძლება მხოლოდ ასეთი იყოს, ის თეთრი ძაფებით, მაგრამ არა თურქული თეთრი ძაფებით არის შეკერილი.

ჯერ ხნობით „კავკაზის“ ასეთს აღვირახსნილობას მხოლოდ „ქართლოსი“ გამოეხმაურა და აგრეთვე „ბრძოლის ხმა“, მაგრამ გაკერით და მეტად ზომიერად. ეს უთუოდ არ არის საკმარისი და ახლო მომავალში მოგვიხდება ამ ორგანოს მთელი პორტრეტის დაწერა და ყველა საჭირო საღებავებით. ჩვენი ორგანო არ არის ჩვეული ასეთი კილოთი წერას, მაგრამ ბ. ბამატის თავხედობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება და აქ თავაზიან თავდაჭერილობას ადგილი აღარ რჩება.

მაგრამ ბ. ბამატის ასეთს მოღვაწეობას საკმაოდ თვალსაჩინო ნაყოფი უკვე აქვს გამოღებული. მან გამოიწვია აღშფოთება მთელი ქართველობისა, ყველა წრისა და მიმართულებისა, და ორიოდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი კვერის დამკვრელ ქართველს უთუოდ აქვთ გამყღანებული თავის ღირსეულ შეფისათვის, რომ საერთო მათმა ასეთმა მოღვაწეობამ ეს ქართველები ქართული საზოგადოების გარეშე დააყენა. უთუოდ ასევე მოუვიდოდა თვით ბამატს, უკეთუ ამ დიდებულ კონფედერაციის შეფსაც მოეპოება რაიმე წრე და რაიმე საზოგადოება.

———o———

ალ. ასათიანის მოგსენება

ივლისის 17-ს ბ. ალ. ასათიანმა გააკეთა მოხსენება სოფოს ქართული კლუბის წინაშე. მომხსენებელმა განაცხადა, რომ ეს მოხსენება წარმოადგენს გაგრძელებას თებერვალში, პარიზში წაკითხული მოხსენებისა. დასაწყისში ბ-ნმა ასათიანმა გააცნო საზოგადოებას პირველი მოხსენების მთავარი დებულებები: 1) მსოფლიო ომის შემდეგ, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, მთელ მსოფლიოში ხდება ლიბერალური კაპიტალიზმის რღვევა, ზოგს ქვეყნებში დაჩქარებულად და ზოგან უფრო ნელა. 2) რუსეთში დამყარდა მეორე უკიდურესობა, კოლექტივური სისტემა, რომელიც მთლად უდღეური გამოდგა და საბჭოთა რუსეთი მას ზურგს აქცევს და უკან იხევს. 3) ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ უკიდურესობათა დამარცხებამ წარმოშვა მათი შემაერიგებელი, საუშალო ხაზის ძიება. ამ გზით მიდიან ფაშისტური ქვეყნები. მაგრამ ამასვე სჩადიან, უფრო ფრთხილად ბევრი არა ფაშისტური ქვეყნები. ამის შემდეგ მომხსენებელი შეუდგა საქართველოს სინამდვილის გაშუქებას. კაპიტალიზმი ჩვენში სუსტად იყო განვითარებული და ეხლა ის ძირიანფესვიანადაა ამოგდებული. თვით ბოლშევიკები ხდებიან იძულებული უკან დაიხიონ ბურჟუაზიული წყობისაკენ. მაგრამ კაპიტალისტურ სისტემას ვერც ისინი აღადგენენ და ვერც სხვები, რომ ვიყოთ მათს ადგილზე. არც სავსებით ფაშისტური წყობის დამყარება შეიძლება ჩვენში, რადგან იქ არ მოიპოვება ის საფუძვლები, რომელზედაც არის სხვაგან დამყარებული ეს სისტემა. რაც საქართველოში და მთლიანად რუსეთში მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების გადაყირავება მოხდა, ამას არ ჰქონია ადგილი აროდეს და არც ერთ ქვეყანაში. ამიტომ უცვლელად სხვების წყობა მას არ მიუდგება. მომხსენებელი ჰფიქრობს, რომ ჩვენი მომავალი ეკონომიური და პოლიტიკური წყობა უმთავრესად უნდა დაემყაროს სოფელს და გლეხობას, როგორც ყველაზე უკეთ შენახულს და საში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელ ქარტეხილს გადარჩენილ ბაზას. მას უნდა მოერგოს ეკონომიური ცხოვრების სხვა დარგები და პოლიტიკური წყობა, რომელიც იქნება დამყარებული მთელს ერზე, მის ინტერესებსა და ნებისყოფაზე. მაგრამ ეს ვერ იქნება ძველი ყაიდის დემოკრატია, რომელიც ვერ ჰქმნიდა მტკიცე სახელმწიფოებრივ ძალას, წესრიგს და კანონიერებას. ეს იქნება ავტორიტარული დემოკრატია, რაც ყველაზედ უფრო უდგება მშრომელ გლეხობის ეკონომიურ და ყველა სხვა ინტერესს და მასთან მის სიყვარულს წესრიგისა და მშვიდობიანობის მიმართ. მომხსენებელის აზრით, პარტიების ძველი პროგრამები, ძველს პირობებში შემუშავებული, სრულებით არ შეეფერება საძირკვლიანად შეცვლილ ცხოვრების პირობებს. მომხსენებელის აზრით, პროგრამები ეხლა აქ ვერ დაიწერება, მაგრამ მისი უმთავრესი ხაზების გათვალისწინება შესაძლოა ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებების მიხედვით. ბ. ასათიანმა დასახა ასეთი ხაზები სასოფლო მეურნეობის, მრეწველობის, სახელმწიფო მეურნეობის, შრომის კანონმდებლობის და სხ. სფეროებში. ბ. ასათიანის მოხსენებას პარიზში ოცზე მეტი ორატორი გამოხმაურებია. ამ მხრივ სოშოც არ ჩამორჩა პარიზს. ბ. არსენიძე დაეთანხმა მომხსენებელს, რომ ძველი პროგრამები ცხოვრებას არ მოუდგება. მაგრამ ის არ ჰკისრულობს რაიმე ახალი გეზის აღნიშვნას და ეკამათება ფაშიზმს. მომავალში ჩვენ ხალხს ვკითხავთ და რაც მას სურს, იმას გავაკეთებთო. ამაზე მომხსენებელმა შენინშა — წინეთ არ მოქცეულხართ ასე და თქვენი პროგრამა ხალხის დაუკითხავად მოიტანეთ რუსეთიდანო. ეხლა კარგია, რომ ხალხის კითხვას აპირებთ, მაგრამ თქვენ რომ ხალხის მეთაურები იყავით და ეხლა ხალხმა რომ გკითხოთ, ხომ უნდა უთხრათ მას თქვენი აზრიო? ბ. ვლ. ემუხვარმა მკაცრი კრიტიკა გაუკეთა ქართველ მარქსისტების პოლიტიკას წარსულში და დაიცვა ერ.-დემ. პარტიის რეალისტური, სახელმწიფოებრივი ხაზი. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე — ს. კასრაძემ, ნ. ორაგველიძემ, ვ. მგელაძემ, ზ. წულაძემ, ე. მცხეთელმა, შ. ბერეჟიანმა და ვ. ბაქრაძემ, რომელიც კრებას თავმჯდომარეობდა. ამათგან ზოგმა მხარი დაუჭირა მომხსენებელს და ზოგი კიდევ შეეკამათა მის მიერ გამოთქმულ აზრებს, მაგრამ ყველამ კმაყოფილება გამოსთქვა მოხსენების დარბაისლურ კილოთი. თავის საპასუხო სიტყვაში მომხსენებელმაც თავის მხრივ აღნიშნა ოპონენტების სიდინჯე და ლოიალობა. სხვა და სხვა დაჯგუფების ახალგაზრდობამ ბანკეტი გაუმართა ბ-ნ ასათიანს და გამოსთქვა იმედი, რომ მომავალში უფრო ხშირი სტუმარი იქნება სოშოს საზოგადოების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ოცი წლის თავი

ამა წლის 21 აგვისტოს პარიზში ვაიხსნება ეროვნულ - დემოკრატიულ ორგანიზაციათა ყრილობა პარტიის ოცი წლის თავის აღსანიშნავად.

ყრილობა შესდგება დილის ათ საათზე რესტორან „ვოლტერის" დარბაზში: — 1, Place de l'Odeon (Métro Odeon)

—o—

ყაზახთა დღესასწაული

10 ივლისს თავისუფალ ყაზახთა პარიზის სტანიცამ გამართა აზოვის განთავისუფლების 300 წლის აღსანიშნავი დღესასწაული. დღესასწაულს მეთაურობდა სალაშქრო ატამანი ინჟ. ბილი. მოხსენებები გააკეთეს გენერალ კონავოდოვმა და ატამან ლენიფოვმა. მეორე დღეს გაიმართა პანაშვიდი და შემდეგ ბანკეტი, რომელზედაც წარმოითქვა მრავალი მისალმება. უკრაინელებისაგან მიესალმა ერემეევი და ქართველებისაგან გრ. აბულაძე.

სარედაქციო კოლეგია.

რედაქციის მისამართი:

E. PADARIDZE. — 89, rue de la République, St. Mandé (Seine) France

La Gérante: Suzanne Bertillon.

Imprimerie de Navarre — 5, rue des Gobelins. Paris (13).

bogherm

n100/8

IMPRIMERIE
DE NAVARRE
5, rue des Gobelins
PARIS 13e